# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№284 (12 655) 3 დეკემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქროს ბურთი კრისტიანო რონალდოს

დაჯილდოება 7 დეკემბერს




»»» 6

ლიონელ მესი




ფერნანდო ტორესი




სუპერთასი

## გუშინ: 3:2 დინამოს სასარგებლოდ, დღეს?



დღევანდელი მეტოქეები: რაინერ ცობელი და გია გეგუჩაძე

დავით ცაბაძის ფოტო

03.12. თბილისი
მ. მესხი. 14:30

დინამო
ზესტაფონი
Live



პრესკონფერენცია და ისტორია

»»» 2

## ლომაიას ავსტრიაში ეპატიჟებიან

### შტურმი: საქართველოს ნაკრების მეკარე 25 იანვარს თურქეთში წამოგვყვება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, საქართველოს ნაკრების ორი ფეხბურთელი მალე გუნდს გამოიცვლის. ლაპარაკია ავსტრიული „შტურმის" მცველ **გიორგი შაშიაშვილსა** და თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე **გიორგი ლომაიაზე.**

შაშიაშვილს ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი რომ გამოუჩნდა, ადრეც გაუწყეთ. ახალი აქ ის არის, რაც შაშიაშვილმა გუშინ გვითხრა - 8 დეკემბერს კიდევ ერთხელ შევხვდები ჩემს აგენტს და უკვე კონკრეტულად მეტყვის, რომელი გუნდი მიწვევსო. შაშიაშვილმა ისიც დასძინა - შესაძლოა, ეს გუნდი ბუნდესლიგური არც იყოს, თუმც ამ მომენტში გერმანიაში წასვლის უფრო მეტი შანსი არისო.

რაც შეეხება ლომაიას, მისით დაინტერესებულია „შტურმი", სადაც შაშიაშვილის გარდა, **ილია კანდელაკიც** თამაშობს. გრაცის კლუბმა ჯერ კიდევ ზაფხულში დაადგა თვალი ლომაიას, ხოლო 15 ოქტომბერს, ბულგარეთის ნაკრებთან მატჩის შემდეგ, კვლავ გამოხატეს „ლოკომოტივის" მეკარის გადაბირების სურვილი.

*„ახლა პირდაპირ მითხრეს, რომ 25 იანვარს, შვებულების შემდგომ შეკრებაზე თურქეთში რომ წავალთ, ლომაიაც ჩვენთან იქნებაო"* - ამბობს შაშიაშვილი.

თქმა რად უნდა, თუ ლომაია ავსტრიაში გააგრძელებს კარიერას, მისთვისაც ხეირი იქნება და საქართველოს ეროვნული გუნდისთვისაც. კარგ ქვეყანასა და პირობებში ხომ ფეხბურთელი გაცილებით უკეთ ემზადება...

დავით თავართქილაძე




## ესღა გვაკლდა!

ქართველებმა ნონას თასი გაძარცვესო

»»» 11






## შალკეში ცუდი სიტუაციაა

...სხვანაირად არაფერი გამოვა და მოხდება ის, რაც აქამდეც ხდებოდა ჩვენს ნაკრებში

»»» 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერთასი



რაინერ ცობელი, დავით ოდიკაძე, გია გეგუჩაძე, ზურაბ იონანიძე

პრესკონფერენცია

# გუშინ: 3:2 დინამოს სასარგებლოდ, დღეს?

## სუპერთასი ორმხრივი დანაკლისით

დღეს სუპერთასი თბილისის „დინამოსა“ და „ზესტაფონს“ შორის გათამაშდება. „VTB ბანკი ჯორჯია“ გამარჯვებულს 25 ათას ლარს გადასცემს. გუშინ კი „ლოკომოტივის“ სტადიონზე პრესკონფერენცია გაიმართა. „დინამოსგან“ **რაინერ ცობელი, კახა კაჭარავა** და **დავით ოდიკაძე** მობრძანდნენ, ზესტაფონელთა ახალ მწვრთნელ **გია გეგუჩაძეს** კი **ზურაბ იონანიძე** უმშვენებდა გვერდს. სწორედ ამაზე იხუმრა გეგუჩაძემ - დღეს 3:2 „დინამოს“ სასარგებლოდაა, მაგრამ ვეცდებით, ხვალ ამ ანგარიშით ჩვენ გავიმარჯვოთო...

თუმცა ეს იყო მოგვიანებით, როცა პრესკონფერენცია უკვე „გახურებული“ იყო. მანამდე კი პროფლიგის პრესატაშე **დავით ფრანგიშვილმა** სუპერთასის დებულება გაგვაცნო. დეტალები ამგვარია: სუპერთასზე არ მოქმედებს ჩემპიონატსა და თასზე მიღებული ყვითელ-წითელი ბარათები. მეორე მხრივ, არც სუპერთასის მატჩის ყვითელი ბარათი გადავა თასსა და ჩემპიონატზე, თუმც ორი ყვითელი (და შესაბამისად, წითელი ბარათი) გათვალისწინებული იქნება. დანარჩენი ჩვეულებრივადაა - ძირითადი დროის ფრედ დასრულების შემთხვევაში დაინიშნება ორი დამატებითი ტაიმი, ხოლო ამის შემდეგ, თუ საჭიროება იქნა, 11-მეტრიანებსაც ვნახავთ...

**რაინერ ცობელი** (თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი): - ეს დუშან უჰრინის თამაშიც იქნება, რადგან „დინამომ“ ჩემპიონობა მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა. ფეხბურთელებს ვესაუბრე და ვხედავ, რომ ყველა მონდომებით ემზადება. ძალზე საინტერესო შეხვედრას ველოდები. მთავარია, მაქსიმალური კონცენტრაცია. სამწუხაროდ, ტრავმების გამო ნერგაძე და ელიავა დაგვაკლდებიან. წინასწარ ვერავინ იტყვის, ვინ მოიგებს.

**გია გეგუჩაძე** („ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი): - მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი შეხვედრის მოგება მნიშვნელოვანია. ახლა მოთამაშეების გაცნობის პროცესში ვარ, მაგრამ ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თავი დავიზღვიო. ჩვენ ბრძოლისთვის მზად ვართ. ვფიქრობ, დაძაბული და ლამაზი სანახაობა გველის. სამწუხაროა, რომ ტრავმის გამო ბექა გოცირიძე არ გვეყოლება. მას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა.

**- გადატვირთული კალენდრის გამო, ფეხბურთელები გადაღლილები ხომ არ არიან?**

ცობელი - თამაშებს შორის ინტერვალი სამი-ოთხი დღეა, მაგრამ ეს არ არის პრობლემა. მწვრთნელზეა დამოკიდებული, როგორ მოახერხებენ ფეხბურთელები ძალების აღდგენას, რა დოზით დატვირთავს მოთამაშეებს და როგორ გამოიყენებს პაუზას. ტრავმები ამის ბრალი არ არის, ეს ყოველთვის თან გვდევს.

გეგუჩაძე - მართალია, მჭიდრო კალენდარი გვაქვს, მაგრამ ვერც მე ვხედავ პრობლემას. თანაც, ისეთი თამაშია, თავს არავინ დაზოგავს.

**დავით ოდიკაძე** (თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი, კაპიტანი): - პირველ რიგში, ზურას (იონანიძეს - ავტ) ვულოცავ დაბადების დღეს... ხვალინდელ თამაშზე კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შანსები თანაბარია.

**ზურაბ იონანიძე** („ზესტაფონის“ თავდამსხმელი): - ძალზე პრინციპული შეხვედრა გველის. „დინამო“ გამორჩეული გუნდია. მისი მცველების წინააღმდეგ თამაში ძალიან რთულია, ყველა საკმაოდ მაღალი კლასისაა... თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სუპერთასი ზესტაფონში ჩავიტანოთ. ჩვენი სიძლიერე ჩემპიონთან ჭიდილში უნდა დავამტკიცოთ. ის, რომ „დინამომ“ თასიდან გაგვაგდო, ჩვენთვის მხოლოდ სტიმულია. ახლა რევანშის დროა!

გეგუჩაძე - ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაში ჩემთვის არაფერს ნიშნავს. უბრალოდ, მნიშვნელოვანია, როცა მუშაობას მოგებით იწყებ. დღეს კი არის 3:2 „დინამოს“ სასარგებლოდ, მაგრამ ვეცდებით, 3 დეკემბერს ამ ანგარიშით ჩვენ გავიმარჯვოთ.

**- როგორ ფიქრობთ, ძირითადი დრო მოსაგებად საკმარისი იქნება?**

ცობელი - 120 წუთის სათამაშოდაც მზად ვართ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ თასს 90 წუთში მოვიგებთ.

გეგუჩაძე - ვფიქრობ, 90 წუთიც გვეყოფა. სხვათა შორის, ჩვენ პენალტებზე საგანგებოდ არც გვივარჯიშია. ამის არც დრო გვქონდა და, რაც მთავარია, არც გვიფიქრია. რა თქმა უნდა, კარგია, გამარჯვებისთვის ფულადი პრემია რომ დააწესეს, მაგრამ უფრო ძვირფასი საჩუქარი თავათ სუპერთასი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ისტორია და ფაქტები

# სუპერ ანუ... ზამთრის თასი

თანამედროვე ფეხბურთში ყველგან ყველაფერი იცვლება და უკეთესობისკენ მიდის. რა თქმა უნდა, საქართველოშიც ცდილობენ საქმე წინ წაიყვანონ, თუმცა არის საკითხები, რომელთა შესახებაც განსხვავებული აზრი გაგვაჩნია. აღარც კი ვიცით, ღირს თუ არა ერთი წლის წინანდელი ჩვენი მოსაზრების კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაჟღერება. ჰო, შარშან, დაახლოებით ეს პერიოდი იყო, როცა სუპერთასის მატჩის დეკემბერში ჩატარება მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ. ზედიზედ მესამე წელიწადია, ამ საპატიო პრიზისთვის მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი დეკემბერში თამაშობენ. არადა, თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში სუპერთასის მატჩი ზაფხულში ტარდება; ანუ, ფაქტობრივად, ახალი სეზონი სწორედ ჩემპიონისა და თასის მფლობელის შეხვედრით იწყება. თუმცა, წლების განმავლობაში, სუპერთასი სულაც მივიწყებულ-გაუქმებული იყო და ისევ და ისევ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ამჟამინდელი ხელმძღვანელების დიდი მონდომებით 2005 წელს აღდგა.

...სუპერთასის პირველი ორი გათამაშება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და გაზეთ „რეზონანსის“ერთობლივი პატრონაჟით მიმდინარეობდა. მომდევნო ორი უკვე დამოუკიდებლად სფფ-მ ჩაატარა; სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ხუთი წლის განმავლობაში სუპერთასი ჩვენთან არავის ახსოვდა, სანამ ის საქართველოს პროფესიულმა ფეხბურთის ლიგამ არ აღადგინა. ამის შემდეგ, ზედიზედ ორ გათამაშებას ახალი სპონსორი გამოუჩნდა - საქართველოში „ფოლკსვაგენის“ წარმომადგენლობა (ხელმძღვანელი - **ტარიელ ხეჩიკაშვილი**). რაღა თქმა უნდა, უცვლელი იყო ორგანიზატორი - საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ბოლო ორ გათამაშებას არცთუ მცირე საპრიზო ფონდიც ჰქონდა, რაც დამატებითი სტიმული იყო ფეხბურთელებისთვის.

სუპერთასის რიგით მერვე გათამაშებას ახალი სპონსორი ჰყავს - „VTB ბანკი“, გაზრდილია საპრიზო ფონდიც და ამჯერად 25 000 ლარს შეადგენს.

ახლა კი სუპერთასის ისტორიას „გადავხედოთ“ და წარმატებული გუნდები თუ ცალკეული პიროვნებები ვახსენოთ. გუნდებში აბსოლუტური რეკორდსმენი თბილისის „დინამოა“ - ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დღეს მეექვსედ იასპარეზებს სუპერთასის გათამაშებაში. წინა ხუთი ფინალიდან „დინამომ“ მხოლოდ ერთხელ ვერ შეძლო საპატიო პრიზის მოპოვება, დანარჩენ ოთხ შემთხვევაში კი გამარჯვებული გამოვიდა. სუპერთასის „გუნდად“ იყო მიჩნეული „ბათუმიც“, ოღონდ სამი ცდიდან მხოლოდ ერთხელ მოახერხა გამარჯვება. ასევე თითოჯერ და წარუმატებლად იასპარეზეს ქუთაისის „ტორპედომ“, ბოლნისის „სიონმა“, რუსთავის „ოლიმპმა“ და თბილისის „ლოკომოტივმა“. აი, თბილისის „ამერს“ კი მართლაც, ასპროცენტიანი შედეგი აქვს: ორი მონაწილეობა და ორი გამარჯვება! ეგ კი არა, „ამერის“ მთავარი მწვრთნელი **გიორგი ჩიხრაძე** ქართველ კოლეგებში ერთადერთია, ვინც ორჯერ გაიმარჯვა სუპერთასზე. თითოჯერ ეს პატივი ერგოთ: **დავით ყიფიანს, ნოდარ აკობიას, შოთა ჭეიშვილს, ოთარ კორღალიძესა** და **კახა ცხადაძეს**. შარშან ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა სუპერთასისთვის გუნდი უცხოელმა მწვრთნელმა გამოიყვანა - ეს პატივი „ოლიმპის“ იმდროინდელ თავკაცს, უკრაინელ **ანატოლი პისკოვეცს** ხვდა წილად. აი, ფეხბურთელებს რაც შეეხება, დღემდე სუპერთასზე ხუთ უცხოელს უთამაშია: **ევოჩეს, ჩასემს** (ორივე - კამერუნი), **აკუასაგას** (გაბონი), **რამონს** (ბრაზილია) და **ინომოვს** (უზბეკეთი).

ქართველ ფეხბურთელებს შორის კი ორი გამოკვეთილი რეკორდსმენი გვყავს: **გრიგოლ დოლიძეს** („ამერი“) ოთხი გოლი აქვს გატანილი. ამასთან, დღესდღეობით აზერბაიჯანული „სიმურგის“ მარჯვენა ნახევარმცველი სხვა უნიკალური მაჩვენებლითაც მოიწონებს თავს: დოლიძე ერთადერთია, ვინც სუპერთასზე ჰეთ-თრიქის შესრულება მოახერხა.

დაბოლოს, აბსოლუტურ რეკორდსმენზეც: დღესდღეობით ბოლნისის „სიონის“ უნივერსალ ფეხბურთელს **გივი დიდავას** სუპერთასზე ხუთჯერ (!) გაუმარჯვია: აქედან - სამჯერ „დინამოს“ შემადგენლობაში, ორჯერ კი - „ამერის“. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ პირველ და უკანასკნელ გამარჯვებებს შორის სხვაობა თერთმეტი წელიწადია.

ისე, არბიტრებიც უნდა ვახსენოთ: ბოლო წლების ნომერ პირველი ქართველი მსაჯი **ლევან ფანიაშვილი** (ვისაც მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ) ერთადერთია, სუპერთასის გაძღოლა ორჯერ რომ მოუხდა.

**გია ტუხაშვილი**

ყველა მატჩი

### I გათამაშება

**დინამო-ბათუმი 4:0**

28.07.1996. ბათუმი. ცენტრალური. 7000 მაყურებელი

1:0 ა. იაშვილი (23), 2:0, 3:0 ყიზილაშვილი (52, 54), ცქიტიშვილი (78)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ლობჟანიძე (75. დიდავა), კუდინოვი, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, ანჩაბაძე (72. ინალიშვილი), კერძევაძე - ყიზილაშვილი, ა. იაშვილი (71. ხომერიკი)

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ბათუმი: ტოგონიძე - შანიძე (71. ი. მახარაძე), შეყილაძე, მ. მახარაძე, მინდაძე - ღლონტი, თორლაშვილი, ტულუში, ა. მუჯირი - უჯმაჯურიძე, დ. მახარაძე (54. ტრაპაიძე)

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: კიკნაძე

არბიტრი: ე. სილაგავა (თბილისი)

### II გათამაშება

**დინამო-ბათუმი 4:1**

4.08.1997. ქუთაისი. ცენტრალური. 6000 მაყურებელი

1:0 დ. მუჯირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27, პენალტით), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (75, პენალტით), 4:1 ალექსიძე (85)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ლობჟანიძე, ზ. ჯელაძე (46. გუჩუა), ჩხაიძე (88. დავითნიძე) - გოგიჩაიშვილი (64. ალექსიძე), კიკნაძე, ცქიტიშვილი (46. გოგობერიშვილი), დიდავა - დ. მუჯირი (58. ხომერიკი), ა. იაშვილი (87. გ. კვარაცხელია)

მწვრთნელი: დავით ყიფიანი

ბათუმი: ტოგონიძე - ი. მახარაძე (40. ფუტკარაძე), ასპინძელაშვილი, ჭიჭვეიშვილი, მინდაძე - ღლონტი, სიჭინავა, კანტიძე, სოლოღაშვილი - მაქაცარია (46. აფხაზავა), ჩუხუა (46. ყულეჯიშვილი)

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: მუჯირი, ჩუხუა, სოლოღაშვილი

გაძევება: სოლოღაშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### III გათამაშება

**დინამო-ბათუმი 1:2**

2.08.1998. ბათუმი. ცენტრალური. 5000 მაყურებელი

0:1 მაჭუტაძე (38), 1:1 ცქიტიშვილი (79), 1:2 ტულუში (81)

დინამო: სოლოღაშვილი - ი. მახარაძე, გ. კვარაცხელია (62. სახვაძე), გუჩუა, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, დ. მუჯირი (66. ლ. მელქაძე), ალექსიძე - ხომერიკი (68. გ. შენგელია), აშვეთია

მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა

ბათუმი: ტოგონიძე - გოგიტიძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მინდაძე (44. აფხაზავა) - სიჭინავა, ვერემჩუკი, კანტიძე (71. მაქაცარია), ტულუში - გადელია (31. ღლონტი), მაჭუტაძე

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: კანტიძე, გუჩუა

არბიტრი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### IV გათამაშება

**დინამო-ტორპედო 1:0**

29.02.2000. თბილისი. ეროვნული. 1500 მაყურებელი

1:0 წიტაიშვილი (16)

დინამო: გრიშიკაშვილი - შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ქემოკლიძე - ჯინჭარაძე, გუჩუა, სიჭინავა, სახვაძე (89. რუხაძე) - დათვაძე (80. ანჩაბაძე), წიტაიშვილი (90. ხუციშვილი)

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

ტორპედო: გრ. ჭანტურია - ამისულაშვილი, მახვილაძე (23. ასათიანი), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (76. ბობოხიძე) - ახვლედიანი, კვეტენაძე, კ. ჩხეტიანი, იონანიძე - იმედაძე (65. დ. ჯანაშია), გ. მეგრელაძე

მწვრთნელი: დავით ყიფიანი

გაფრთხილება: გუჩუა, სახვაძე, ვაშაკიძე

არბიტრი: კ. მესხი (ზუგდიდი)

### V გათამაშება

**დინამო-ლოკომოტივი 1:0**

17.09.2005. ბათუმი. ცენტრალური. 3000 მაყურებელი

1:0 ბობოხიძე (69)

დინამო: სტურუა - კ. ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია - ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ბაბუნაშვილი (88. ნავალოვსკი) - ლ. მელქაძე (59. ს. იაშვილი), ბობოხიძე (83. გიგაური)

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

ლოკომოტივი: გრ. ჭანტურია - საჯაია, გ. ონიანი (75. დ. ფოფხაძე), მახვილაძე, რ. ონიანი - სეთურიძე, ქებაძე, ინომოვი (79. ა. ნოზაძე), სირაძე - რამონი (55. ალავერდაშვილი), კახელიშვილი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

გაფრთხილება: ალადაშვილი, გ. ონიანი, ა. ნოზაძე

გაძევება: იაშვილი, რ. ონიანი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### VI გათამაშება

**ამერი-სიონი 1:0**

1.12.2006. თბილისი. მიხეილ მესხი. 4000 მაყურებელი

1:0 დოლიძე (38)

ამერი: ქვაჩახია - დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (90. მჭედლიშვილი), ბოლქვაძე, დეკანოსიძე, გ. ჯელაძე - წინამძღვრიშვილი (85. სევასტოპულო), ტატანაშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

სიონი: ბობლიაშვილი - კობაური, ჭიჭვეიშვილი, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი - ვ. უგრეხელიძე (46. კვიტაიშვილი), ბაჯელიძე (63. შავგულიძე), ოქროპირიძე, ალავიძე - ევოჩე (80. ქარდავა), ჩასემი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ბოლქვაძე, დიდავა, რაქვიაშვილი, ქვაჩახია, ჩასემი, ოქროპირიძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

### VII გათამაშება

**ოლიმპი-ამერი 1:4**

9.12.2007. გორი. თ. ბურჯანაძე. 2500 მაყურებელი

0:1 დოლიძე (29), 0:2 დოლიძე (65), 0:3 დოლიძე (71), 0:4 რ. გოცირიძე (88), 1:4 ყრუაშვილი (90)

ოლიმპი: მერლანი - ორბელაძე, აკუასაგა, მახვილაძე - კახელიშვილი, დევდარიანი, გენაძე, სილაგაძე (73. ქებაძე), ნავალოვსკი (50. კოშკაძე) - რ. ჯიქია, დვალიშვილი (73. ყრუაშვილი)

მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

ამერი: ქვაჩახია - კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (75. ალავიძე), დეკანოსიძე, ბოლქვაძე (75. მესხი), დიდავა, გ. ჯელაძე - ტატანაშვილი (80. რ. გოცირიძე)

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჩიკვილაძე, ორბელაძე, ელბაქიძე, ქვაჩახია, დიდავა

გაძევება: ორბელაძე

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)



შარშანდელი სუპერთასის გამარჯვებული თბილისის ამერი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

ილია სპასოევიჩი

# ახლა სუპერთასიც მინდა!

## საქართველო და ჩერნოგორია თანაბარი ძალის გუნდები არიან

ცხინვალის „სპარტაკთან“ გასული ტურის საგარეო შეხვედრაში დინამოელმა ილია სპასოევიჩმა დუბლი შეასრულა. უფრო ადრე, ჩერნოგორიელმა ორი ბურთი გაიტანა „ბორჯომთან“ საშინაო მატჩშიც. დღეისთვის მას 5 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა შორის ფიგურირებს...

მოკლედ, სპასოევიჩმა გოლებს მოუხშირა და ეს აღნიშვნის ღირსია. ამას გარდა, მან ბევრი რამ იცის ჩერნოგორიის ნაკრებზეც, რომელიც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა. და კიდევ, დღეს ხომ სუპერთასია - სპასოევიჩის „დინამო“ „ზესტაფონს“ შეეჭიდება და საინტერესოა, რას ფიქრობს ჩემპიონის ლეგიონერი დღევანდელ მატჩზე...

**- ილია, პირველ რიგში, ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩზე ვთქვათ, რომელშიც დუბლი შეასრულე...**

- მართალია, დიდი ანგარიშით (3:0) მოვიგეთ, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ იოლი გასეირნება გვქონდა. რთული მატჩი რომ იქნებოდა, ეს მანამდეც ვიცოდით. „სპარტაკი“ აუტსაიდერია და ბუნებრივია, ყველა თამაშში ქულებისთვის გააფთრებით იბრძვის... სხვათა შორის, მათაც შეეძლოთ გატანა და ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ძელს მოარტყეს ბურთი, ჩვენმა მეკარემაც იმარჯვა... თუმცა 2:0-ის შემდეგ საბოლოოდ გატყდნენ.

**- თქვენს გოლებზე რას იტყოდით?**

- რა ვთქვა... პირველი - ინდივიდუალური მოქმედების ნაყოფი იყო, მცველებს გავცდი და მეკარეს შანსი აღარ დავუტოვე. მეორე გოლი კი ოდიკაძის კუთხურიდან გავიტანე, მცველებს დავასწარი და თავით შევაგდე. ისეთი არაფერი...

**- გავიხსენოთ „ბორჯომთან“ გატანილი ორი გოლიც. ამ ბოლო დროს დუბლებს მოუხშირეთ...**

- ალბათ, არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ფორვარდი ვარ და ფორვარდისთვის ხომ გოლი ვალდებულებაა. რაც შეეხება იმას, რომ დუბლებს, და საერთოდ, გოლებს მოვუხშირე, რა გითხრათ... ერთი ხანობა, ნაკლებად მიწევდა თამაში. რაინერ ცობელი მელაპარაკა ამის თაობაზე. მან გამამხნევა და მითხრა, რომ უფრო სწრაფად უნდა მეთამაშა, და რომ შემეძლო, გოლების გატანა... ამის მერე საკუთარ თავზე ბევრი ვიმუშავე. ვფიქრობ, ამ მუშაობის შედეგი უკვე სახეზეა. სამ ტურში ოთხი გოლი მშვენიერი მიღწევაა. ამიტომ, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს მთავარ მწვრთნელს. მისგან ახლა მეტ ნდობას ვგრძნობ და ეს ძალზე მახარებს, სტიმულს მაძლევს. ვინც იცის, დამეთანხმება, რომ ფეხბურთელისთვის მწვრთნელის მხრიდან გამხნევება და ნდობა ძალიან ბევრს ნიშნავს.



**- „ბორჯომთან“ ეფექტური გოლი გაიტანეთ, ქუსლით...**

- ეს სხვებმაც აღნიშნეს. ელიავამ ჩამოაწოდა და ერთი შეხებით, ქუსლით დავარტყი. მართლაც ეფექტური გოლი გამოვიდა... მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ეფექტი არ მაინტერესებს, მთავარია, გავიტანო.

**- ერთი დუბლიც და მათე ვაწაძეს დაეწევით...**

- მართლაც კარგი ფორვარდია და გულწრფელად გეუბნებით, მათეს ვქომაგობ კიდეც. მას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. ის თავადვე ქმნის საგოლე მომენტს და მერე კარგადაც იყენებს. ალბათ, მათეს მალე ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახებენ... რაც შეეხება კითხვას... მთავარია, „დინამომ“ ყველა თამაში მოიგოს და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ უფრო მეტს გაიტანს... ისე, საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირობაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი...

**- რაკი ჩემპიონატი ახსენეთ, აქვე გკითხავთ - ეს თქვენთვის უკვე მესამე ქართული სეზონია. რას იტყვით ჩემპიონატის დონესთან დაკავშირებით? მაღლა იწევს თუ პირიქით?**

- ვფიქრობ, ეს ჩემპიონატი წინა ორს ჯობია, უფრო დაძაბულად მიმდინარეობს, უფრო მეტია სენსაცია და სიურპრიზიც... აქამდე, საქართველოში ორი ტიტული მოვიგე და დიდი სურვილი მაქვს, კოლექცია კიდევ ერთით გავამდიდრო...

**- სუპერთასით?**

- დიახ, ვერცხლისა და ოქროს მედლების შემდეგ ახლა სუპერთასიც მინდა, მეც და მთელ გუნდსაც.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს „დინამო“ სუპერთასის მოგებას?**

- „ზესტაფონი“ ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ უნდა მოვიგოთ. უკვე 6 მატჩია, „დინამოს“ გოლი არ გაუშვია. კარგი იქნება, თუ „მშრალ“ სერიას სუპერთასის მატჩით გავაგრძელებთ და თუნდაც ერთ გოლს გავიტანთ. მოკლედ, სამივე ტიტულის მოგება გვინდა და მჯერა, „დინამოს“ ეს შეუძლია.

**- სუპერთასამდე „ზესტაფონს“ უფრო რთული თამაში ჰქონდა, ვიდრე „დინამოს“...**

- არ მგონია, 3 დეკემბრის მატჩისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ერთი ეგ არის, რომ „ზესტაფონს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს და ამ გუნდის ფეხბურთელებისთვის ეს დამატებითი მოტივაცია შეიძლება იყოს.

**- 90 წუთი საკმარისი იქნება სუპერთასის მფლობელის გამოსავლენად?**

- ჩემი აზრით, საკმარისი იქნება, თუ არა და, ისედაც უნდა მოვიგოთ!

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „დინამო“ წინ მიიწევს, მაგრამ კონკურენტებიც იგებენ...**

- ახლა პირველ ადგილზე რომ არ ვართ, ცუდი სტარტის ბრალია. უპატიებელი ქულები დავკარგეთ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ვითამაშებთ „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზესტაფონთან“.

**- ჩერნოგორიის ნაკრებში კი გიძახებენ, მაგრამ სტაბილურად არ თამაშობთ. რა არის ამის მიზეზი?**

- როცა სათამაშო პრაქტიკა მაქვს, მაშინ მიწვევენ ნაკრებში. ახალგაზრდულში სულ 5 მატჩი ჩავატარე. ამ თამაშებში ორი გოლი გავიტანე.

**- ჩერნოგორია შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეა. სამშობლოში არაფერს გეკითხებიან ექტორ კუპერის გუნდზე?**

- როგორ არა? მე კი ვეუბნები იმას, რასაც ვფიქრობ - საქართველოს ნაკრები კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ძლიერი გუნდია.

**- საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩებიდან რომელი ნახე?**

- ირლანდიასა და ბულგარეთთან. ამ ორ მატჩს თუ შევადარებთ, აშკარად გამოჩნდება, რომ თქვენმა ნაკრებმა მოუმატა. ბულგარელებთან კარგად ითამაშეთ, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეთ, არადა, მოგებას ნამდვილად იმსახურებდით. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები გაისად უფრო ძლიერი იქნება. თქვენი ნაკრებიდან რამდენიმე ფეხბურთელის მიმართ სიმპათიაც მაქვს...

**- რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- კალაძე, კობიაშვილი, ყენია და მჭედლიძე.

**- ორივე ნაკრების ძალა იცი. რომელი აჯობებს საგაისო მატჩებში?**

- ჩერნოგორიას საქართველოსთან პირველი მატჩი აპრილში აქვს, თბილისში. ვინ მოიგებს? გამიჭირდება პროგნოზის გაკეთება. გააჩნია, აპრილამდე დარჩენილ დროს ვინ როგორ გამოიყენებს, ვის როგორი შემადგენლობა ეყოლება... ჩემი აზრით, საქართველო და ჩერნოგორია თანაბარი ძალის გუნდები არიან.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# კვარაცხელია მინსკის დინამოში?

## ქართველმა ლეგიონერმა მტზ-რიპო დატოვა, მას ლუკაშენკოს ფავორიტი იწვევს...



საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გია კვარაცხელია ივლისის ბოლოს ბელარუსის ვიცე-ჩემპიონ მინსკის „მტზ-რიპოში“ ჩაირიცხა და მალე გუნდის ლიდერადაც იქცა. გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად, ოთხი თვის განმავლობაში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად სამჯერ (აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში) სწორედ კვარაცხელია აღიარეს. ამ ოთხ თვეში მან ჩემპიონატსა და თასზე 20 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 7 გოლი, რაც ნახევარმცველის კვალობაზე მშვენიერი შედეგია...

ამის მიუხედავად, კვარაცხელიამ მინსკში დარჩენა არ ისურვა. იანვრიდან ის ახალ კლუბში ჩაირიცხება. ეს გადაწყვეტილება გუშინ თავად ფეხბურთელმა გაგვიმხილა. თურმე, ბელარუსულ ფეხბურთს უმძიმესი პრობლემები შეექმნა...

- ბელარუსში ფინანსური კრიზისია. კლუბების უმრავლესობა გაკოტრების პირასაა და უცხოეთში ფეხბურთელებს ველარ ყიდულობენ. ყიდვას ვინ ჩივის, არავინ იცის, მომავალ სეზონამდე გადარჩებიან თუ არა. რაღა შორს წავიდე, პირადად მე უკვე ოთხი თვეა ხელფასი არ ამიღია. „მტზ-რიპოს“, რომელიც ბელარუსში უმდიდრეს კლუბად მიიჩნევა, და რომლის მეპატრონე ვლადიმირ რომანოვს კლუბები შოტლანდიასა და ლიტვაშიც ჰყავს, ეტყობა, ბოლო დროს გაუჭირდა. როგორც გვითხრეს, ეს მსოფლიოს საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგად მოხდა.

**- რას აპირებ?**

- რას ვაპირებ? უკვე გადავწყვიტე, გუნდიდან მივდივარ.

**- ასეთ შემთხვევაში, ფიფასგან თავისუფალი აგენტის სტატუსს იოლად მიიღებ...**

- მეც ეს მსურს. რომანოვს დავუკავშირდი და ვუთხარი - შენგან ბევრი სიკეთე მახსოვს, მაგრამ უხელფასოდ ვერ ვითამაშებ და გათავისუფლების ცნობა მომეცი-მეთქი. თუ მომცეს თავისუფალი აგენტის სტატუსი, ხომ კარგი... თუმცა რომანოვის პასუხი ჯერ არ ვიცი.

**- კლუბს ფიფაში ხომ არ უჩივლებ?**

- საქმის ასე გამწვავება არ მსურს. მესმის, რომ პრობლემებია და ერთმანეთს ადამიანურად უნდა დავემშვიდობოთ. რომანოვმა მიმიწვია „კაუნასში“ და მერე ბელარუსში გადამიყვანა... მაგრამ თუ თავისუფალი აგენტის სტატუსზე უარი მითხრეს, მაშინ ფიფას დახმარება დამჭირდება. „მტზ-რიპოდან“ დამიკავშირდნენ და მთხოვეს, „თანამეგობრობის თასზე“ მაინც გავყვე, მაგრამ ვუთხარი - უხელფასოდ თამაშს აღარ ვაპირებ-მეთქი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა წასვლა, მაინც საინტერესო ტურნირია, მაგრამ ვიდრე დავალიანებას არ გამისტუმრებენ, არ ვითამაშებ!

**- ახალ კლუბში გადასვლა რამდენად რეალურია?**

- უკვე შემომთავაზეს ბელარუსის ერთ-ერთ კლუბში თამაში და აზერბაიჯანის ვარიანტიც მაქვს. ახლა ვფიქრობ, სად ჯობია გადასვლა.

**- კი, მაგრამ თუ ბელარუსში ფინანსური პრობლემებია, ამ ქვეყანაში დარჩენას რა აზრი აქვს?**

- მინსკის „დინამოსა“ და ბორისოვის ბატე-ს გარდა, ყველას უჭირს. მე კი მინსკის „დინამოში“ მიმიწვიეს და ერთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. საკმაოდ კარგი პირობებია და არ არის გამორიცხული, „დინამოში“ ჩავირიცხო კიდეც. თუმცა ჯერ არსად მეჩქარება, ყველაფერი საფუძვლიანად უნდა ავწონ-დავწონო.

**- ვითომ მინსკის „დინამოს“ არ ემუქრება კრიზისი?**

- რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ მაინც არ მგონია, „დინამოს“ გაუჭირდეს. ბოლოს და ბოლოს, ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს საყვარელი კლუბია, სახელმწიფო აფინანსებს და კარგადაც პატრონობენ... ამბიციებიც არ აკლიათ. ბატე-ს რაც შეეხება, ის ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და ყველანაირად ეხმარებიან, რომ არ გაუჭირდეს. მოკლედ, ახლა მთავარია, თავისუფალი აგენტი გავხდე და მერე კლუბს იოლად მოვძებნი.

**მერაბ მამულაშვილი**

კონფლიქტი

# 10 დეკემბერს პროცესი ფიფაში

## ანუ არიან თუ არა ქართველები რასისტები?

გაბონის ეროვნული ნაკრების წევრების - თავდამსხმელ **ჯორჯ აკირემისა** და კაპიტან **პოლ კესანის** საკითხს უეფა უახლოეს დღეებში განიხილავს. აკირემი, თბილისის „დინამოს“ დაუკითხავად, უკრაინაში გაემგზავრა და ლვოვის „კარპატის“ მიადგა. აკირემის „კარპატიში“ თამაში სურდა, თუმცა უკრაინულ კლუბში მისი უნებართვოდ ჩასვლის ამბავი რომ გაიგეს, მაშინვე დაითხოვეს.

ზესტაფონში „სასტიკად ნაცემი“ კესანი კი გაბონიდან საფრანგეთში, ხოლო იქიდან ისრაელში ჩავიდა. „რასისტი“ ქართველების მიერ „აბუჩად აგდებული“ გაბონელი ნახევარმცველი ახლა ისრაელის კლუბშია და კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს...

როგორც შევიტყვეთ, აფრიკელების საკითხს ფიფა 10 დეკემბერს განიხილავს. ქართული მხარე სერიოზულად ემზადება პროცესისთვის, რომლის მოგება პრესტიჟის საქმეა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისში ფიფას პრეზიდენტ **იოზეფ ბლატერის** ვიზიტის დროს, მას „ზესტაფონის“ პრეზიდენტი **ილია კოკაია** შეხვდა და ვითარება დეტალურად აუხსნა, რაზეც ბლატერისგან მრავლისმეტყველი რეპლიკა მიიღო - აფრიკის კონტინენტის წარმომადგენლებს მსგავსი თემებით სპეკულირება უყვართ და კისერს წაიტეხენო...

ვნახოთ, 10 დეკემბერს გამოჩნდება, რამდენად გულწრფელი იყო ბლატერის კომენტარი. ქართული კლუბები კი იმედიანად არიან. ისინი მიიჩნევენ, რომ სიმართლე მათ მხარესაა და პროცესის მოგება, წესით, ტექნიკის საქმე უნდა იყოს.

ამასთან დაკავშირებით, თბილისის „დინამოს“ ოფიციალურ ვებგვერდს კომენტარი მისცა კლუბის მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ**. ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

*„უცხოელი ფეხბურთელების მიერ კლუბის უკანონოდ მიტოვების ფაქტები, უმეტესად, გაბონელი ფეხბურთელების მხრიდან იქნა გამოვლენილი. ამას გარკვეული ახსნაც შეიძლება მოვუძებნოთ. სულ ცოტა ხნის წინ, გაბონის ნაკრები ფიფას რეიტინგში საქართველოს ნაკრებს ბევრად ჩამორჩებოდა. თუმცა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა (მათ დაძლიეს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი და ფინალის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობენ) ამ ქვეყნის ნაკრები ფიფას რეიტინგში მნიშვნელოვნად დააწინაურა. გაიზარდა ინტერესი როგორც ამ ნაკრების ფეხბურთელების მიმართ, თავად მოთამაშეებსაც გაუჩნდათ უკეთეს ჩემპიონატებში თამაშის სურვილი. თუმცა სურვილის გარდა, არსებობს სამართლებრივი მხარეც, რომელსაც „დინამო“ იცავს და ყოველთვის დაიცავს. ერთია, როცა ფეხბურთელი კლუბებს შორის მოლაპარაკების შედეგად იცვლის გუნდს და მეორე, ის, რაც აღნიშნულ შემთხვევაში მოხდა - ფეხბურთელი თვითნებურად ტოვებს გუნდს და შემდეგ ცდილობს, კლუბი სხვა გუნდში გაშვებაზე დაითანხმოს. ასეთ შემთხვევაში, „დინამო“ საკუთარი რეპუტაციისთვის ჩრდილის მიყენებას არ დაუშვებს და ყოველთვის პრინციპულ პოზიციას დაიკავებს. ასე რომ, აკირემთან დაკავშირებით, „დინამო“ ფიფას ვერდიქტს ელოდება“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი — შეჯამება. უკრაინა

# წარსულის ლანდები

## ანუ, ქართული ლეგიონის გასაჭირი ვიშალიგაში

**უკრაინის ვიშალიგის 17 ტური (პირველი წრე პლუს ორი ტური) გაილია და გუნდები ზამთრის შესვენებაზე გავიდნენ. წლეულს მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართება - ჭიევის „დინამო“ გამოტოვებულ შეხვედრას ერთ-ერთ აუტსაიდერ მარიუპოლის „ილიჩივეცთან“ სტუმრად გამართავს. თუმცა ეს მატჩი ვერც სატურნირო სიტუაციაზე იქონიებს გავლენას და ვერც ქართული ლეგიონის ყოფაზე.**

**მაშ ასე, გთავაზობთ ქართული ლეგიონის უკრაინულ მიმოხილვას...**

იყო დრო, ამ ქვეყანაში ჩვენი ფეხბურთელები ბრწყინავდნენ, გუნდები სანახევროდ ქართველი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული და ამით გადიოდნენ ფონს. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. დღეს უკრაინაში ქართულ ლეგიონს უჭირს. ჩვენებურთა უპირველესი პრობლემა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობაა.

კიევის „დინამო“ 40 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს, უახლოეს მეტოქეს 3 ქულით უსწრებს და თამაშიც რეზერვში აქვს. წარსულის მწარე გამოცდილების მიუხედავად (სამი ქართველი ფეხბურთელი ჯერაც კიევის „დინამოს“ საკუთრებაა, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში ისინი „დინამო 2“-ში თამაშობენ) კიდევ ერთმა ჩვენებურმა გარისკა ამ სახიფათო მდინარეში შესვლა - ზაფხულის მიწურულს 27 წლის **მალხაზ ასათიანი** საქართველოსთან მებრძოლ რუსეთს გაერიდა და იჯარის წესით კიევის „დინამოში“ გადაბარგდა. ვერ ვიტყვით, რომ ასათიანი კარგად ათამაშდა, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში თავის გამოჩენის შანსი მიეცა, ეს კი ცოტას არ ნიშნავს. ასათიანმა უკრაინის ჩემპიონატის ზედიზედ ხუთ (ოთხჯერ სასტარტოში) ტურში ითამაშა და 25 ოქტომბრის შემდეგ შინაურ ასპარეზზე აღარ გამოჩენილა...

მეორე ადგილზე ხარკოვის „მეტალისტია“, რომელსაც სექტემბერში, მოულოდნელად, **ლაშა ჯაკობია** დაუბრუნდა. თუმცა ქართველი ფორვარდის დაბრუნებას, ჯერჯერობით, სრულფასოვანს ვერ ვუწოდებთ - ის არც ჩემპიონატში და არც უეფას თასზე არ გამოჩენილა. ლაშა ფორმას დუბლებსა და უკრაინის თასზე თამაშით იბრუნებს. 28 წლის ჯაკობიამ თასზე ორჯერ გამოიჩინა თავი - ერთხელ გოლი გაიტანა, ერთხელაც საგოლე გადაცემა გააკეთა. სხვათა შორის, „მეტალისტის“ დუბლებში თამაშობს 17 წლის ნახევარმცველი **გიორგი გაბისონია**, რომელიც ხარკოველია.

უკრაინის ჩემპიონატის საშემოდგომო ნაწილის აშკარა იმედგაცრუებაა „დნიპრო“, რომელიც 24 ქულით მხოლოდ მე-7 ადგილზეა. იქ მოთამაშე ქართული ლეგიონისთვის კი ეს თვეები სულაც დაკარგულია. საქართველოს ნაკრების 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჯაბა კანკავას** ისე დაშავდა, ჯერაც ვერ ახერხებს ვარჯიშს, ამ ჩემპიონატში ერთი მატჩიც არ უთამაშია. **სანდრო კობახიძე** პირველი გუნდის წევრად კი ითვლება, მაგრამ მან ვერც ამ სეზონში მოახერხა ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვება. კობახიძე რეგულარულად თამაშობს დუბლებში, სადაც მას პოზიცია შეუცვალეს და თავდასხმაში გადაიყვანეს. სხვათა შორის, ქართველს ხშირად აქებენ, თუმც 21 წელი უკვე ის ასაკია, როცა ფეხბურთელმა ძირითად გუნდში თავის დამკვიდრება უნდა შეძლოს. „დნიპროს“ დუბლებში 6 შეხვედრა ჩაატარა 18 წლის ნახევარმცველმა **ბექა ბეროშვილმა**, რომელიც იქ თბილისის „ოლიმპიკიდან“ მოხვდა. კობახიძემ დუბლების 15 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

ლუგანსკის „ზარიის“ (21 ქულა, მე-8 ადგილი) ნახევარმცველი **გიორგი ციმაკურიძე**, ალბათ, ერთადერთია ჩვენებურთაგან, რომელიც ვიშალიგაში სტაბილურად ასპარეზობს. არადა, ერთი-ორჯერ მანაც დაიმსახურა მწვრთნელის შენიშვნა, ძირითადშიც დაკარგა ადგილი, თუმცა ბრძოლითა და მონდომებით ყველაფერი დაიბრუნა - „ზარიის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 25 წლის ციმაკურიძემ 13 მატჩში (6 სასტარტოში) ითამაშა. მან ორი გოლი გაიტანა და სამი ყვითელი ბარათი მიიღო.

ოდესის „ჩერნომორეცი“ 20 ქულით მე-9 ადგილზეა. სეზონის წინ გუნდს პირველ ლიგაში იჯარით მოთამაშე **კახა მჟავანაძე** დაუბრუნდა. გამოცდილი მცველი თითქოს თავიდანვე კარგად მოერგო გუნდს, მაგრამ ბოლო მატჩებში სასტარტოში ადგილი მაინც დაკარგა. 30 წლის მჟავანაძემ 9 მატჩში (8 სასტარტო) ითამაშა.

ლვოვის „კარპატის“ ახალწვეული **სანდრო გურული** ურიგოდ არ გამოიყურება. „კარპატი“ 19 ქულით მე-10 ადგილზეა. მართალია, **გია გურულის** ვაჟი დიდი პროდუქტიულობით ვერ გამოირჩევა, მაგრამ მოედანზე მუდამ აქტიურია და მეტოქის დაცვას ბევრ პრობლემას უქმნის. და კიდევ ერთი - სანდრო „კარპატის“ ფანების ფავორიტი გახდა. მათ გურული სექტემბრის თვის კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 23 წლის გურულმა 9 მატჩში (8 სასტარტოში) 1 გოლი გაიტანა.

სიმფეროპოლის „ტავრია“ 14 ქულით მე-13 ადგილზეა და გაზაფხულზე ვიშალიგაში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა. ამ გუნდში 2 ქართველი თამაშობს... თუმცა „თამაშობს“ ხმამაღალი ნათქვამია - რაც **ლადო ბურდული** „ტავრიის“ წევრი გახდა, მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ჯამში 48 წუთი დაყო მოედანზე. ვერ აეწყო საქმეები ამ კლუბში მიბრუნებულ **ვასილ გიგიაძესაც**. ერთ დროს უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირს უკვე ასაკიც ეტყობა (31 წლისაა) და მას გოლების გატანა ძალზე უჭირს. გიგიაძემ 15 თამაშში (6 სასტარტოში) მხოლოდ ერთხელ შეძლო გატანა. არადა, სეზონი ძალიან კარგად დაიწყო - ევროთასებზე „ტავრიის“ ღირსეული გამოსვლა მისი დამსახურებაა.

ისევ „დინამოს“ დავუბრუნდეთ. კიეველთა მეორე გუნდმა პერშალიგაში შემოდგომის ციკლი მე-13 ადგილზე ჩაამთავრა 21 ქულით. ამ სეზონში **კახა ალადაშვილმა** 6-ჯერ ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა. **დავით იმედაშვილმა** 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა, **ოთარ მარცვალაძემ** კი 11 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა. „დინამო 2“-ში კიდევ ერთი ქართველია - 20 წლის მცველი **ლაშა თოთაძე**. კიდევ ერთი, ტომით ქართველი - **თეჰურ ფარცვანია** უკრაინის მოქალაქეა. მან 8 მატჩი ჩაატარა. პირველ ლიგაში მოასპარეზე ჩერნიგოვის „დესნის“ ღირსებას 22 წლის **გიორგი ფარფალია** იცავს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ჩემპიონატი

**პირველი ლიგა**
**აღმოსავლეთი**
**1 დეკემბერი**

**გაგრა 2-დინამო 2 2:6**

0:1 სიხარულიძე (1), 0:2 მამუჩიშვილი (13), 0:3 ლექვაძე (40), 0:4 სიხარულიძე (45), 0:5 სიხარულიძე (56), 1:5 კილაძე (76), 1:6 კაჭკაჭიშვილი (81), 2:6 ხოკერაშვილი (83)

გაგრა 2: ხომერიკი, სეფიაშვილი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, თ. მეტრეველი, სეთურიძე (55. ხოკერაშვილი), ფილია (46. ჯალიაშვილი), ხელაძე (46. ფანცხავა), კილაძე, ჩხაიძე, მესხი

*სათადარიგო:* ნაჭყებია

მთავარი მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე

დინამო 2: ლორია, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, კეკელია, მამუჩიშვილი (68. ქამუშაძე), ჩადუნელი, ვ. ბოლქვაძე, ლექვაძე (60. ზ. ლობჟანიძე), სიხარულიძე, ჯიშკარიანი (73. ჩიკვაიძე)

*სათადარიგოები:* ჭყონია, ნემსაძე, კოპაძე, ჯოხაძე

მთავარი მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: კეკელია

არბიტრი: ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**მეორე ლიგა**
**აღმოსავლეთი. XIV ტური**
**2 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| ლიახვი-იმედი | 1:1 |
| ერთობა-35-ე სკოლა | 4:3 |
| ალაზანი-წ/დინამო | 1:0 |
| ზოოვეტი-ლოკომოტივი 2 | 1:2 |
| სამგორი-დუშეთი | 1:1 |
| ჰერეთი 2-ბორჯომი 2 | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დუშეთი | 15 | 10 | 2 | 3 | 32-13 | 32 |
| 2. ლოკომოტივი 2 | 14 | 9 | 3 | 2 | 31-15 | 30 |
| 3. სპარტაკი 2 | 14 | 9 | 2 | 3 | 35-20 | 29 |
| 4. ამერი 2 | 14 | 8 | 2 | 4 | 22-11 | 26 |
| 5. გარეჯი | 14 | 7 | 2 | 5 | 21-14 | 23 |
| 6. ერთობა | 14 | 7 | 2 | 5 | 24-23 | 23 |
| 7. ჰერეთი 2 | 14 | 7 | 1 | 6 | 32-22 | 22 |
| 8. ბორჯომი 2 | 14 | 7 | 1 | 6 | 18-22 | 22 |
| 9. სამგორი | 14 | 5 | 6 | 3 | 25-19 | 21 |
| 10. I.B.S.U. | 14 | 6 | 1 | 7 | 26-29 | 19 |
| 11. 35 ს.ს. | 14 | 5 | 4 | 5 | 22-25 | 19 |
| 12. იმედი | 14 | 4 | 5 | 5 | 17-21 | 17 |
| 13. არაგველები | 14 | 4 | 4 | 6 | 15-17 | 16 |
| 14. ლიახვი | 15 | 4 | 4 | 7 | 20-26 | 16 |
| 15. ალგეთი | 14 | 4 | 2 | 8 | 16-26 | 14 |
| 16. ზოოვეტი | 14 | 3 | 2 | 9 | 18-29 | 11 |
| 17. ალაზანი | 14 | 3 | 2 | 9 | 11-27 | 11 |
| 18. წ. დინამო 2 | 14 | 1 | 3 | 10 | 8-34 | 6 |

სავარაუდო ტრანსფერი

# მაკარიძეს დორტმუნდში გასინჯავენ

დღეს დილით საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მეკარე **გიორგი მაკარიძე** გერმანიაში გაფრინდა. როგორც გავიგეთ, დიუსელდორფის აეროპორტში მას დორტმუნდის „ბორუსიის“ წარმომადგენლები დახვდებიან და კლუბის ბაზაზე წაიყვანენ. ჩვენი ინფორმაციით, მაკარიძე „ბორუსიაში“ ტესტირებას გაივლის და თუ გერმანული გუნდის მესვეურებს თავს მოაწონებს, კლუბშიც ჩარიცხავენ. ამის მერე ის დუბლებში მოემზადება და იქვე ითამაშებს. მეკარეს თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა და გერმანიაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ საქართველო-შოტლანდიის მატჩის შემდეგ მაკარიძე ორი კვირის განმავლობაში „მიუნხენში“ ემზადებოდა.

ინფორმაციის გადასამოწმებლად თავად მაკარიძეს დავუკავშირდით. აი, მისი კომენტარიც: *„არ უარვყოფ, დიუსელდორფის აეროპორტში დორტმუნდული კლუბის ხელმძღვანელები დამხვდებიან... სინჯებს გავივლი და ვნახოთ, როგორ იქნება საქმე. იქ თავისუფალი აგენტის სტატუსით მივდივარ და იმედი მაქვს, დავრჩები. სხვა კლუბები? რომელიღაც გერმანულ კლუბებზე მეც მსმენია, „ჰამბურგიო“, „მიუნხენიო“... მაგრამ ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. ჩავალ გერმანიაში და დეკემბრის ბოლომდე, წესით, ყველაფერი უნდა გაირკვეს“.*

დავით ცაბაძე

მეტოქე. ბულგარეთი

# მარკოვი გაუშვეს

გუშინ ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა - ნაკრების თავკაცის პოსტზე **პლამენ მარკოვის** ყოფნა-არყოფნა. გადაწყდა, რომ 51 წლის სპეციალისტი ბულგარეთის ეროვნულ გუნდს აღარ უხელმძღვანელებს. პრინციპში, ეს მოსალოდნელიც იყო. მარკოვი თბილისურ 0:0-სა და ბელგრადში, სერბეთთან ამხანაგურ მატჩში განადგურებას (1:6) შეეწირა.

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციას მისი შემცვლელი ჯერ არ დაუსახელებია. სავარაუდო კანდიდატებს შორის უცხოელებიც არიან.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ — ლევან კობიაშვილი

# შალკეში ცუდი სიტუაციაა

## ...სხვანაირად არაფერი გამოვა და მოხდება ის, რაც აქამდეც ხდებოდა ჩვენს ნაკრებში



ლევან კობიაშვილსა და „შალკეს“ ბოლო დროს ვერ მისდით საქმე კარგად. გუნდი ბუნდესლიგაში მეცხრე ადგილზეა, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე სამი მატჩიდან ერთი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთიც წააგო, ხუთგუნდიან ჯგუფში მეორე ადგილზეა. დღეს „შალკე“ სტუმრად ეთამაშება ენსხედეს „ტვენტეს“ და თუ წააგო...

კობიაშვილს გუშინ სწორედ ჰოლანდიაში შევეხმიანეთ, „ტვენტესთან“ მატჩისთვის ბოლო ვარჯიშის შემდეგ. სიტყვა აქეთურ-იქეთურზე ჩამოვუგდეთ.

**- „შალკემ“ ბოლო ორი შეხვედრა წააგო - უეფას თასზე „მანჩესტერ სიტისთან“, ხოლო ბუნდესლიგაში „შტუტგარტთან“ - ორივე მატჩში ოდენ სათადარიგოთა შორის იყავი. რა არის ამის მიზეზი, მცირე ტრავმა თუ კონკურენცია?**

- ძნელია ამის დადგენა, არადა, მიზეზი მეც ძალიან მაინტერესებს. ტრავმა არაფერ შუაშია - ჯანზე ვარ. ჩვენს მწვრთნელთან არ მილაპარაკია და ზუსტად ვერაფერს მოგახსენებთ.

**- როგორ ფიქრობ, „შალკემ“ ბოლო მატჩები სხვა ტაქტიკით რომ ითამაშა, შენი ადგილი სასტარტოში ამიტომ არ გამოინახა?**

- ტაქტიკას რუტენი ხშირად ცვლის. ნახევარდაცვის ცენტრში ხან ორ ფეხბურთელს აყენებს, ხან - სამს. ბოლო მატჩებში მარცხენა მცველად მათამაშებდა, რაც ჩემი ადგილი არ არის - ნახევარდაცვის ცენტრში, ოდნავ მარცხნივ - ეს არის საუკეთესო პოზიცია ჩემთვის.

**- უშუალოდ „ტვენტესთან“ მატჩზე რას იტყოდი, როგორ შეაფასებდი „შალკეს“ შანსებს?**

- ფაქტია, კრიტიკულ სიტუაციაში ვართ. „ტვენტესთან“ რომ წავაგოთ, ფაქტობრივად, გავარდნილები ვართ უეფას თასიდან. თუ ასე მოხდა, გუნდში ალბათ რაღაცები შეიცვლება.

**- ისეთი სურათი დაგვიხატე, რომ „შალკეში“ ზოგადი სიტუაცია ვერ უნდა იყოს სახარბიელო, გუნდის შედეგებიც ამის გამოძახილია?**

- ზოგი თამაში მართლაც უიღბლობის გამო ვერ მოვიგეთ, მაგრამ საერთო ჯამში, უიღბლობა არაფერ შუაშია - გუნდში ვითარება ისეთი ნამდვილად არ არის, როგორიც უნდა იყოს. ბევრი ფეხბურთელი უკმაყოფილოა შექმნილი სიტუაციით.

**- პირველ რიგში რას გულისხმობ?**

- ბევრ ფეხბურთელს არ ათამაშებენ იმ პოზიციაზე, სადაც მათ ყველაზე კარგად გამოსდით თამაში. ყოველივე ეს აისახება შედეგსა და საერთო სიტუაციაზე. მიუხედავად ყველაფრისა, იმედი მაქვს, თამაშს გამოვასწორებთ.

**- რუტენი ჰოლანდიელია, თუმც „შალკე“ ალბათ არ თამაშობს ჰოლანდიურ სტილში, არ უყვარს შეტევა და ავანტიურა...**

- ჰოლანდიური სტილი რასაც ჰქვია, ის წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა ჰოლანდიის ნაკრებმა, „შალკე“ ასეთ ფეხბურთს ნაღდად არ თამაშობს. რუტენს უნდა, რომ გუნდმა შეუტიოს კიდეც, მაგრამ პირველ რიგში დაცვა და გოლის არგაშვება - ასე მიჰყავს საქმე.

**- „ტვენტე“ რუტენის ყოფილი გუნდია...**

- ჰო და ძალიან პრინციპული მატჩი გველის. ხუთგუნდიანი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე სამი გადის. ეს რომ ვერ მოვახერხოთ, ძალიან ნეგატიური მოვლენა იქნება „შალკესთვის“.

**- ლევან ყენია „შალკეს“ სამატჩო განაცხადში არ ჩანს. ტრავმა ჯერაც ვერ მოირჩინა?**

- ის ჯერაც ვერ ვარჯიშობს გუნდთან ერთად. ორი კვირის წინ სურათი გადაუღეს კოჭზე და აღმოჩნდა, რომ დაზიანება ისევ აქვს. ამ კვირის ბოლოს ისევ გადაუღებენ სურათს და საბოლოოდ გაირკვევა, როდის დაიწყებს სრული დატვირთვით ვარჯიშს.

**- ნაკრებზეც გკითხავ. 19 ნოემბერს რუმინეთთან ამხანაგურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო იყავი. თამაშის გაძლოლა ექტორ კუპერის დავალება იყო თუ ეს უბრალოდ ასე მოხდა?**

- მწვრთნელს ასეთი რამ არ დაუვალებია და კაპიტნის სამკლავურიც არაფერ შუაშია, უბრალოდ, ყოველთვის ვცდილობ, გავუძლვე ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელ ფეხბურთელებს და კარგია, თუ ეს გამომივიდა. ისე კი, საკუთარი თამაშის შეფასებას ყოველთვის ვერიდები.

**- რუმინეთთან როგორც კი მოედნიდან გახვედი, გუნდის თამაში აირია. ისე ჩანს, რომ საქართველოს ნაკრები ისევ ერთ-ორ ფეხბურთელზეა დამოკიდებული, გუნდური მექანიზმი მაინცდამაინც არ აქვს...**

- როცა ასე ხდება, რა თქმა უნდა, ცუდია, თუმც მეორე მხრივ საჭიროა ისეთი ფეხბურთელების გუნდში ყოლა, თამაშს საკუთარ თავზე რომ აიღებენ. მთავარია, გავათვითცნობიეროთ, რისთვის და ვისთვის ვთამაშობთ ეროვნულ ნაკრებში და ვიყოთ თვითკრიტიკულები - სხვანაირად არაფერი გამოვა და მოხდება ის, რაც აქამდეც ხდებოდა ჩვენს ნაკრებში.

დავით თავართქილაძე

# საქართველოს XX ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## ნოემბრის ნომინანტები

## მწვრთნელი — ვარლამ კილასონია (ოლიმპი)



საიუბილეო ჩემპიონატის კალენდრის გაცნობისას მაშინვე თვალში გვეცა ნოემბრის „არანორმალური“ გრაფიკი: ერთი თვის განმავლობაში გუნდებს ხუთ-ხუთი მატჩი უნდა ჩაეტარებინათ (არ ვგულისხმობთ სათასო შეხვედრებს). მოკლედ, ნოემბერი ყველაზე „მარათონული“ თვე გახლდათ - დანარჩენ დროს ოთხ-ოთხი ტური იყო სათამაშო. ჰოდა, ამ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენისას ხუთმატჩიანი სერიების შეჯამებით ვიხელმძღვანელეთ. მაქსიმალური შედეგი (ანუ, ხუთიდან ხუთი მოგება) ვერავინ მოახერხა, სამაგიეროდ ნოემბერში 13-13 ქულა დააგროვეს თბილისის „დინამომ“ და რუსთავის „ოლიმპმა“ (თითო ფრე და ოთხ-ოთხი მოგება); გასულ თვეში მესამე მაჩვენებელი ჰქონდა „ზესტაფონს“ - 12 ქულა (ოთხი გამარჯვება და ერთი წაგება), ხოლო ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი „ვიტ ჯორჯია“ 11 ქულით (სამი გამარჯვება და ორი ფრე) მეოთხე შედეგს დასჯერდა.

მოკლედ, თვის საუკეთესო გუნდი „დინამოსა“ და „ოლიმპს“ შორის ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. ქულები ხომ ერთნაირი ჰქონდათ, ბურთების სხვაობაში უპირატესობა **რაინერ ცობელის** გუნდის მხარეს იყო (14-2); თუმცა ურიგო არც „ოლიმპის“ მაჩვენებელი გახლდათ: 9-0! მაგრამ, იყო ერთი, თანაც არცთუ უმნიშვნელო ნიუანსი, რასაც მეტოქეთა სიძლიერე ჰქვია. „დინამომ“ ეს 13 ქულა შემდეგ გუნდებთან მოიპოვა: ფრედ ითამაშა „ვიტ ჯორჯიასთან“ და მერე ზედიზედ დაამარცხა „მგლები“, „ბორჯომი“, „გაგრა“ და „სპარტაკი“. „ოლიმპმა“ კი ნოემბერში, მართლაც ყველა გააოცა, როცა „სიონთან“ ფრესა და „სპარტაკთან“ და „მესხეთთან“ გამარჯვებას სტუმრად ორი „გრანდის“ („ლოკომოტივი“, „ზესტაფონი“) წაქცევა მიაყოლა! ალარაფერს ვამბობთ იმ არნახულ პროგრესზე, ჯერ „ოლიმპის“ თამაშზე, მერე კი სატურნირო ცხრილშიც რომ აისახა. მეტსაც ვიტყვით, ადრეც მიგვიმართავს ამ ხერხისთვის და რედაქციაში... „შიდა გამოკითხვაც“ (თანაც - ღია) ჩავატარეთ. ამ „გამოკითხვის“ შედეგი კი ასეთი გახლავთ - თვის საუკეთესო მწვრთნელი „ოლიმპის“ თავკაცი **ვარლამ კილასონიაა**! არ გვინდა გავიხსენოთ, რომელ ადგილზე იყო „ოლიმპი“, როცა გუნდში კილასონია მივიდა. სხვათა შორის, ახალი მწვრთნელის ხელში გუნდმა პირველი ორი მატჩი ფრედ ითამაშა, მაგრამ აი, ნოემბერში „ოლიმპმა“ ისეთი სპურტი მოაწყო, გზად არავის რომ არ ინდობდა. ისე, მართლაც, უცნაური ჩემპიონატი გვაქვს: სექტემბერსა და ოქტომბერში „თვის იმედგაცრუების“ ნომინაცია რომ გვქონოდა (არა უშავს, ახლა გამოვასწორებთ ჩვენს შეცდომას), ერთ გუნდს კონკურენტი არ ეყოლებოდა. ხვდებით, ალბათ, რომ „ოლიმპზე“ ვსაუბრობთ - სეზონის დაწყების წინ კლუბის ხელმძღვანელობამ „ვარსკვლავური“ შემადგენლობა შეკრიბა და ამ გუნდს ყველანი ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მივიჩნევდით. რუსთაველ ქომაგთა სამწუხაროდ, „ოლიმპმა“ პირველი გამარჯვება... 2 ნოემბერს (მეცხრე ტურში!) მოიპოვა; ჰოდა, ნავსი გატყდა და, როგორც უკვე გითხარით, გუნდმაც საკუთარი თამაში იპოვა. რალა თქმა უნდა, „ოლიმპის“ წარმატებულ ასპარეზობაში ლომის წილი მთავარ მწვრთნელს მიუძღვის: ვარლამ კილასონიას არც „საკადრო რევოლუცია“ მოუხდენია და არც სხვა რაიმე განსაკუთრებული ზომებისთვის მიუმართავს. უბრალოდ, რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა (მანამდე თავდაჯერებულობა რომ აკლდათ) აშკარად მოუმატა და ახალი მწვრთნელის ხელში, ცოტა არ იყოს, „სხვანაირად“ მოტივირებულნიც გამოიყურებიან. ზემოთ, „ზესტაფონთან“ და „ლოკომოტივთან“ მოპოვებული საგარეო გამარჯვებები ვახსენეთ; რალა თქმა უნდა, ამ ორივე ტურის მერე ვარლამ კილასონია კოლეგებში გამოვარჩიეთ. ორივე შემთხვევაში „ოლიმპმა“ სწორად არჩეული ტაქტიკის წყალობით მოიგო და ყოველივე ეს, შემსრულებლებთან ერთად, რალა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის დამსახურებაც იყო.

მოკლედ, ნოემბრის საუკეთესო მწვრთნელია „ოლიმპის“ თავკაცი ვარლამ კილასონია!

## ნოემბრის სიმბოლური ნაკრები

მწვრთნელი: **ვარლამ კილასონია** (ოლიმპი)

**რ. კვასხვაძე** (ზესტაფონი)

**ა. კვახაძე** (ვიტ ჯორჯია) **ჩიკვილაძე** (ოლიმპი)

**სეთურიძე** (ოლიმპი) **რ. ონიანი** (ზესტაფონი)

**ცქიტიშვილი** (ლოკომოტივი)

**გ. მერებაშვილი** (დინამო) **ხმალაძე** (დინამო)

**ბაბუნაშვილი** (ოლიმპი)

**ვაწაძე** (დინამო) **კვარაცხელია** (ვიტ ჯორჯია)

## ფეხბურთელი

ორი წელიწადია „თვის ნომინანტებს“ ვავლენთ და მსგავსი რამ არასდროს მომხდარა! ჰო, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ნოემბერში ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ ვცანით საუკეთესოდ!.. კი, იყო ცალკეული შემთხვევები, როცა კონკრეტულ მატჩში კონკრეტულმა ფეხბურთელმა თავი გამოიჩინა; მაგრამ, ისეთი, მთელი თვის განმავლობაში (აი, სექტემბერში - **რატი ალექსიძე**, ოქტომბერში - **ლექსო კვახაძე** რომ იყვნენ) სტაბილურად რომ ეასპარეზათ, ვერავინ გამოვარჩიეთ... რა თქმა უნდა, კარგად ვხვდებით, რომ ჩვენი „არჩევანი“ საკამათოა, მაგრამ სამწუხაროდ, მწარე რეალობაა. რეალობას კი ვერსად გავექცევით...

## იმედგაცრუება — ლოკომოტივი

აი, ეს კი, მართლაც მთავარი და, ამასთან, თვის მთავარი მოულოდნელობა გახლდათ - თბილისის „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატში ოთხი მატჩი ჩაატარა და ოთხივეში დამარცხდა! თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ საუბარია გუნდზე, წინა ორი თვე... სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერის რანგში რომ დაასრულა! რა თქმა უნდა, ეს დაკარგული 12 ქულა სერიოზული დანაკლისია და ამჟამად „ლოკომოტივი“ მეოთხე ადგილამდეა ჩამოქვეითებული. ეგ კი არა, დეკემბრის დასაწყისში ამ გუნდს ორი ურთულესი შეხვედრაც ელოდება, მაგრამ, მანამდე ალბათ, ის დროებითი კრიზისი დაძლეული იქნება. ამ ბოლო დროს „ლოკომოტივის“ წარუმატებლობაზე სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. ჭორებზე არაფერს ვიტყვით და მხოლოდ ორ მიზეზზე შევჩერდებით, ჩვენი აზრით, რამაც „ხელი შეუწყო“ ერთპიროვნული ლიდერის ასეთ დაღმასვლას. პირველი და, ალბათ, უმთავრესი მიზეზი საკადრო პრობლემები გახლდათ. დიახ, მართლაც, ცუდ დღეში აღმოჩნდნენ „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა მწვრთნელები **გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე**: ოთხივე წაგებულ მატჩში გუნდის ძირითადი შემადგენლობა ოპტიმალურისგან ძალიან შორს იდგა! ზოგს - ტრავმა, ზოგს - დისკვალიფიკაცია და ხშირად ხდებოდა, რომ იმ გუნდიდან, რომელმაც სეზონი დაიწყო, ნოემბერში სამი-ოთხი ფეხბურთელიღა იყო შემორჩენილი. აბა, როგორი საქმეა, **რატი ალექსიძის, ვიტალი დარასელიას** და **ირაკლი სამხარაძის** გარეშე ზედიზედ რამდენიმე თამაშს რომ ჩაატარებს გუნდი? ალარაფერს ვამბობთ დაცვის ხაზზე - **ნიკა გუშარაშვილის** ტრავმას სხვა მცველების პრობლემებიც დაემატა და ამის გამოც „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვხედავდით ყველასთვის უცნობ 18-19 წლის ბიჭებს.

წარუმატებლობის მეორე მიზეზი, ალბათ, არასაკმარისი მოტივაცია იყო. უფრო ზუსტად, ზედმეტი თავდაჯერებულობა: წარმატებულად ჩატარებულმა ორმა თვემ, შესაძლოა, ზოგიერთ ფეხბურთელზე უარყოფითად იმოქმედა.

ისე, ნოემბრის მიწურულს „ლოკომოტივმა“ არანაკლები, ოღონდ, ახლა უკვე სასიამოვნო მოულოდნელობით გაგვაოცა: ბოლნისის „სიონს“ სტუმრად ორბურთიანი უპირატესობით მოუგო და თასის ნახევარფინალშიც გავიდა. არადა, საშინაო მატჩი წაგებული ჰქონდა. თუმცა, „ლოკომოტივისგან“ ნებისმიერი მეტოქის წაქცევაც არ უნდა გაგვიკვირდეს: ზემოთ ნახსენები ალექსიძისა და დარასელიას გარდა ამ გუნდში ხომ **გიორგი ლომაია და ლევან ცქიტიშვილი** თამაშობენ!

## სკანდალი — ჩხუბი ბოლნისში

ცხრამეტი წლის განმავლობაში ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში რა აღარ მომხდარა: მსაჯების ცემა-ტყეპა, გულშემატკივრებს შორის ჩხუბი, ქომაგების მოედანზე შემოჭრა თუ სხვა. ბევრი ისეთი შემთხვევაც გვახსოვს, კლუბის ხელმძღვანელს... მსაჯის მოქმედება რომ არ მოსწონებია და მოედანზე შემოსულს, ზოგს თამაში შეუჩერებია, ზოგს გუნდი უკან გაუყვანია; არცთუ ცოტა იყო ისეთი მატჩიც, ერთ-ერთი მეტოქის უსახსრობის გამო რომ ჩაშლილა. სამაგიეროდ, ამ ხნის განმავლობაში, თითზე ჩამოსათვლელია შემთხვევა, როცა თამაში 15 წუთამდე შეჩერებულა... ორივე გუნდის ფეხბურთელთა მამაპაპური ჩხუბის გამო! კიდევ კარგი, ეს მატჩი ტელევიზიით გადაიცემოდა და მერე საფეხბურთო გადაცემა „გოლმაც“ ობიექტურად გააშუქა, თორემ ბევრი, ალბათ, არც დაიჯერებდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ წამოიწყო ჩხუბი: „მგლების“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა თუ ამავე გუნდის ერთ-ერთი ფეხბურთელის მშობელმა; ვერც „სიონის“ ზოგიერთ ფეხბურთელის ქმედებას გავამართლებთ; პირიქით, ალბათ, უფრო მკაცრი სასჯელიც ეკუთვნოდათ - გავეშებული სახით დაუნდობლად რომ უსწორდებოდნენ მეტოქეებს. ისე, „მგლები“ ამ ჩემპიონატში ისე თამაშობს, კრიტიკას კი არა, ქებას იმსახურებს და ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ **ბესიკ შეროზიას** მეტად საინტერესო გუნდი ჰყავს. აი, სეზონის წინ ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხილ „სიონს“ და ამ გუნდის ფეხბურთელებს, მუშტების ქნევის ნაცვლად კი, ალბათ, ურჩევნიათ სატურნირო მდგომარეობა გააუმჯობესონ...



გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა

გამარჯვებული

# ოქროს ბურთი ოქროს ბიჭს!




გუშინ „ფრანს ფუტბოლმა“ ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯილდო „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველ **კრისტიანო რონალდოს** ერგო. გამოცემა ხსენებულ პრიზს 1956 წლიდან ათამაშებს. შეუძლებელია, ევროპელი ჟურნალისტების არჩევანს არ დაეთანხმო. მადეირელმა ვარსკვლავმა გასულ სეზონში „ეშმაკების“ შემადგენლობაში 42 გოლი გაიტანა, გაიმარჯვა ინგლისის პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში. მოიგო საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი „ოქროს ბუცი“. რონალდომ „ოქროს ბურთამდე“ პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მოიგო.

| ფეხბურთელი | ქვეყანა/კლუბი | ქულა |
|---|---|---|
| 1. კრისტიანო რონალდო | პორტ./მანჩ. იუნ. | 446 |
| 2. ლიონელ მესი | არგენტინა/ბარსელონა | 281 |
| 3. ფერნანდო ტორესი | ესპანეთი/ლივერპული | 179 |
| 4. იკერ კასილიასი | ესპანეთი/რეალი | 133 |
| 5. ჩავი ერნანდესი | ესპანეთი/ბარსელონა | 97 |
| 6. ანდრეი არშავინი | რუსეთი/ზენიტი | 64 |
| 7. დავიდ ვილია | ესპანეთი/ვალენსია | 55 |
| 8. კაკა | ბრაზილია/მილანი | 31 |
| 9. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი/ინტერი | 30 |
| 10. სტივენ ჯერარდი | ინგლისი/ლივერპული | 28 |
| 11. მარკოს სენა | ესპანეთი/ვილიარეალი | 16 |
| 12. ემანუელ ადებაიორი | ტოგო/არსენალი | 12 |
| 13. უეინ რუნი | ინგლისი/მანჩესტერ იუნ | 11 |
| 14. სერხიო აგუერო | არგენტინა/ატლეტიკო | 10 |
| 15. ფრენკ ლემპარდი | ინგლისი/ჩელსი | 8 |
| 16. ფრანკ რიბერი | საფრანგეთი/ბაიერნი | 7 |
| 17. სამუელ ეტოო | კამერუნი/ბარსელონა | 6 |
| 18. ჯანლუიჯი ბუფონი | იტალია/იუვენტუსი | 5 |

19-20. მიხაელ ბალაკი (გერმანია/ჩელსი), ფრანსესკ ფაბრეგასი (ესპანეთი/არსენალი) - 4; 21-23. დიდიე დროგბა (კოტ დ'ივუარი/ჩელსი), სერხიო რამოსი (ესპანეთი/რეალი), ნემანია ვიდიჩი (სერბეთი/მანჩესტერ იუნაიტედი) - 3; 24-25. ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია/მანჩესტერ იუნაიტედი), რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია/რეალი) - 2.

როგორც გამოცემა იტყობინება, პრიზის გადაცემა ტელეკომპანია TF1-ის გადაცემა „ტელეფუტის“ ეთერში 7 დეკემბრს შედგება.

ფეხბურთელმა გუშინ დილასვე გააკეთა პირველი კომენტარი: *„დღევანდელი დღე ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. ამ ჯილდოზე ჯერ კიდევ პატარაობიდან ვოცნებობდი. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამ წლების განმავლობაში ჩემ გვერდით მდგარა, ალბათ, შესანიშნავად ხვდება, თუ რას განვიცდი. ჯერ 23 წლის ვარ და დაუჯერებელია, რომ სანუკვარ მიზანს ასე მალე შევწვდი. დიდი პატივია ისეთი ფეხბურთელების გვერდით დასახელება, როგორებიც არიან ლიონელ მესი და ფერნანდო ტორესი.*

*მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს ყველა თანაგუნდელს, როგორც ნაკრებში, ისე „მანჩესტერ იუნაიტედში“. ამ ადამიანებისა და მათი დახმარების გარეშე არაფერი იქნებოდა. სწორედ სხვების დამსახურებაა, რომ გოლები გამაქვს. „ოქროს ბურთის“ მოგება კიდევ მინდა. ასე რომ, ყოველ დილას, გაღვიძებისთანავე უნდა ვუთხრა ხოლმე საკუთარ თავს: „მინდა, ვიყო უკეთესი!„*

აქვე მცირე სტატისტიკასაც შემოგთავაზებთ:

რონალდო გახდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ პირველი ფეხბურთელი 1968 წლის შემდეგ, რომელმაც შეძლო და „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში გაიმარჯვა. ბოლოს ეს ლეგენდარულმა **ჯორჯ ბესტმა** შეძლო. „ეშმაკების“ ლეგენდებიდან ეს პატივი რგებიათ ასევე **დენის ლოუსა** (1964) და **ბობი ჩარლტონს** (1966).

23 წლის ფეხბურთელი გახდა მესამე პორტუგალიელი, რომელმაც **ეუსებიოსა** (1965) და **ლუიშ ფიგუს** (2000) მიერ განვლილი გზა გაიმეორა. ხოლო ბოლო პრემიერლიგელი, რომელმაც ეს მოახერხა, „ლივერპულის“ ფორვარდი **მაიკლ ოუენი** (2001) გახლდათ.




| ოქროს ბურთის ყველა ლაურეატი | | |
|---|---|---|
| 1956 | სტენლი მეთიუზი | ბლეკპული/ინგლისი |
| 1957 | ალფრედო დი სტეფანო | რეალი/ესპანეთი |
| 1958 | რაიმონ კოპა | რეალი/საფრანგეთი |
| 1959 | ალფრედო დი სტეფანო | რეალი/ესპანეთი* |
| 1960 | ლუის სუარესი | ბარსელონა/ესპანეთი |
| 1961 | ომარ სივორი | იუვენტუსი/იტალია* |
| 1962 | იოზეფ მასოპუსტი | დუკლა/ჩეხოსლოვაკია |
| 1963 | ლევ იაშინი | დინამო მ/სსრკ |
| 1964 | დენის ლოუ | მანჩესტერ იუნ/შოტლანდია |
| 1965 | ეუსებიო | ბენფიკა/პორტუგალია |
| 1966 | ბობი ჩარლტონი | მანჩესტერ იუნ/ინგლისი |
| 1967 | ფლორიან ალბერტი | ფერენცვაროში/უნგრეთი |
| 1968 | ჯორჯ ბესტი | მანჩესტერ იუნ/ჩრ. ირლანდია |
| 1969 | ჯანი რივერა | მილანი/იტალია |
| 1970 | გერდ მიულერი | ბაიერნი/გფრ |
| 1971 | იოჰან კრუიფი | აიაქსი/ჰოლანდია |
| 1972 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი/გფრ |
| 1973 | იოჰან კრუიფი | ბარსელონა/ჰოლანდია |
| 1974 | იოჰან კრუიფი | ბარსელონა/ჰოლანდია |
| 1975 | ოლეგ ბლოხინი | დინამო კ/სსრკ |
| 1976 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი/გფრ |
| 1977 | ალან სიმონსენი | ბორუსია მ/დანია |
| 1978 | კევინ კიგანი | ჰამბურგი/ინგლისი |
| 1979 | კევინ კიგანი | ჰამბურგი/ინგლისი |
| 1980 | კარლ-ჰაინც რუმენიგე | ბაიერნი/გფრ |
| 1981 | კარლ-ჰაინც რუმენიგე | ბაიერნი/გფრ |
| 1982 | პაოლო როსი | იუვენტუსი/იტალია |
| 1983 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი/საფრანგეთი |
| 1984 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი/საფრანგეთი |
| 1985 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი/საფრანგეთი |
| 1986 | იგორ ბელანოვი | დინამო კ/სსრკ |
| 1987 | რუუდ გულიტი | მილანი/ჰოლანდია |
| 1988 | მარკო ვან ბასტენი | მილანი/ჰოლანდია |
| 1989 | მარკო ვან ბასტენი | მილანი/ჰოლანდია |
| 1990 | ლოთარ მათეუსი | ინტერი/გფრ |
| 1991 | ჟან-პიერ პაპენი | მარსელი/საფრანგეთი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი/ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი/იტალია |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი | ბარსელონა/ბულგარეთი |
| 1995 | ჯორჯ ვეა | მილანი/ლიბერია |
| 1996 | მათიას ზამერი | ბორუსია დ/გერმანია |
| 1997 | რონალდო | ინტერი/ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი/საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა/ბრაზილია |
| 2000 | ლუიშ ფიგუ | რეალი/პორტუგალია |
| 2001 | მაიკლ ოუენი | ლივერპული/ინგლისი |
| 2002 | რონალდო | რეალი/ბრაზილია |
| 2003 | პაველ ნედვედი | იუვენტუსი/ჩეხეთი |
| 2004 | ანდრეი შევჩენკო | მილანი/უკრაინა |
| 2005 | რონალდინიო | ბარსელონა/ბრაზილია |
| 2006 | ფაბიო კანავარო | რეალი/იტალია |
| 2007 | კაკა | მილანი/ბრაზილია |
| 2008 | კრისტიანო რონალდო | მანჩ. იუნ/პორტუგალია |

** - ეს ფეხბურთელები არგენტინელები იყვნენ და ამ ქვეყნის ნაკრებშიც ჰქონდათ ნათამაშები, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ოქროს ბურთი მოიპოვეს, შესაბამისად, ესპანეთისა და იტალიის ნაკრებთა ღირსებას იცავდნენ.*

პრემიერლიგა

# ექსკაპიტანი გლადიატორი ყოფილა

## უოლკოტი სამასი ათასად შეფასდა

ბოლო შეხვედრებში ვილიამ გალასის ასპარეზობამ „მეთოფეთა“, თავკაც **არსენ ვენგერზე** წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. „არსენალის“ დამრიგებლის სიტყვებით, სწორედ მისი თანამემამულის თავდაჯერებულმა და თავგანწირულმა თამაშმა მოაგებინა გუნდს ბოლო ორი შეხვედრა ჯერ ჩემპიონთა ლიგაში, კიევის „დინამოსთან“, შემდეგ კი პრემიერლიგაში ზეპრინციპული დაპირისპირება „ჩელსისთან“. *„მიმაჩნია, რომ ვილიამი ისე თამაშობს, როგორც არასდროს. ფრანგი უბრალოდ ფანტასტიკურია. ვაღიარებ, ჩვენს ურთიერთობებში იყო სირთულეები, მაგრამ ჩვენ უკვე ყველაფერი წარსულში დავტოვეთ. ვილიამმა ჩემგან ნდობის უსაზღვრო კრედიტი მიიღო. რა დონეზეც გალასი ახლა თამაშობს, სხვა ჯილდოთი ვერც აღვნიშნავდი. უკრაინელებთან მან ყველას დაუმტკიცა, რომ ნამდვილი გლადიატორია“.*

როგორც სააგენტო AP გვამცნობს, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია „არსენალს“ შეუთანხმდა, რომ **თეო უოლკოტის** ტრავმის კომპენსაციის მიზნით სამას ათას გირვანქას მიიღებს. მაგრამ ეს თანხა საფეხბურთო კავშირის გადასახდელი არ არის. საქმე ის არის, რომ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები დაზღვეულნი არიან და ფულსაც სწორედ სადაზღვევო კომპანია გაიღებს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა მხრის სერიოზული დაზიანება 18 ნოემბერს, გერმანიასთან საკონტროლო შეხვედრის წინადღეს სანაკრებო ვარჯიშზე მიიღო.

„ჩელსისთან“ მოგებული შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე „ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტმა „მეთოფეთა“ ბანაკში შექმნილ მდგომარეობაზე **რობინ ვან პერსის** შეკითხვა დაუსვა. ჟურნალისტი დაინტერესდა, რამდენად მართალი იყო ინფორმაცია, რომ მასა და ვილიამ გალასს უსიამოვნება შეემთხვათ და მას შემდეგ ერთმანეთში უბრად არიან. გაზეთის მტკიცებით, სწორედ ჰოლანდიელი იგულისხმა მაშინდელმა კაპიტანმა, როდესაც გუნდში არეულობის შემტან ფეხბურთელზე სკანდალური ინტერვიუ მისცა. ეჭვი საფუძვლიანია, რადგან გალასის მიერ დასახელებული 6-წლიანი ასაკობრივი სხვაობა მასა და ბუნტის მოთავეს შორის, სწორედ ვან პერსის წლოვანებას ემთხვევა. *„თქვენ მიგაჩნიათ, რომ გალასმა მე მიგულისხმა? ჰმ, არ მგონია. ჩვენ ერთმანეთში პრობლემა არასდროს გვქონია“*, - განაცხადა ფეხბურთელმა.

„ჩელსისთან“ შეხვედრას ჯერ კიდევ დაწყებამდე უწოდებდნენ „არსენალის“ ბოლო შანსს, ჩართულიყო საჩემპიონო ბრძოლაში. „მეთოფეებმა“ მართალია მსაჯის შეცდომით, მაგრამ გამარჯვება მოიპოვეს და ახლა ლიდერ „ლივერპულს“ 8 ქულით ჩამორჩებიან. მოპოვებულმა სამმა ქულამ **ემანუელ ადებაიორი** მაჟორულ ნოტაზე აამღერა. აი, რას აცხადებს ტოგოელი ბომბარდირი: *„ჩელსისთან“ მოგება ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამით დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ძლიერი გუნდების დამარცხება. როდესაც მიმდინარე სეზონის საჩემპიონო რბოლაზე მსჯელობდნენ, ჩვენს სახელს არავინ წარმოთქვამდა. ახლა კი ყველას ვუჩვენეთ, რომ „არსენალის“ ჩამოწერა ძალზე ნაადრევი იყო. ფეხბურთელებს გვჯერა საკუთარი ძალებისა და გვჯერა თანაგუნდელებისაც. აუცილებელია, რომ ყოველი წარუმატებლობა დავივიწყოთ და ერთ მუშტად შევიკრათ. „იუნაიტედთან“ შეხვედრის მსგავსად რთული თამაში შემოვატრიალეთ. ახლა გამარჯვებულის განწყობა რბოლის ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ“.*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

## ფედერაცია ბრალს სდებს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ დაიწყო გამოძიება „ნიუკასლის“ გულშემატკივართა რასისტული გამოხდომების ფაქტზე. 29 ნოემბერს მიდლსბროს „რივერსაიდ სთედიუმზე“ „ბორომ“ „კაჭკაჭებს“ უმასპინძლა. შეხვედრა გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. ჯორდების გულშემატკივრები მასპინძელთა ეგვიპტელ ფორვარდ **მიდოს** მთელი შეხვედრის განმავლობაში სწორედ რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფდნენ. *„ვითანამშრომლებთ პოლიციასთან და აუცილებლად ვიპოვით დამნაშავეებს. პირობას ვიძლევით, რომ ეს არამზადები ცხოვრების ბოლომდე ველარ მოახერხებენ საფეხბურთო მატჩებზე დასწრებას“*, - განაცხადა ასოციაციის წარმომადგენელმა.

## სტივ კარი პენსიაში

ირლანდიის ნაკრების ყოფილი მარჯვენა მცველი **სტივ კარი** ფეხბურთიდან წავიდა. მან კარიერის ძირითადი ნაწილი (1993-2004) „ტოტენჰემში“ გაატარა, სადაც 226 შეხვედრა ჩაატარა. „მამლების“ შემადგენლობაში ფეხბურთელმა 1999 წელს ინგლისის ლიგის თასი მოიგო. შემდეგ მან „ნიუკასლის“ რიგებში ამოყო თავი. ჯორდებში მან 4 წელიწადი გაატარა და 78 შეხვედრა გამართა. ბოლო რამდენიმე წელიწადი ქრონიკულმა ტრავმებმა არ მისცა თავის გამოჩენის საშუალება. რის გამოც „ნიუკასლმა“ წლეულს, ივლისში კონტრაქტი გაუწყვიტა. თავისუფალი აგენტის სტატუსის ქონის მიუხედავად, ფეხბურთელმა თავშესაფარი ვერსად იპოვა და ამიტომაც მიიღო, შეიძლება ითქვას, ნაადრევი გადაწყვეტილება.

## რომა დაშავდა

„მონაკოს“ ძირითადმა მეკარემ, იტალიელმა **ფლავიო რომამ** მე-16 ტურში „ოსერთან“ შეხვედრაში ბარძაყის ტრავმა მიიღო და მინდორს სამი კვირით ჩამოშორდა. ექიმების დასკვნით, აპენინელს სწორედ ეს დრო დასჭირდება სრული რეაბილიტაციისთვის.

საინტერესო ფაქტია და აქვე გეტყვით, რომ რომას მიერ ტრავმის მიღების შემდეგ მის ნაცვლად მინდორზე **ჟოან ტურამი** შემოვიდა, იგი საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავის **ლილიან ტურამის** ალალი ბიძაშვილია.

## ვან ბომელი წავა

„ბაიერნის“ ჰოლანდიელმა კაპიტანმა **მარკ ვან ბომელმა** შეიძლება კლუბთან ახალი კონტრაქტის დადებაზე უარი თქვას, თუკი „რეკორდმაისტერში“ უკრაინელი **ანატოლი ტიმოშჩუკი** გადმოვა, - გვაუწყებს „ბილდი“. კაპიტანსა და კლუბს შორის შეთანხმება სეზონის ბოლოს იწურება. ხელმძღვანელობამ კი კონტრაქტის გაგრძელება უკვე შესთავაზა. გამომდინარე იქიდან, რომ ბავარიელთა შუა ხაზში უკრაინელის გარეშეც არანორმალური კონკურენციაა, ჰოლანდიელს ძირითადში ადგილის დაკარგვა რეალურად ემუქრება. მარკი კი ამასთან შეგუებას არ აპირებს.

## უეფამ შეცდომა აღიარა

გერმანულ ტელეკომპანია ZDF-ს უეფა კომპენსაციის სახით ნახევარ მილიონ ევროს გადაუხდის. გეხსომებათ, რომ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, გერმანია-თურქეთის შეხვედრის დროს მატჩის ბოლო წუთებზე სიგნალი დაიკარგა, რამაც ნახევარი ევროპა რამდენიმე წუთით პირდაპირი ეთერის გარეშე დატოვა. შედეგად **მიროსლავ კლოზეს** მიერ გატანილი გოლი „ფარდის“ მიღმა დარჩა. ტექნიკური პრობლემა მალე აღმოიფხვრა და მაყურებელმა **ფილიპ ლამის** გოლი უკვე ცოცხლად იხილა.

აღნიშნულ ტელერეპორტაჟს სწორედ გერმანული ტელეკომპანია გადასცემდა.

## დანიელ ზიტკა გადარჩა

შეიძლება ითქვას, რომ „ანდერლეხტის“ ჩეხი მეკარე **დანიელ ზიტკა** სიკვდილს გადაურჩა. 28 ნოემბერს, ბელგიის ჩემპიონატის მე-14 ტურის გასვლით შეხვედრაში დედაქალაქელებმა „დერდენი“ 2:0 დაამარცხეს. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მასპინძლები შტურმზე გადავიდნენ. მეკარის საჯარიმოში მორიგი ჩაწოდების შემდეგ ჩეხმა გოლკიპერმა გამოსვლაზე ითამაშა. მართალია, ბურთი მოიგერია, მაგრამ უხერხულად დაეცა და მარცხენა ფეხის წვივი გაიტეხა. ამასთან, მეტოქის ფეხბურთელთან შეჯახების გამო ორი კბილი დაკარგა. „ანდერლეხტის“ ექიმების დასკვნით, ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში მოედანზე გასვლას ველარ შეძლებს. ის ბურთს 6 თვის განმავლობაში ვერ გაეკარება.

## ევერტონი კომაშია

**დევიდ მოიესი** სასოწარკვეთილია, ლივერპულელთა საკადრო პრობლემებზე უკვე გაცნობეთ და გითხარით, რომ შოტლანდიელი სპეციალისტის განკარგულებაში ორი კვალიფიციური ფორვარდი იყო - **ლუის საა** და **ვიქტორ ანიჩებე**. საქმე ისაა, რომ „ტოტენჰემთან“ დაშავებული **იაკუბუ აიგბენის** ნაცვლად შეცვლაზე შესული საა ისევ დაშავდა. შესაბამისად, შოტლანდიელს მხოლოდ ნიგერიელი ფორვარდიღა შერჩა, ვინც საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არის. *„ასეთ სიტუაციაში რისი გაკეთება შეიძლება? ძნელია, მაგრამ რამეს მოვიფიქრებ. იანვრამდე ძალიან გვიჭირს, მერე ალბათ ერთ მაღალი დონის ფორვარდს შევიძენთ, მაგრამ საჭიროების მიუხედავად, დიდ თანხას ნამდვილად ვერ გადავიხდით. იქნებ ჰენრიკ ლარსონთან მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღოს...“*

*„ამწუთას თავისუფალი აგენტი ვარ*, - განაცხადა შვედმა ვარსკვლავმა ევერტონელთა შეთავაზების შემდეგ, - *პირველ რიგში, „ჰელსინგბორგის“ წინადადებას განვიხილავ, მაგრამ საბოლოოდ არც საზღვარგარეთ წასვლის იდეაზე მითქვამს უარი“*.

**შალვა ბიბილაშვილი**

ვალენსია

# ლამურები გაკოტრების პირას არიან

## შესაძლოა, თავმომწონე ესპანურმა კლუბმა არსებობა შეწყვიტოს



„ვალენსიის“ მატერიალური კეთილდღეობა საფრთხის წინაშეა. სიტუაცია იმაზე გაცილებით მძიმეა, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენს. გუნდის ბიუჯეტი ფაქტობრივად, მთლიანად დაცარიელებულია. არადა, ესპანურ კლუბს უამრავი თანხა აქვს გასასტუმრებელი. „სიტუაცია დრამატულია“ - ასე აფასებს „ვალენსიაში“ შექმნილ მდგომარეობას „დიარიო მარკა“. დღესდღეობით „ლამურების“ ერთადერთ ხსნად მადრიდულ ბანკ „ბანკახასთან“ ხელშეკრულების გაფორმებაა. ამ ბანკთან სასპონსორო კონტრაქტზე მოლაპარაკება რამდენიმე თვეა მიმდინარეობს, მაგრამ მსოფლიოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ საქმე გაჩერდა. არადა, „ვალენსიას“ დრო პრაქტიკულად აღარ დარჩა. ესპანელი მიმომხილველების თქმით, თუ უახლოეს დღეებში ხელშეკრულება არ გაფორმდება და კლუბი პირველ ტრანსფერს არ მიიღებს, შესაძლოა, „ვალენსია“ დაიშალოს და სამუდამოდ შეწყვიტოს არსებობა. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ თუ სიტუაცია სასწრაფოდ არ გამოსწორდება, ესპანურ გუნდს გაკოტრებულად გამოაცხადებენ. ამით „ლამურების“ ხელმძღვანელობა ვალების ერთი ნაწილის გადახდის აუცილებლობისგან გათავისუფლდება, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შვებაა, რადგან 31 დეკემბრამდე ამ გუნდმა 50-მილიონიანი დავალიანება უნდა გაისტუმროს. ეს ის თანხაა, რომელიც აუცილებლად გადასახდელია. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ დირექტორატის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სავალუტო ფონდი შეიქმნა, სადაც თავისუფალი თანხები ინახებოდა. ამ ფონდში ჯერ კიდევ ორი წლის წინ 78 მილიონი ევრო იყო შენახული, მაგრამ ახლა იქ 7 მილიონზე ნაკლები დარჩა. ეს თანხა „ვალენსიას“ ვერაფერში დაეხმარება.

ეს ის შემთხვევაა, როცა გუნდის მმართველებს ფაქტობრივად, არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. დრო იმდენად მცირეა, რომ ისინი ხანგრძლივვადიანი პროექტების განხორციელებისა და დივიდენდების მიღების იმედად ვერ იქნებიან. ზემოთ ხსენებულ 50 მილიონ ევროს რომ თავი დავანებოთ, საიმისო ფულიც არ არის, რომ ფეხბურთელებსა და 300 თანამშრომელს ერთი თვის ხელფასი გადაუხადონ. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ამ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი „ბანკახასთან“ ხელშეკრულების გაფორმებაა. „ვალენსიის“ ხელმძღვანელობას ჯერაც აქვს იმედი, რომ დედაქალაქური ბანკი კომპანიის რეკლამის მიზნით სასპონსორო ხელშეკრულების გაფორმებას დათანხმდება. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ესპანური კლუბი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში 70 მილიონ ევროს მიიღებს. ერთი შეხედვით, არსებული პრობლემების მოგვარებას არც ეს თანხა ეყოფა, მაგრამ თუ მხარეები შეთანხმდებიან, „ვალენსია“ 35 მილიონს პირველივე დღეებში მიიღებს. გარდა ამისა, როგორც „ბანკახას“ კომპანიონს, დაბალპროცენტიან საკრედიტო ხაზს გაუხსნიან. ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ძნელი სათქმელია, რატომ უნდა აძლევდეს ხელს კოლაფსამდე მისული გუნდის სპონსორობა საკმაოდ წარმატებულ ბანკს. ეკონომიკის ექსპერტები ფიქრობენ, რომ „ბანკახა“ „ლამურებთან“ თანამშრომლობას არ ისურვებს და მოლაპარაკებებს სამუდამოდ შეწყვეტს. აი, ამის შემდეგ კი სასიკეთო არაფერი მოხდება. მეტი რა გითხრათ, თვითონ ესპანელი მიმომხილველები გვარწმუნებენ, რომ არ ხუმრობენ და სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია...

**ილია ნიკოლაიშვილი**

რეალი

# სამეფო კლუბი სისხლისგან იცლება

## შუსტერს ფეხბურთელები აღარ დარჩა...

„რეალის“ წარუმატებლობებზე ძალიან ბევრს საუბრობენ, მაგრამ იმის აღნიშვნაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გუნდს წელს ფატალურად არ უმართლებს. როცა უიღბლობაზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, ტრავმების ეპიდემიას ვგულისხმობთ. პრაქტიკულად ტური ისე არ ჩაივლიდა, რომელიმე ვარსკვლავს მიკროტრავმა არ მიეღო და ფეხის ტკივილის გამო მომდევნო შეხვედრა არ გამოეტოვებინა. მხოლოდ მიკროტრავმებში რომ იყოს საქმე, ალბათ, ხმას არავინ ამოიღებდა, მაგრამ მადრიდელთა უბედურება ის არის, რომ წამყვანი მოთამაშეები ხანგრძლივი ვადით გამოეცალა ხელიდან. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, **რუუდ ვან ნისტელროი** უნდა ვახსენოთ, კაცი, რომელიც 8-თვიან იძულებით შვებულებაში გავიდა. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელი ფორვარდის გარდა **ბერნდ შუსტერს** კიდევ მრავალ მოთამაშესთან მუშაობის საშუალება არ ეძლევა. მაგალითად **არიენ რობენი** ავიღოთ. ჰოლანდიელი გარემარბი რამდენ მატჩსაც ჩაატარებს, ორჯერ უფრო მეტს ტოვებს. როცა წარუმატებლობები ერთმანეთს წაეწყობა, ცხოვრების მიერ მომზადებული ახალი უსიამოვნო სიურპრიზები აღარ უნდა გაგიკვირდეს. ალბათ, შუსტერი სწორედ ამ მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობს და **მაჰამადუ დიარას** ტრავმას ასე მშვიდად ამიტომაც შეხვდა. შესაძლოა, სხვა მიზეზიც იყოს. კერძოდ ის, რომ გერმანელ სპეციალისტს გადაყენება ემუქრება. გამორიცხული არ არის, მისთვის ახლა სულ ერთი იყოს, ვინ ჯანმრთელად იქნება და ვინ ლაზარეთში იყურყუტებს. და მაინც, რადგან შუსტერი ჯერ კიდევ მთავარი მწვრთნელია, წესით, დიარას ტრავმით ძალიან გულდაწყვეტილი უნდა იყოს. აფრიკელმა ნახევარმცველმა მუხლში ძლიერი ტკივილი იგრძნო და დახმარებისთვის ექიმებს მიმართა. საგულდაგულო სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ დიარას ჯვარედინი მყესები აქვს დაჭიმული და



თუ მომდევნო თვე-ნახევრის განმავლობაში არ დაისვენებს, სიტუაციას დაამძიმებს და ერთწლიან იძულებით შვებულებაში გასვლა არ ასცდება. გამორიცხული არ არის, მაჰამადუს ოპერაცია დასჭირდეს. ამ შემთხვევაში, მისმა უმაქნისობამ შესაძლოა, 3 თვეზე მეტხანს გასტანოს.

კიდევ ერთი უსიამოვნო და შემაშფოთებელი ამბავი, „რეალის“ ტრავმირებულ ფეხბურთელთა რიცხვს **პეპე, ვესლი სნეიდერი** და **მიგელ ტორესიც** შეუერთდნენ. სამივე მათგანი „ხეტაფესთან“ ავადსახსენებელ შეხვედრაში დაშავდა. ყველაზე მძიმედ პეპეს აქვს საქმე. მადრიდელებთან მატჩში მას ბარძაყის კუნთი გაუწყდა. ექიმების მტკიცებით, პეპეს მკურნალობას სულ მცირე, ერთი თვე დასჭირდება. რაც იმას ნიშნავს, რომ პორტუგალიელი მოედანს მხოლოდ 2009 წლის იანვარში დაუბრუნდება. სნეიდერს კი მინიმუმ ორი კვირა მოუწევს მოცდა, მაგრამ ჰოლანდიელი ბედს არ ეგუება და იმედს გამოთქვამს, რომ 13 დეკემბერს სუპერკლასიკოსთვის მწყობრში იქნება და „ბარსელონასთან“ ითამაშებს. ტორესს რაც შეეხება, ის სავარაუდოდ, სამოთხ დღეში განაახლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბერნდ შუსტერმა მრავლისმეტყველად განაცხადა, როცა ამდენი ფეხბურთელი ტრავმირებული გყავს, ბრიყვი უნდა იყო, სტაბილურობაზე რომ იფიქრო...

**ილია ნიკოლაიშვილი**




ინტერვიუ ჯანლუიჯი ბუფონი

# ჯიჯი ოქროს ბურთს ორ წელიწადში უმიზნებს

**ჯანლუიჯი ბუფონი ჯერ კიდევ ტრავმირებულია და საფეხბურთო მოვლენებს ტელეეკრანიდან ადევნებს თვალს. მის გარეშე „იუვენტუსი“ საკმაოდ წარმატებულად თამაშობს, თუმცა ჯიჯის არყოფნა რომ დიდი დანაკლისია, ამაზე მაინც არავინ ლაობს. ბუფონი მოედანს იანვარში დაუბრუნდება - ასეთია ექიმების ვერდიქტი. იქამდე კი ჯიჯი მასმედიასთან ურთიერთობით ირთობს თავს. აუცილებელია, განვმარტოთ, - ამ ინტერვიუს მომზადების მომენტში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რომ „ოქროს ბურთის“ მფლობელი კრისტიანო რონალდო გახდა...**

**- როგორ გრძნობთ თავს?**

- მადლობთ, უკეთესად. მართალია უფეხბურთოდ ცოტა დავილალე, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. იმედია, ტრავმას მალე მოვიშუშებ და მწვანე მინდორს დავუბრუნდები. იქამდე კი ჩემს თანაგუნდელებს კომპლიმენტები მინდა ვუძღვნა, შესანიშნავად თამაშობენ, იმაზე უკეთ, ვიდრე მოველოდი. „იუვეს“ რომ კრიზისი ჰქონდეს, ფეხბურთის გარეშე უფრო გამიჭირდებოდა.

**- „ინტერთან“ მარცხმა დიდად დაგწყვიტათ გული?**

- დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, თუმცა ამან გუნდი არ გატეხა და ეს „რეჯინასთან“ მატჩმა დაამტკიცა. ჩემი აზრით, „ნერაძურისთან“ მინიმუმ ფრე უნდა გვეთამაშა. მეორე ნახევარში სათამაშო უპირატესობას ჩვენ ვფლობდით და გოლიც უნდა გაგვეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ მიზანს ვერ ვუწიეთ. „ინტერმა“ კი კურიოზულ სიტუაციაში იხეირა და ამან მარცხი კიდევ უფრო დასანანი გახადა.

**- დელ პიერომ 250-ე გოლი გაიტანა, მიულოცეთ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა?**

- რა თქმა უნდა მივულოცე. ალექსი „იუვენტუსის“ ცოცხალი ლეგენდაა და იმედია, კიდევ დიდხანს გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას. დარწმუნებული ვარ, არაერთ ახალ რეკორდს დაამხობს და გუნდს ტიტულებისკენ გაუძღვება. როდესაც ალე მოედანზეა, ჩვენც თითქოს ძალა გვემატება.

**- „ინტერი“ ექვსი ქულით დაწინაურდა, ფორა პატარა არ არის.**

- არც დიდი. დამეთანხმებით ალბათ, რომ ამ ფორის აღმოფხვრა სავსებით შესაძლებელია. „ნერაძური“ შთამბეჭდავ ფეხბურთს თამაშობს და ლიდერობას ნამდვილად იმსახურებს. ჟოზე მოურინიომ გუნდს ახალი ძალა შთაბერა და ახლა „ინტერის“ შეჩერება კიდევ უფრო რთულია. მიუხედავად ამისა, ჩვენ სკუდეტოსთვის ბრძოლას ვაგრძელებთ და ერთობ ოპტიმისტურადაც ვართ განწყობილნი.

**- ბოლო დროს იტალიაში მსაჯებს სულ უფრო და უფრო ხშირად აკრიტიკებენ, თქვენ თუ გაქვთ მათ მიმართ სასაყვედურო?**

- მწვრთნელების მესმის, რადგან ხშირად მსაჯის შეცდომა მთელ შრომას წყალში გიყრის და უქულოდ გტოვებს. მეორე მხრივ, მათაც უნდა გავუგოთ, ისინიც ადამიანები არიან და ბუნებრივია, შეცდომებიც მოსდით. მაინც მგონია, რომ იმ მასშტაბის მარათონზე, რასაც სერია A ჰქვია, არბიტრთა შეცდომები გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებს. დღეს შეიძლება შენს საწინააღმდეგოდ შეცდნენ, ხვალ კი პირიქით, ასე რომ, კრიტიკა ხშირად გადამეტებული მგონია.

**- რომელმა გუნდმა გაგაოცათ ყველაზე მეტად მიმდინარე სეზონში?**

- ბევრი იტყოდა „ნაპოლის“, მაგრამ მე სხვა მოსაზრება მაქვს. ჩემთვის მთავარი მოულოდნელობა „კატანიას“ წარმატებული თამაშია. ძალიან მომწონს ვალტერ ძენგას მუშაობის სტილი, მან მებრძოლი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელიც ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთს თამაშობს. რაც შეეხება „ნაპოლის“, ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და თავის სიტყვას მომავალში არაერთხელ იტყვის.

**- ბევრს მიაჩნია, რომ იტალიაში მაღალი კლასის მეკარეები აღარ იზრდებიან. კრიზისთან გვაქვს საქმე?**

- აქაც გაზვიადებასთან გვაქვს საქმე. ძალიან კარგი მეკარეები იზრდებიან, რომლებიც მომავალში თავის სიტყვას აუცილებლად იტყვიან. იტალიაში ამ მხრივ პრობლემა არასდროს ყოფილა და არც იქნება, რადგან ეს გენში გვაქვს.

**- იქნებ კონკრეტული გვარები დაგვისახელოთ.**

- არაერთი გვარის დასახელება შეიძლება, მათ შორის კი კურჩის გამოვარჩევდი. ძალიან კარგად თამაშობს „სიენაში“ და ის, რომ გუნდი გავარდნის კანდიდატი არ არის, სწორედ მისი დამსახურებაა. ბევრი იმასაც ამბობს, რომ იტალიის ეროვნულ ნაკრებში ჩემი შემცვლელის მოძებნა შეუძლებელია. არც ამას ვეთანხმები. მარკო ამელია დიდებული მეკარეა და ამას ტურიდან ტურამდე ამტკიცებს. იგივე შეიძლება ითქვას კრისტიან აბიატიზე, რომელიც „მილანში“ დიდებულად ათამაშდა და ძველი სიმაღლე დაიბრუნა. ვფიქრობ, ეს ორი კიპერი იმსახურებს „სკუადრა აძურაში“ თამაშს.

**- ბოლო წლებში, ევროპაში ბრაზილიელი მეკარეები მომრავლდნენ, სამხრეთამერიკელები იტალიაშიც კი დომინირებენ, რას იტყვით ამ ფაქტზე?**

- რა უნდა ვთქვა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ და პირიქით, მივესალმები კიდეც. იყო დრო, როცა ბრაზილიელ მეკარეებს ძალიან ცუდი თვალით უყურებდნენ, დღეს კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ჟულიო სეზარი „ინტერის“ ძირითადში თამაშობს, დონი კი „რომაში“ შეუცვლელია. წლების განმავლობაში, „მილანის“ სასტარტო მეკარე დიდა იყო და ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ მთელ ევროპაში. ბრაზილიელები ადგილობრივ კიპერებს კონკურენციას უწევენ და ეს მხოლოდ წაადგებათ იტალიელ მეკარეებს.

**- აბიატი ახსენეთ, შეძლებს კრისტიანი „მილანში“ დიდი ხნით დამკვიდრებას?**

- აბიატიმ ძვირფასი წლები სათადარიგო სკამზე გაატარა, რაშიც დამნაშავე დიდაა. მიუხედავად ამისა, კრისტიანს ფარხმალი არ დაუყრია, მუხლჩაუხრელად შრომობდა და „როსონერის“ ძირითადში ადგილი დაიბრუნა. ვიცნობ მას და ვიცი, რომ დიდი შესაძლებლობები აქვს. ყველანაირი შანსი აქვს, რომ ძირითადში ადგილი დაიმკვიდროს და „მილანში“ წლების განმავლობაში დარჩეს. კრისტიანს ვგულშემატკივრობ და იმედია ამას მოახერხებს კიდეც.

**- ვის ეკუთვნის „ოქროს ბურთი“?**

- „ოქროს ბურთი“ წესით ორ ფეხბურთელს შორის უნდა გათამაშდეს. მთავარი პრეტენდენტები კრისტიანო რონალდო და ფერნანდო ტორესი არიან. პორტუგალიელმა პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თანაც ამ წარმატებებში ლომის წილი დაიდო. რაც შეეხება ესპანელს, მან ევროპის პირველობაზე გაიბრწყინა და ბუნებრივია, „ოქროს ბურთის“ აღების გარკვეული შანსი მასაც აქვს. მაინც ვფიქრობ, რომ უპირატესობას კრისტიანო რონალდოს მიანიჭებენ.

**- მეკარეს თუ გადასცემენ ოდესმე „ოქროს ბურთს“?**

- ამის შანსი 2010 წელს მექნება და იმედია გამოვიყენებ. ეს ნახევრად ხუმრობით. „ოქროს ბურთს“ მეტწილად ფორვარდები, შემტევი ფეხბურთელები იგებენ და ვფიქრობ, ტენდენცია არც მომავალში შეიცვლება. მეკარის რა გითხრათ, ჩემთვის ისიც სიურპრიზი იყო, რომ 2006 წელს ეს ჯილდო ფაბიო კანავაროს ხვდა წილად.

პალერმო

# მიკოლი დარჩება, თუ...



## ...ძამპარინიმ არ აურია

გასულ უქმეებზე „პალერმომ“ შესანიშნავად იასპარეზა და „რენცო ბარბერაზე“ „მილანი“ 3:1-ზე დაამარცხა. შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა სიცილიელთა მთავარმა ვარსკვლავმა **ფაბრიციო მიკოლიმ.** ტანმორჩილი ფორვარდი სტუმართა უკანახაზელებს მოსვენებას არ აძლევდა და მეორე ნახევრის სტარტზე დიდებული გოლიც გაიტანა. იტალიელ ჟურნალისტებსაც მეტი რა უნდოდათ და უკვე დაიწყეს იმაზე საუბარი, რომ მიკოლი მომავალი სეზონიდან გაცილებით ამბიციურ კლუბში გააგრძელებს კარიერას. სახელდება ის გუნდებიც, რომლებმაც ფაბრიციოს თვალი დაადგეს. ყველაზე ხშირად „იუვენტუსზე“ ლაპარაკობენ, სადაც ფეხბურთელი უკვე თამაშობდა, თუმცა ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი. სახელდება ინგლისური ვარიანტებიც: ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მიკოლის საკუთარ რიგებში ხილვა სურს „ვესტ ჰემის“ იტალიელ დამრიგებელ **ჯანფრანკო ძოლას.** თავად ფეხბურთელი კი სულ სხვა პოზიციაზეა, ის არსად წასვლას არ ჩქარობს და „პალერმოსთან“ ხელშეკრულების გახანგრძლივებით გახლავთ დაინტერესებული. ამას სიცილიური კლუბის პრეზიდენტის, **მაურიციო ძამპარინის** და ფეხბურთელის აგენტის, **ფრანჩესკო კალიანდროს** სიტყვებიც ადასტურებს. ჯერ პრეზიდენტს მოვუსმინოთ:

*„ფაბრიციომ „მილანთან“ დიდებულად ითამაშა და ტიფოზები აღაფრთოვანა. განა შეიძლება ასეთი ფეხბურთელის გაყიდვა ვინმეს სურდეს? ჩვენ ვმუშაობთ ახალ ხელშეკრულებაზე და დარწმუნებული ვარ, შედეგსაც მივაღწევთ. რაც მთავარია, გუნდში დარჩენა თავად მიკოლის სურს, ასე თავად განაცხადა და ჩვენ ამის საწინააღმდეგო აბა რა უნდა გვქონდეს“.*

მიკოლის სურვილს ფეხბურთელის აგენტიც ადასტურებს: *„ჯერჯერობით კლუბისგან ახალი კონტრაქტი არ მიგვილია და ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე ვერაფერს გეტყვით. ისე კი, მქონდა საუბარი ფაბრიციოსთან და მან მკაფიოდ განმიცხადა, რომ კარიერის გაგრძელება სწორედ „პალერმოში“ სურს. მას სიცილიაში ყველაფერი აკმაყოფილებს და გარემოს გამოცვლის სურვილი ნამდვილად არ აქვს. ახლა სიტყვა „პალერმოს“ მესვეურებზეა, მიკოლიმ თავისი სურვილი ჩემთან საუბარში დააფიქსირა“.*

იუვენტუსი



# კამორანეზი გადარჩა

**კამორანეზი** მიმდინარე სეზონში ტრავმებმა გატანჯეს. იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა სერია A-ში მხოლოდ და მხოლოდ ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ძირითადად შეცვლებზე უწევდა ასპარეზობა. მაურო „რეჯინასთან“ დაპირისპირებისას კიდევ ერთხელ დაშავდა, საჰაერო ორთაბრძოლის შემდეგ მოედანზე უხეიროდ დავარდა და თამაშის გაგრძელება ველარ მოახერხა. ექიმების პირველადი დასკვნა მეტად შემაშფოთებელი იყო, ფეხბურთელს ორთვიანი დასვენება გამოუწერეს, რამაც **კლაუდიო რანიერი** საგონებელში ჩააგდო. თუმცა, გუშინ მწვრთნელისთვისაც და „იუვეს“ ტიფოზებისთვისაც მეტად სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, კამორანეზის ტრავმა გაცილებით მსუბუქი ყოფილა და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, ფეხბურთელი მოედანს ახალ წლამდე დაუბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ფეხბურთი და ბიზნესი

# გერმანული წესრიგი და მისი საიდუმლოებანი



საფეხბურთო ბიზნესის თვალსაზრისით ეტალონად ინგლისური პრემიერლიგა მიიჩნევა, თუმცა ეფექტურობის თვალსაზრისით ის აშკარად ჩამოუვარდება... ბუნდესლიგას. დიახ, ცოტა ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ასეა. ამ მხრივ ინგლისის პირველობა სპეციალური კონკურსი რომ ტარდებოდეს, ვერასოდეს მოიგებდა. კუნძულელები ძალიან დიდ ფულს ხარჯავენ ტრანსფერებსა და მოთამაშეთა ხელფასებში. ხარჯები იმაზე სწრაფად იზრდება, ვიდრე შემოსავლები და ამას რაც მოჰყვება, პატარა ბავშვიც კი მიხვდება - მოგების შემცირება ან უარეს შემთხვევაში წაგებაზე მუშაობა. 2008 წელი ის მიჯნა აღმოჩნდა, როდესაც ინგლისელებმა საფეხბურთო ბიზნესში პირველობა დათმეს. წარმოიდგინეთ, 2006-07 წლების სეზონში (მას შემდეგ მასშტაბური აუდიტორული შემოწმება წამყვან ჩემპიონატებში არ ჩატარებულა) 18-მა ბუნდესლიგელმა საერთო ჯამში 250 მილიონი ევროს მოგება მიიღო.

თუკი გეტყვით, რომ გერმანიის ჩემპიონატი შემოსავლებით ინგლისის პირველობას ჩამორჩება და თანაც საგრძნობლად, სიურპრიზი არავისთვის იქნება. ამ ქვეყანაში კლუბების საერთო შემოსავალი 1,4 მილიარდი ევროა, ხოლო ინგლისის 20 კლუბისა - 2,3 მილიარდი. ესპანური პრიმერას კლუბები სეზონში 1,3 მილიარდს გამოიმუშავებენ, იტალიის სერია A-ში - 1,2 მილიარდს. საფრანგეთის უმაღლესი ლიგა მათ შორის ყველაზე ღარიბია, სეზონში სულ 1 მილიარდის შემოსავლით. ზემოთაც ვახსენეთ, შემოსავალი ერთია და რენტაბელურობა მეორე. ბუნდესლიგაში შემოსავლის 18 პროცენტი სუფთა მოგებაა, ხოლო პრემიერლიგაში ზუსტად ამის ნახევარი. რომ არა გერმანიის ანტიმონოპოლიური ბიურო, შეიძლება ითქვას, რომ კლუბების მოგება უპრეცედენტოდ მაღალი იქნებოდა - ფედერალურმა სამსახურმა ბუნდესლიგის კლუბებს ტელემაგნატებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებების დადების უფლება არ მისცა, გერმანიაში თამაშების ჩვენების უფლება ძველებურად ერთ პაკეტში იყიდება, მაშინ, როცა თითქმის ყველა ევროპული გრანდი საკუთარ მატჩებს თავადვე განკარგავს. მომავალი წლიდან ბუნდესლიგელებისთვის სატელევიზიო შემოსავლები გაიზრდება, რადგან ძალაში შედის ახალი სატელევიზიო შეთანხმება. მაგალითისთვის გეტყვით, რომ „ბაიერნი" 25 მილიონის ნაცვლად წელიწადში დაახლოებით 75 მილიონს მიიღებს. სხვა კლუბების შემოსავლები ასეთი პროპორციით, რა თქმა უნდა, არ გაზრდილა. მიუნხენური გრანდი, რაც უნდა მოხდეს, არა მხოლოდ გერმანული, ზოგადად მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ბრენდია. სულ ამ გზით გერმანელები წელიწადში 412 მილიონ ევროს მიიღებენ, ეს მაშინ, როცა მარტო მადრიდის „რეალი" სეზონში ამ თანხის დაახლოებით ნახევარს შოულობს.

გერმანია 82-მილიონიანი მოსახლეობით ევროპის უდიდესი ქვეყანაა (თუ ავადსახსენებელ რუსეთს არ ჩავთვლით), მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა არ არის უპირველესი ფაქტორი - უმთავრესი მიზეზი, რაც ბუნდესლიგელთა გამდიდრებას ხელს უწყობს, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატია. ახლავე აგიხსნით რატომაც: ხსენებული უდიდესი ფორუმის დაწყებამდე გარემონტდა არა მხოლოდ ის არენები, სადაც უშუალოდ ჩემპიონატის თამაშები ტარდებოდა, არამედ რამდენიმე სხვა სტადიონიც. დღეს რა შედეგი გვაქვს? ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო სტადიონებია წამოჭიმული, სადაც გულშემატკივარი სიამოვნებით დადის. ასე წარმოიდგინეთ და, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ 2006 წელს მუნდიალისთვის უნდა ემასპინძლათ, ბუნდესლიგის მატჩებზე საშუალო დასწრების რეკორდი ყოველ წელს მყარდება და ეს პროცესი არც ჩემპიონატის გადაგორების შემდეგ შეჩერებულა. საშუალოდ გერმანიაში თამაშს 39 ათასი ადამიანი ესწრება. მეორე ბუნდესლიგელი „მიუნხენ 1860-ის" თამაშებზე კი საშუალოდ 44 ათასი ადამიანი დადის. თუ იდენტური არა, მეტნაკლებად მსგავსი სიტუაციაა ქვედა ლიგის სხვა შეხვედრებზეც. 44 ათასი გულშემატკივარი ესპანურ პრიმერასა და იტალიის სერიაში მესამე შედეგია. არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ პირენეელთა პირველობაზე ამაზე მეტი გულშემატკივარი მხოლოდ „რეალისა" და „ბარსელონის" თამაშებზე დადის.

გერმანული არენები თანამედროვე, კომფორტული და უსაფრთხოა. ამასთან, გულშემატკივართა ყიჟინა თანდათან ემსგავსება მძიმე მეტალის სტილის ჯგუფების საკონცერტო ხმაურს. ფანებს სტადიონზე გიგანტური დროშები დააქვთ, ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებენ და თქვენ წარმოიდგინეთ, მეტოქის წარსულის ლეგენდარულ ფეხბურთელებსაც პატივს სცემენ, რისი მაგალითიც ლევერკუზენელებმა მოგვცეს. გერმანიაში დღემდე შეიძლება ნახოს ადამიანმა, რომ მავანი ფანი ფეხზე დასადგომ ბილეთს ყიდულობს. თუკი ასეთს თვალი მოჰკარი, ჩათვალე, რომ ჭეშმარიტი გულშემატკივარი გინახავს, რადგან სწორედ ასეთები ხმაურობენ ყველაზე მეტად და ამით დაუვიწყარ ატმოსფეროს ქმნიან. ფეხზე დასადგომი ბილეთები ინგლისის სტადიონებზე 80-იანი წლების დასაწყისში აკრძალეს, რადგან ძალზე გახშირდა ტრაგედიები. საბედნიეროდ, გერმანიაში მსგავსი ფაქტი ძალზე იშვიათად თუ ხდება. შესაბამისად, ხალხს აქვს უფლება სტადიონზე მივიდეს, 90 წუთი ფეხზე იდგეს, ხელში ლუდის უზარმაზარი ბოთლი დაიჭიროს და იღრიალოს. როგორც წესი, ის არავის არაფერს უშავებს. ჩხუბით გერმანელმა ფანმა მაქსიმუმ ჰოლანდიელთან ან ინგლისელთან იჩხუბოს და ისიც სტადიონს მიღმა. იმავე ინგლისისგან განსხვავებით გერმანიაში ბილეთს ცეცხლის ფასი არ ადევს და საშუალო მაცხოვრებელს ოჯახთან ერთად სტადიონზე წასვლა ნახევარი თვის შემოსავალი არ უჯდება. ზემოხსენებული ფეხზე დასადგომი ბილეთები 7-8 ევრო ღირს. გარწმუნებთ, ამ თანხად „ოლდ ტრეფორდის" ბილეთს კი არა, უშუალოდ ტრიბუნაზე სენდვიჩს ვერ იყიდით.

გერმანია ინგლისს სატიტულო სპონსორების მიერ გადახდილი თანხითაც უსწრებს. საშუალოდ ბუნდესლიგური კლუბი წელიწადში 8,3 მილიონ ევროს იღებს. პირველ ადგილზე ამ მხრივაც „ბაიერნია", ხოლო ბოლოზე „კოტბუსი", ვინც წელიწადში ამ გზით 2,7 მილიონ ევროს იღებს. პრიმერა დივიზიონში კოტბუსელები ამ შედეგით მე-8 ადგილზე გავიდოდნენ.

ბუნდესლიგას გარდა დადებითი მახასიათებლებისა, თვალში საცემი მინუსებიც აქვს. ის ვერა და ვერ გახდა ისეთივე მოთხოვნადი პროდუქტი მსოფლიო ბაზარზე, როგორიც, ვთქვათ, შნაპსი და ლეგენდარული **ვიმ ვენდერსის** ფილმები. გერმანული კანონმდებლობით აკრძალულია უცხოელის მიერ კლუბის საკონტროლო პაკეტის ფლობა. ზოგადად თავისუფალი ინვესტორი კლუბში ფულის ჩადების დროს ძლიერ შეზღუდულია. სწორედ ამიტომ არის, რომ კლუბები ყოველ დასახარჯ ცენტს უფრთხილდებიან. შეუძლებელია დოტაციიის იმედი გქონდეს, რადგან კანონით ასეთი რამე დაუშვებელია.

ფეხბურთელების ხელფასებზე საშუალოდ კლუბები შემოსავლის 45%-ს ხარჯავენ - ფენომენალურად დაბალი მაჩვენებელია! ეს რიცხვი უფრო ცოტაა, ვიდრე, თქვენ წარმოიდგინეთ და, რუსეთშიც კი. ინგლისში აღნიშნული მაჩვენებელი 62%-ია. ის, რომ გერმანელები ტრანსფერებშიც უფრო ცოტას ხარჯავენ ვიდრე სხვები, ალბათ, შეხსენებადაც არ ღირს. წელს, ზაფხულზე, 18-მა ბუნდესლიგელმა ახალ ფეხბურთელებში 155 მილიონი გადაიხადა, მაშინ, როცა მხოლოდ „მანჩესტერ სიტიმ" და „ტოტენჰემმა" უფრო მეტი დახარჯეს. ყველაზე „ძვირი სიამოვნება" გერმანიაში „ვოლფსბურგის" მიერ ნაყიდი **ანდრეა ბარძალი** იყო - 14 მილიონი ევრო. უფრო დიდი თანხა გადაიხადეს არა მხოლოდ ინგლისურმა, იტალიურმა და ესპანურმა, არამედ ფრანგულმა, ჰოლანდიურმა და რუსულმა კლუბებმაც კი. მიუხედავად ამისა, ვერავინ იტყვის, რომ „იაფი" ფეხბურთელები დაბალი დონის ფეხბურთს თამაშობენ. ერთმნიშვნელოვანია, რომ ბუნდესლიგის დონე ნელ-ნელა, კუს ნაბიჯებით, მაგრამ მაინც იზრდება. საშუალო შედეგიანობა აქ უფრო მაღალია, ვიდრე ხუთ წამყვან ლიგაში. ევრო 2008-ზე 15 ნაკრებიდან (თავისთავად გერმანია არ ითვლება) მხოლოდ ესპანეთის ნაკრებს არ ჰყავდა ლეგიონერი გერმანიის ჩემპიონატიდან. იშვიათია, როდესაც ამ ქვეყნის წარმომადგენლები უცხოელი სუპერვარსკვლავებისთვის იბრძვიან, სამაგიეროდ, დიდი მონდომებით ნადირობენ საშუალო და საშუალოზე მაღალი დონის ფეხბურთელებზე, ისეთებზე, როგორებიც არიან **რაკიტიჩი, ბრენო, რენატო აუგუსტო, ტიაგო ნევესი**, თუმცა ხანდახან არც უმაღლესი კალიბრის ფეხბურთელებზე ამბობენ უარს, მაგალითად: **გლები, ვან დერ ვაარტი, ბერბატოვი, რიბერი, ტონი.**






ჩელსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯონ ობი მიკელი

# სამართალმა იზეიმა

## სკოლარი განსაჯეს და გაამართლეს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ „ჩელსის" თავკაცის, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ის განცხადება შეისწავლა, სადაც ბრაზილიელი „არსენალთან" წაგებული შეხვედრის არბიტრ **მაიკ დინს** არაკვალიფიციურობაში ადანაშაულებდა და მისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა. გაჩნდა შეკითხვა: კი, მაგრამ რა იყო აქ შესასწავლი? ლონდონელთა მწვრთნელი დაუსაბუთებელ ბრალდებას აყენებდა თუ... რომ არა მაიკ დინის აშკარა სიბრმავე, გოლის ჩათვლა ხომ შეუძლებელი იყო?! **რობინ ვან პერსი** დაახლოებით მეტრიან თამაშგარეში იმყოფებოდა. საბოლოო ჯამში, სკოლარი სანქციებს გადაურჩა.

ალბათ შესანიშნავად გახსოვთ **ჯონ ობი მიკელის** „ჩელსიში" ტრანსფერის ისტორია. 2005-06 წლების სეზონი ნიგერიელმა ფეხბურთელმა ოსლოს „ლინში" გაატარა. 2006-ის ზაფხულზე მისი ხელში ჩაგდება „მანჩესტერ იუნაიტედმა" მოინდომა და მიზანს მიაღწია კიდეც. კარგად გეხსომებათ ისიც, რომ **რომან აბრამოვიჩი** მაშინ „არისტოკრატებისთვის" ყველა იმ ფეხბურთელს ყიდულობდა, ვისაც **ჟოზე მოურინიო** თითს დაადებდა. პორტუგალიელმა კი ნიგერიელის გაარისტოკრატება დაიჟინა. „ჩელსიმ" „ალისფერ ეშმაკებს" 12 მილიონი გირვანქა გადაუხადა და მოთამაშე გამოისყიდა, პლუს 4 მილიონი გადაუხადა „ლინს". „განსაკუთრებული კაცის" ახირებულობა რომ არა, ამ საქმეში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, თუმცა საქმის არსი სულ სხვა რამეშია. ობი მიკელის გადაბირების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნიგერიელი თავისუფალი აგენტი ყოფილა, ხოლო დოკუმენტი, რომელსაც ნორვეგიული კლუბის პრეზიდენტი აფრიალებდა მის მიერ ყოფილა შეთითხნილი. დოკუმენტების გაყალბებისთვის ეს ადამიანი დაიჭირეს, მაგრამ ამით „ჩელსის" საქმე გაუჩნდა. გამოვიდა, რომ ლონდონურმა კლუბმა 16 მილიონი გირვანქა ტყუილად გადაიხადა. მანკუნიანელებმა მათ მიერ აღებული 12 მილიონი ნებაყოფლობით დააბრუნეს. ნორვეგიელებს კი „არისტოკრატებმა" სასამართლოში უჩივლეს. სწორედ ამ დღეებში გაცხადდა, რომ მოსამართლის მიერ მხარეთა მორიგებისთვის დაწესებულ ვადაში ლონდონელთა და ოსლოელთა შორის შეთანხმება საბოლოოდ გაფორმდა. საქმის დეტალებზე არავინ ლაპარაკობს. ალბათ, სკანდინავიელები დათანხმდნენ თანხის სრულად ვადახდას.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ისტორია

მუნდიალი 1990

# არგენტინული საიდუმლოებები



**„კანალ პლიუსმა“ რამდენიმე დღის წინ 1990 წლის მუნდიალსა და არგენტინის ნაკრებზე მომზადებული შვიდწუთიანი დოკუმენტური ფილმი გაუშვა ეთერში. ფილმი იმდენად საინტერესო მომეჩვენა, გადავწყვიტე სასწრაფოდ მეთარგმნა და საგაზეთო სტატიის სახით ჩვენი მკითხველებისთვის შემომეთავაზებინა. დარწმუნებული ვართ, ბევრ საინტერესო და ახალ ფაქტს შეიტყობთ...**

1990 წლის 8 ივნისს „სან სიროზე“ იტალიის მუნდიალის გახსნის ცერემონიალი გაიმართა. ამის შემდეგ ორგანიზატორებმა მოედანი გაათავისუფლეს, მინდორი მოაწესრიგეს და არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩის ჩასატარებლად ასპარეზი დაუთმეს. იმ დღეს მოქმედი ჩემპიონი კამერუნის ნაკრებს ეთამაშებოდა. გუნდი, რომელიც იტალიაში ტიტულის დასაცავად ჩავიდა, სრულიად უცნობი ნაკრების წინაშე წარდგა.

**კარლოს ბილარდო:** *„კამერუნის ეროვნულ გუნდს კარგად არ ვიცნობდი. მხოლოდ ერთი თამაში მქონდა ნანახი, რომელიც აფრიკის თასზე ალჟირის წინაალმდეგ ჩაატარა. მახსოვს, კვირა დღე იყო. იტალიაში ვიყავი ჩასული. „ნაპოლიმ“ მორიგი შეხვედრა გამართა. მოგვიანებით, დიეგოს სახლში ამოვჩნდი. იქ ფერარა დამხვდა. ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ. მერე მარადონას ვკითხე, რაიმე საშუალება გაქვს, რომ კამერუნისა და ზამბიის მატჩი ვნახო-მეთქი. დიეგომ დამცინა, საქმე გამოგლევლია, რა დროს კამერუნი და ზამბიააო. მაგრამ მე მაშინ ყველა გუნდს ვაკვირდებოდი და შეძლებისდაგვარად ვსწავლობდი. სამწუხაროდ, მაშინ კამერუნისა და ზამბიის მატჩი ვერ ვნახე“.*

8 ივნისს ყველასთვის უცნობმა აფრიკულმა გუნდმა არგენტინა და მთელი სამყარო გააოცა. კამერუნმა 1:0 მოიგო. იმ დღეს **კარლოს ბილარდო** ნირწამხდარი და განადგურებული იყო.

**ოსკარ რუჯერი:** *„კამერუნთან მატჩის მეორე დღეს ბილარდომ თეორიული მეცადინეობა ჩაგვიტარა. დაფასთან იდგა, მაგრამ ხელი უკანკალებდა და ვერაფერს წერდა. ვიფიქრე, ამ კაცს რა სჭირს-მეთქი. შემდეგ შემოტრიალდა და დავინახე რომ თვალებიდან ცრემლები მდინარესავით მოსდიოდა. როგორც იქნა დამშვიდდა და გვითხრა, ბიჭებო, ასე სამარცხვინოდ კიდევ რომ დავმარცხდეთ, იცოდეთ ვერ გადავიტან და მოვკვდებიო“.*

**კარლოს ბილარდო:** *„მართალია, რუჯერი მაშინ იქ იყო და არ გატყუებთ. გული ქვასავით დამძიმებული მქონდა. მერე კი შემრცხვა, მაგრამ მართლა ბავშვივით ვტიროდი. ბიჭებს ის ვუთხარი რასაც ვფიქრობდი. თავში სუიციდის იდეა მიტრიალებდა. მეორე კატასტროფას მართლა ვერ გადავიტანდი და ბიჭებს ის ვუთხარი, რაც რუჯერიმ მოგიყვათ, მოვკვდები-მეთქი“.*

ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში საბჭოთა კავშირის დამარცხების წყალობით არგენტინის ნაკრები საკმაოდ კომფორტულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ალბისელესტესა“ და რუმინეთს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრე ჰყოფნიდათ.

**კარლოს ბილარდო:** *„თამაშის დაწყებიდან ფაქტობრივად ბოლო წუთამდე ბურთი მოედნის ცენტრში არ ჩერდებოდა. წინ და უკან, წინ და უკან. სულ მოძრაობაში ვიყავით, რომ ნაგვეგო, სახლში დავბრუნდებოდით“.*

**ოსკარ რუჯერი:** *„სათადარიგოთა სკამზე რადიო გვქონდა ჩართული და მეორე შეხვედრის ტრანსლაციას ვუსმენდით. მახსოვს, რუმინელები სარბენ ბილიკზე იდგნენ და გვიყვიროდნენ, ნუ გვიტევთ, თუ ფრეს ვითამაშებთ, ყველაფერი კარგად იქნება, ჯგუფიდან ორივე გავალთო“.*

სატელევიზიო ტრანსლაციამ ეს უნიკალური კადრები სამუდამოდ შემოინახა. რუჯერი მართალია, რუიმინელები ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვიროდნენ, თამაში არ გავამწვავოთ, ფრე ყველასთვის ხელსაყრელიაო. მიუხედავად ამისა, არგენტინა აზარტმა მოიცვა და უკანმოუხედავად უტევდა.

**კარლოს ბილარდო:** *„თუ გახსოვთ, მაშინ სკამზე ორ წუთს ვერ ვჩერდებოდი. სულ ფეხზე ვიდექი და ვყვიროდი. იცით, ბიჭებს რას ვეუბნებოდი? გაჩერდით, გაჩერდით, ნუ უტევთ-მეთქი, მაგრამ არავინ მისმენდა. ჩემი ფეხბურთელები ისევ დიდი ძალებით უტევდნენ. გაოგნებული გახლდით, ისე იქცეოდნენ, თითქოს იქ არც ვყოფილიყავი. თანაშემწეებს ვეკითხებოდი, ხომ არ გაგიჟდნენ, რას აკეთებენ-მეთქი. მართლა არ გაჩერებულან. ისე დარბოდნენ, თითქოს ფინალს თამაშობდნენ. არადა, რუმინელებს კონტრიერიშზე რომ დაეჭირეთ და გაეტანათ, არგენტინაში დავბრუნდებოდით“.*

მიუხედავად ყველაფრისა, შეხვედრა ფრედ დასრულდა -1:1. არგენტინა მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მოწინააღმდეგე ბრაზილია იყო.

**ოსკარ რუჯერი:** *„როცა ჯგუფური ეტაპი დავძლიეთ, დავმშვიდდით და სალაპარაკოდ დავსხედით მივხვდით, რომ ცუდად გვქონდა საქმე. ერთმანეთს ვუყურებდით და ვამბობდით, ღმერთო, ეს რაში გავყავით თავი-თქო. არ გვეშინოდა, მაგრამ ვაცნობიერებდით, რომ ურთულესი ორთაბრძოლა გველოდა. მაშინ ბრაზილიას არაჩვეულებრივი გუნდი ჰყავდა. ჩემი აზრით, ჯგუფურ ეტაპზე მათ საუკეთესო ფეხბურთი ითამაშეს. გულშემატკივრებმა ბრაზილიური ცეკვა მერვედფინალშიც იხილეს. ხომ გეუბნებით, ვიცოდით, რომ ურთულესი მატჩი გველოდა, მაგრამ ასეთ ჯოჯოხეთს ვერ წარმოვიდგენდი. აღარც კი მახსოვს რამდენ გოლს გადავურჩით. ძელი აღარ დაგვიტოვეს. ბრაზილიას ასე კარგად დიდი ხნის განმავლობაში არ ეთამაშა. დღესაც იგივეს გავიმეორებ, მაშინ გოლი რომ არ გავუშვით ნამდვილი სასწაული იყო. პირველ ტაიმში ბრაზილიამ გადაგვიარა. შესვენებამ სულზე მოგვისწრო. მოედნიდან გავედით და გასახდელში დავსხედით. იცით, ამ დროს რა ხდება ხოლმე? მწვრთნელი ფეხბურთელებს ხუთ წუთს აძლევს, რომ სული მოითქვან. თუ მას რამე აქვს სათქმელი, მხოლოდ ამის შემდეგ ეუბნება ხოლმე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბილარდო ბევრ შენიშვნას მოგვცემდა, მაგრამ შესვენების დრო ისე ამოიწურა, მას ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. არ გატყუებთ, ხმა არ ამოუღია. გავოცდით, მაგრამ რა უნდა გვექნა. ავდექით და მოედანზე დასაბრუნებლად მოვემზადეთ. სწორედ ამ დროს ბილარდომ დაგვიძახა. უკაცრავად, ერთი წუთით ბიჭებო, თუ ყვითლები ისევ ირბენენ და თქვენ ისეირნებთ, წავაგებთ. მეტი არაფერი უთქვამს“.*

**კარლოს ბილარდო:** *„დღესაც ვერ ვხვდები მაშინ სხვა რა უნდა მეთქვა. ბრაზილია დარბოდა, ჩვენ კი დავხოხავდით. ძალიან გაგვიმართლა, რომ გოლი არ გავუშვით. მეორე ტაიმის დაწყების წინ ბიჭებს დავუძახე და ვუთხარი, ყვითლები დარბიან, თქვენ სეირნობთ. თუ ასე გააგრძელებთ წააგებთ-მეთქი“.*

**მარადონას** დაუვიწყარმა დრიბლინგმა და **კანიჯას** გოლმა არგენტინას გამარჯვება მოუტანა. ამბობენ, რომ ის დიდი შეხვედრა მოწამლული წყლის ისტორიამ გააფუჭა და ჩირქი მოსცხო. **ბრანკოს** ძალიან მოსწყურდა და არგენტინელების ბოთლიდან წყალი დალია. წლების შემდეგ ითქვა, რომ მას მოწამლული წყალი მიაწოდეს. ბრაზილიელ ფეხბურთელს რამდენიმე წუთში მუცლის გვრემა დაეწყო.

**ოსკარ რუჯერი:** *„არა, არა, მე არაფერი არ ვიცი. არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, ვინც ბილარდოსთან პირველივე დღიდან ვმუშაობდით ერთი რამ გარკვევით ვიცოდით. მწვრთნელმა გვასწავლა, მოწინააღმდეგის ხელიდან არასოდეს არაფერი აიღოთო“.*

**კარლოს ბილარდო:** *„სადაც არ უნდა წავსულიყავით, ყოველთვის ჩემი წყალი, ბოთლი და საკვები მიმქონდა“.*

**ოსკარ რუჯერი:** *„ბილარდო გვეუბნებოდა, მოწინააღმდეგემ რაც არ უნდა გამოგიწოდოთ, არაფერი გამოართვათ, ფეხბურთი ისეთი საქმეა, არავის ნდობა არ შეიძლებაო. ჩვენც არავის ვენდობოდით. აი, ბრანკო კი გვენდო. თუმცა არ ვიცი სინამდვილეში რა მოხდა. გეფიცებით, წარმოდგენაც არ მაქვს“.*

არგენტინის მორიგი მეტოქე იუგოსლავია გახლდათ. მეოთხედფინალის ბედი პენალტებმა გადაწყვიტა. ეს არის თამაში, სადაც **გოიკოეჩეას** ფიგურა გამოიკვეთა. მით უმეტეს, მაშინ მარადონამ 11-მეტრიანი ვერ გაიტანა. ალბისელესტე მისმა მეკარემ გადაარჩინა.

**სერხიო გოიკოეჩეა:** *„პენალტების სერია რომ დაინიშნა, მარადონა მოვიდა და მითხრა, არ ინერვიულოო. დიეგო პირიქით მე დავამშვიდე. ნუ გეშინია, ჩათვალე, რომ ნახევარფინალში ვართ-მეთქი. როცა მუნდიალზე ხარ დიდი არჩევანი არც გაქვს. მით უმეტეს, თუ მთელი გუნდის ბედი შენზეა დამოკიდებული. უფლება არ მქონდა, ნერვიულობისთვის დრო მომენახა. რა დროს ნერვიულობა იყო, როცა გავეშებული იუგოსლავები ჩემს დასაბომბად ემზადებოდნენ. ნამით არ მინერვიულია. ისეთი მშვიდი ვიყავი, როგორც არასოდეს, საკუთარი თავის რწმენამ საქმე ძალიან გამიადვილა. მიუხედავად იმისა, რომ მარადონამ ვერ გაიტანა, მაინც მოვიგეთ და ნახევარფინალში გავედით“.*



1990 წლის 8 ივნისი. არგენტინა-კამერუნი

ფინალისკენ გზა იტალიაზე გადიოდა. ნახევარფინალს ნეაპოლიტანური სტადიონი „სან პაოლო“ მასპინძლობდა. სტადიონი სადაც დიეგო მთელმა ნეაპოლმა შეიყვარა. თამაშის წინა ღამით არგენტინის ნაკრების სასტუმროში რაღაც იდუმალი მოხდა.

**ოსკარ რუჯერი:** *„არ ვიცი, რომელიმე სხვა თამაშს ასეთი აჟიოტაჟი თუ ჰქონია. სრული საგიჟეთი იყო. ყვირილი, კივილი, ხმაური - აი, ამ პირობებში გვიწევდა ცხოვრება მას შემდეგ, რაც გაირკვა რომ ნახევარფინალში იტალიას ვეთამაშებოდით. ჟურნალისტები გვერდიდან არ გვცილდებოდნენ. მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩვენკენ და იტალიელებისკენ იყო მოპყრობილი. ყველას ესმოდა, რომ ნეაპოლის გმირი დიეგო მარადონა ნეაპოლში იტალიის წინააღმდეგ ითამაშებდა. საოცარი აჟიოტაჟი და ინტრიგა იყო. ამას სიტყვებით ვერ გადმოსცემ. ჩვენ რომში ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით. თამაშის წინა დილით აივანზე გავედით და რა დავინახეთ. სასტუმროს შესასვლელში სამი დროშა ეკიდა, რომის, იტალიისა და არგენტინის. არგენტინის დროშა კი შუაზე იყო გადახეული, დიახ, ნახევარი დროშა ეკიდა. მაშინ ჩვენ ბილარდოსთან რვაწლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებდა. ვგულისმობ, ფეხბურთელთა ერთ ნაწილს, რომელმაც მასთან ერთად სწორედ რვა წელი გამოიარა. მას ძალიან კარგად ვიცნობდით და მაშინვე ვთქვით, დროშა ბილარდომ გახია-თქო. შედარებით ახალბედები გაოგნებული იყვნენ. ბილარდომ ეს რა თქმა უნდა, ჩვენს გასაბრაზებლად გააკეთა. უნდოდა, რომ მოტივაცია აგვმაღლებოდა“.*

**კარლოს ბილარდო:** *„არა, არა, რა სისულელეა. წარმოდგენა არ მაქვს დროშა ვინ გახია. მე როგორ უნდა გამეხია“?*

არგენტინამ ნახევარფინალური დაბრკოლებაც პენალტებით გადალახა. ზუსტად ოთხი წლის შემდეგ ფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ ისევ გერმანიისა და არგენტინის ნაკრებები წარდგნენ. ალბისელესტეს **კანიჯა** აკლდა, ეს დიდი დანაკლისი იყო. თუმცა სანამ დიეგო მოედანზეა იმედი არასოდეს მოკვდება.

**ოსკარ რუჯერი:** *„ყველაზე ცუდი გაგებით რომ ვთქვათ, ეს ტიპური ფინალი იყო. ცოტა სანახაობა და ბევრი ბრძოლა. ერთმანეთს ფეხებში ვურტყამდით. გუნდები კი არ თამაშობდნენ, არამედ მუშაობდნენ. რას ვიზამთ, ფინალს ძალიან დიდი ფასი აქვს. მოკლედ, ბრძოლა საეჭვო ვითარებაში დანიშნულ 11-მეტრიანამდე გაგრძელდა. რატომ საეჭვო? იმიტომ, რომ ჩვენი აზრით მაშინ წესები არ დარღვეულა“.*

გოიკოეჩეა გადამწყვეტ ეპიზოდს ასე იხსენებს: *„როცა დავინახე, რომ ბურთთან ბრემე მივიდა, ძალიან ბევრ რამეზე დავფიქრდი. მას ასე თუ ისე, კარგად ვიცნობდი და დაახლოებით წარმომედგინა, როგორ დაარტყამდა. ბრემეს უჩვეულო ხელწერა ჰქონდა. 11-მეტრიანებს საჯარიმოსავით არტყამდა. როგორც წესი ის ბურთს მაღლა წევდა და ძელისკენ გზავნიდა. არაჩვეულებრივი დარტყმა ჰქონდა. როცა დიდი ძალით დარტყმული ბურთი უკიდურეს კუთხეში მიდის მისი მოგერიება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ იმედი მაინც მქონდა და ვფიქრობდი, რომ ბრემე ისევ მაღლა აწევდა ბურთს. მე სწორედ ასეთი დარტყმისთვის მოვემზადე, მაგრამ როგორც ჩანს, ბრემე მიხვდა, რომ მე მისგან ასეთ დარტყმას ველოდებოდი და მომატყუა. ბურთი დაბალ კუთხეში შეაგდო. მიმართულება კი გამოვიცანი, მაგრამ წამის მეათედით დავაგვიანე. პრინციპში იმ ბურთის აღება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, მაგრამ აგერ უკვე 18 წელია ის ეპიზოდი და გაშვებული 11-მეტრიანი მტანჯავს“.*

**ოსკარ რუჯერი:** *„არავის ვუსურვებ ის განიცადოს, რაც მაშინ ჩვენ ვიგრძენით. გასახდელისკენ ნაცემი, დამცირებული და ტალახში ამოსვრილი ძაღლებივით მივდიოდით. ეს კოშმარი არასოდეს დამავიწყდება. გასახდელში არავინ ლაპარაკობდა. თითქოს ყველა დავიხოცეთ. ვგრძნობდი, რომ გული მიჩერდებოდა. მაშინ, როცა სასოწარკვეთილებამ პიკს მიაღწია, კარი გაიღო და ჩვენს გასახდელში ლოთარ მათეუსი შემოვიდა. ის სათითაოდ ყველას გადაგვეხვია და ალბათ, ბევრი ჩვენგანი ინფარქტით სიკვდილისგან იხსნა. მათეუსი დიდი ადამიანია. ამ ჟესტს ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ. წარმოიდგინეთ, გერმანელები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, მათ ფიესტა ჰქონდათ, მათეუსმა კი ყველაფერი მიატოვა და ჩვენთან მოვიდა. მან იცოდა, რას ვგრძნობდით და ზურგი ვერ შეგვაქცია. დღესაც ცრემლები მომდის ამის გახსენებაზე. დიდი მადლობა, ლოთარ“!*

ოთხი წლის შემდეგ ფინალმა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი აჩუქა. არგენტინამ და გერმანიამ პოზიციები გაცვალეს. ზოგისთვის ეს იმდენად მტკივნეულია, რომ იმ თამაშის გახსენა აღარ სურს. ნახვაზე საუბარიც ზედმეტია.

**კარლოს ბილარდო:** *„ის თამაში მხოლოდ ერთხელ მაქვს ნანახი, მწვრთნელის სავარძლიდან. ვიდეოჩანაწერის ნახვა არ შემიძლია, ვიცი, გული გამიჩერდება. ფირი მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისე მოვკვდები რომ მას არასოდეს ჩავრთავ“.*

ილია **ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# რეგიონთა 200 რჩეული ტატამზე

გუშინ შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დაიწყო და დღეს დამთავრდება ძიუდოისტთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის 200-მდე რჩეული ათლეტი მონაწილეობს. ასპარეზობის პირველ დღეს მედლები გათამაშდა 3 წონით კატეგორიაში. გაუწყებთ გამარჯვებულებისა და პრიზიორების ვინაობას:

**50 კგ.**

1. ამირან პაპინაშვილი - აჭარა
2. ბეთქილ შუკვანი - მცხ.-მთ.
3. სოსო ნიჟარაძე - ქვ. ქართ.
3. ლევან ჩუბინიძე - იმერეთი

**66 კგ.**

1. შალვა ქარდავა - ქვემ. სვან.
2. გიორგი ფერსაშვილი - შიდა ქართ.
3. სანდრო იაკობაშვილი - ქვ. ქართ.
3. გიორგი გუჯეჯიანი - ქვ. ქართ.

**73 კგ.**

1. თენგიზ პაპოშვილი - კახეთი
2. დავით კუპრაშვილი - ქვ. ქართ.
3. ამბაკო ავალიანი - ქვ. ქართ.
3. ლაშა გუმბერიძე - იმერეთი

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ჭადრაკი

# ჯავახიშვილი ვაჟებს ეპაექრება

ხორვატიის ქალაქ რიეკაში მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „ხმელთაშუა ზღვა 2017". ტურნირის საპრიზო ფონდი 12 ათასი ევროა, მასში სამი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ლელა ჯავახიშვილი** (2473). ლელასთან ერთად რიეკაში **სალომე მელია** (2410) და **სოფო გვეტაძე** (2361) ჩავიდნენ. ტურნირი 9-ტურიანია და შვეიცარიული სისტემით იმართება. რიეკამ 2017 წელს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების სპორტულ თამაშებს უნდა უმასპინძლოს, საჭადრაკო ტურნირიც ამ მოვლენასთან დაკავშირებით ატარებს სახელს. სამი ქართველი ქალი რომ ჩამოვთვალეთ შეცდომაში არ შეხვიდეთ, ტურნირი ღიაა და მასში უმეტესად ვაჟები მონაწილეობენ. ლელა ჯავახიშვილი რეიტინგით მე-16-ა 100 მონაწილეს (სულ 15 დიდოსტატია) შორის.

4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი (4) მხოლოდ რუმინელ დიდოსტატ **ვლადისლავ ნევედნიჩის** (2583) აქვს. მას კვალში 12 მოჭადრაკე უდგას 3,5-3,5 ქულით, ერთ-ერთი მათგანი კი ლელა ჯავახიშვილია. ლელამ მხოლოდ მეორე ტურში ვერ შეძლო მოგება (თეთრი ფიგურებით ხორვატ **ემილიო ფუჩაკთან**). სალომე მელიას 3 ქულა (მარცხი მესამე ტურში ხორვატ დიდოსტატ **ივან სარიჩთან**) აქვს, ხოლო სოფო გვეტაძეს – 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# არუთინიანი ვოივოდას თასზე



დავით არუთინიანი

პოლონეთში ტარდება 24-ე ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი ვოივოდას თასზე. შეჯიბრებაში 10 მონაწილეა, მათ შორის დიდოსტატი **დავით არუთინიანი** (2584), რომელიც პოლონეთში დრეზდენიდან ჩავიდა, სადაც საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრებთან ერთად მე-11 ადგილი დაიკავა. 7 ტურის შემდეგ არუთინიანს 5 ქულა აქვს (3 მოგება, 4 ყაიმი). მე-6 ტურში ჩვენებურმა უკრაინელ დიდოსტატ **ალექსანდრ სულიპას** (2484) მოუგო თეთრი ფიგურებით. გუშინ, მე-7 ტურში დავითმა შავებით ყაიმს მიაღწია პოლონელ დიდოსტატ **მიროსლავ განარჩიკთან** (2516). არუთინიანი მეორე ადგილზეა, იგი მხოლოდ პოლონელ **მიხალ ოლშევსკის** (2498) ჩამორჩება, რომელსაც 6 ქულა აქვს. დღეს, ალბათ, გადამწყვეტი პარტიაა – ბოლოსწინა ტურში ჩვენი დიდოსტატი სწორედ ლიდერ ოლშევსკის ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საჭადრაკო ოლიმპიადის სკანდალური ექო

# რუსებმა ნონა გაფრინდაშვილის თასის გაძარცვა დაგვაბრალეს

დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადამ მშვიდობიანად კი ჩაიარა, მაგრამ არასასიამოვნო ამბავი მაინც მოხდა. საქმე ეხება ძარცვას – მართალია, საქართველოსთან თასის გაძარცვას მხოლოდ ამ ჯილდოს სახელწოდება თუ აკავშირებს, მაგრამ რუსებმა მოინდომეს და მთავარ დამნაშავეებად სწორედ ჩვენ გამოგვიყვანეს. თუმცა სჯობს ყველაფერი თანმიმდევრობით მოგითხროთ...

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი, რომელიც ალმასებითაა მოოჭვილი, ქალთა და ვაჟთა გუნდების საერთო „გამარჯვებულს", უკრაინას გადაეცა. თასი უკრაინაში ფედერაციის წარმომადგენელმა **ლეონიდ ტიმოშენკომ** ჩაიტანა, ჯერ დრეზდენიდან - ფრანკფურტში, შემდეგ იქიდან - კიევში. მაგრამ „ბორისპოლის" აეროპორტში მან აღმოაჩინა, რომ ჩანთა გახსნილი იყო, ხოლო სანუკვარ თასს ერთ-ერთი ალმასი აკლდა. აეროპორტის უსაფრთხოების ხელმძღვანელის მოადგილე **მიხაელ კრავეცმა** ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „სავარაუდოდ ეს მებარგულთა ნახელავია. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა ისინი მგზავრების ჩანთებს ძარცვავენ. ჩვენ დიდი ხანია ვებრძვით ამ ბოროტებას, თუმცა ქურდობის საბოლოო აღმოფხვრა ძნელია". ნორმალური კომენტარია, მაგრამ ნახეთ რა გააკეთა, ინგლისურენოვანმა „რაშა თუდეიმ" („რუსეთი დღეს") – თითქოს უნებურად აერიათ და სიტყვა „გრუზშჩიკი" „გრუზინით" ჩაანაცვლეს. ამ სკანდალურმა ფრაზამ თითქმის ყველა საჭადრაკო საიტზე პოვა ასახვა. საბოლოოდ კი უკრაინელებს და სხვებსაც მკითხველისთვის ბოდიშის მოხდამ მოუწიათ, არადა, ყველაფერში მხოლოდ რუსული გაზეთი იყო დამნაშავე. სკანდალის შემდეგ, „რაშა თუდეის" საიტზე შეცდომა გაასწორეს ყოველგვარი მითითების გარეშე (თითქოს არც ყოფილა). ერთს ჩვენი მხრიდან დავამატებთ, „რაშა თუდეის" შესანიშნავი სათაური აქვს და მისი საქმიანობაც სრულად ასახავს რუსეთის თანამედროვე და არა მარტო თანამედროვე სახეს...



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილი ახალგაზრდულ ელიტაში გაერია

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** წლეულს შეძლო მთავარი – დაგვანახვა, რომ ქართულ ჩოგბურთში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდაა. მას გარკვეული წარმატებები უკვე დიდებშიც აქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, მისი ძირითადი ასპარეზი მაინც ახალგაზრდული ტურნირებია. 18-წლამდელთა შორის ნიკა მსოფლიოს 183-ე ჩოგანია, ეს კი მას „ედი ჰერის ჩემპიონატის" ძირითად ბადეში თამაშის უფლებას არ აძლევდა. აღნიშნული ტურნირი ფლორიდის ქალაქ ბრედენტონში იმართება და ის პირველი კატეგორიისაა. ფაქტობრივად, ეს შეჯიბრება ახალგაზრდულ ტურნირებში ყველაზე პრესტიჟულის, „ორანჯ ბოულის" გენერალური რეპეტიციაა. ბასილაშვილი სწორედ ამის გამო დაუბრუნდა ახალგაზრდულ ასპარეზს, რომელზეც სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია.

ორი საკვალიფიკაციო წრის იოლად გავლის (ქართველმა მხოლოდ სამი გეიმი დათმო ორ შეხვედრაში) შემდეგ, მესამე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე ამერიკელი **კაილ მაკმოროუ** იყო. ამ შემთხვევაში იოლი გასეირნება აღარ გამოვიდა, ჩვენებურმა პირველი სეტი დათმო კიდეც, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება მაინც მოიპოვა – 3:6, 7:5, 7:5. ბასილაშვილი საკვალიფიკაციო ტურნირში მე-3 ნომრად იყო განთესილი. ახლა მისთვის მთავარი იწყება, ძირითად ბადეში თამაში. ქართველს საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავს, მე-9 ნომრად განთესილი სლოვენიელი **ბლაჟ როლა**. როლა 18 წლისაა და ის ახალგაზრდულ რეიტინგში 49-ე პოზიციაზეა. სხვათა შორის, ბასილაშვილმა შარშან ძალზე წარმატებულად იასპარეზა „ედი ჰერის ჩემპიონატში" – 16-წლამდელ ბიჭებში მან ნახევარფინალში გააღწია. ორი წლის წინათ, 14-წლამდელებში მეოთხედფინალში გავიდა, ხოლო 2004 წელს (წყვილებში) 12-წლამდელთა ნახევარფინალში ითამაშა.

„ედი ჰერის ჩემპიონატი" მსხვილი ტურნირია, იქ დიდების (18-წლამდელები) კლასის გარდა შეჯიბრება იმართება პატარებშიც (12, 14 და 16-წლამდელებში). სამწუხაროდ, პატარა ქართველ ჩოგბურთელთა უმეტესობას ფლორიდაში მონაწილეობა არ შეუძლია. 16-წლამდელ გოგონათა საკვალიფიკაციო ბადეში **დიანა დავითაიამ** ამერიკელი **პაულა გარსია** დაამარცხა – 6:3, 6:1, შემდეგ კი თავად დამარცხდა ამერიკელ **ლაიან საგუნთან** – 6:4, 4:6, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ქვაცაბაია ერთხელაც ცდის

20 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (692) ვერ მოხვდა ესპანური ვინაროსის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში. საკვალიფიკაციო ტურნირში მე-3 ნომრად განთესილი ქართველი ფინალურ წრეში გააჩერეს. სოფიომ 21 წლის ჰოლანდიელ **იოსან ვან ბენეკომთან** (1078) წააგო, რომელსაც კაგრძნობლად უსწრებს რეიტინგლისტში – 4:6, 5:7. სოფიო ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს და ახალ წლამდე ის კიდევ ერთ ესპანურ ტურნირში ითამაშებს – 8 დეკემბრიდან ბენიკარლოს საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $) იწყება, იქ სოფიოს ძირითად ბადეში მოხვედრა გარანტირებული აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სოფიო ქვაცაბაია

ქართული ავტოსპორტის და ავტომობილისტების დიდი ოჯახი და პირადად შალვა ოგბაიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 29 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ქართული ავტოსპორტის დიდი მეგობარი, „რედ-ბულის" წარმომადგენელი კავკასიაში, საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის ოფიციალური პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი

**ზურაბ მათნაძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გამოსვენება 4.XII. ილია წინამძღვრიშვილის სახელობის ტაძრიდან 14 საათზე.

კალათბურთი

ასაკობრივი ჩემპიონატები

# ახალგაზრდებშიც აკაკი, ჭაბუკებშიც აკაკი...



**20-ნლამდელთა ჩემპიონატი**

28 ნოემბერი. რუსთავი

**რუსთავი-მაკაბი 95:82**

31:22, 26:22, 23:20, 15:18

რუსთავი: **დვალიშვილი (21), ხმელიძე (20), სიხარულიძე (16), ჩაჩანიძე (14)**

მაკაბი: **ლონდარიძე (21 ქულა, 19 მოხსნა), იოსელიანი (18), ჯანგველაძე (16)**

**30 ნოემბერი**

თბილისი, სპორტის სასახლე

**მაკაბი-ქუთაისი 101:80**

21:16 25:16 25:21 30:27

მაკაბი: **იოსელიანი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჯანგველაძე (19), აჰმედიანი (18), სუდაძე (15)**

ქუთაისი: **სვანიძე (24), ყიფიანი (15), კანდელაკი (11 ქულა, 10 მოხსნა)**

**სამედიცინო-მართვე 65:90**

17:25 13:18 14:24 21:23

სამედიცინო: **მაისურაძე (15), ჩქარეული (12), გაბისონია (12)**

მართვე: **მუმლაძე (18 ქულა, 4 ჩაჭრა), ბააკაშვილი (16 ქულა, 12 პასი), ლომოური (11 ქულა, 10 მოხსნა)**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 2. მაკაბი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. აკადემია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 4. ქუთაისი | 3 | 0 | 3 | 3 |
| 5. სამედიცინო | 3 | 0 | 3 | 3 |
| 6. მართვე | 3 | 1 | 2 | 4 |

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი „აკადემია" მეოთხე ტურში ისვენებდა და ცენტრალურ შეხვედრას რუსთავმა უმასპინძლა. მოქმედი ჩემპიონები, რუსთაველები „მაკაბის" შეხვდნენ და იოლადაც მოუგეს.

**ჯამლეტ ხუხაშვილის** „მაკაბი" სუპერლიგაში საქართველოს საუკეთესო გუნდებთან ჭიდილში საკმაო გამოცდილებას იღებს, თუმცა რუსთავში ამის მიუხედავად შანსი არ ჰქონია. მართალია, მასპინძლებსაც ჰყავთ რამდენიმე ისეთი წევრი, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში „ენერჯის" შემადგენლობაში ათამაშებენ, მაგრამ სუპერლიგურ გამოცდილებაში ქვემოქართლელები მაკაბელებთან ვერ მივლენ.

ასეა თუ ისე, რუსთაველებმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს და ცხრილში გალიდერდნენ. ქვემოქართლელთა წარმატებაში ლომის წილი უდევთ **ლევან ხმელიძესა და აკაკი დვალიშვილს.** ეს უკანასკნელი 18-წლიანთა ჩემპიონატშიც თამაშობს და იქ სულაც საოცრებებს სჩადის. 30-ქულიანი და 20-მოხსნიანი ბარიერის დაძლევა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. მაკაბელებს დვალიშვილმა 21 ქულა ჩაუგდო, რასაც ხმელიძემ 20 მოაყოლა და რუსთაველებმაც საბოლოოდ 95:82 გაიმარჯვეს.

რუსთავში წაგების შემდეგ „მაკაბიმ" ხასიათი თბილისში „ქუთაისის" ძლევით გამოიკეთა. სპორტის სასახლეში გამართულ მეორე შეხვედრაში კი „მართვემ" სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა – „ქუთაისს" 90:65 მოუგო

**18-წლამდელთა ჩემპიონატი**

29 ნოემბერი. რუსთავი

**რუსთავი-ქუთაისი 80:49**

23:10, 13:12, 27:11, 17:16

რუსთავი: **დვალიშვილი (48 ქულა, 20 მოხსნა, 5 დაფარება, 3 ჩაჭრა), გურული (12 ქულა, 5 ჩაჭრა)**

ქუთაისი: **ქორიძე (14), ტუკვაძე (3 ქულა, 14 ქულა)**

29 ნოემბერი. სასოფლოს დარბაზი

**დინამო-ნაკრები 93 82:60**

18:12, 14:14, 18:17, 32:17

დინამო: **ალხანაიძე (26 ქულა, 11 მოხსნა), დეკანოიძე (22 ქულა, 22 მოხსნა), ბაქრაძე (17)**

ნაკრები-93: **ბურჯანაძე (13), მიქელაძე (11), ამირხანაშვილი (11)**

**მართვე 2-ენერჯი 87:92**

27:14, 18:23, 18:19, 24:36

მართვე-2: **ლომოური (36 ქულა, 14 ქულა), გლოველი (20 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), ჭიჭვეიშვილი (17)**

ენერჯი: **ელანიძე (23), კოლოსოკი (15 ქულა, 12 მოხსნა), ჩერქეზიშვილი (15)**

**სამედიცინო-აკადემია 80:95**

21:25, 18:16, 20:26, 21:28

სამედიცინო: **წიკლაური (23 ქულა, 10 მოხსნა), ლეჟავა (20), ჩქარეული (18 ქულა, 14 მოხსნა)**

აკადემია: **ბოქოლიშვილი (39), ელიაძე (23), ჯავახიშვილი (15 ქულა, 12 მოხსნა)**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. მართვე | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. მართვე-2 | 5 | 2 | 3 | 7 |
| 4. ქუთაისი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 5. სამედიცინო | 4 | 2 | 2 | 6 |
| 6. რუსთავი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 7. ნაკრები-93 | 5 | 0 | 5 | 5 |
| 8. დინამო | 3 | 2 | 1 | 5 |
| 9. ენერჯი | 3 | 1 | 2 | 4 |

ჭაბუკთა ჩემპიონატის ყველაზე სანახაობრივი შეხვედრა „სასოფლოს" დარბაზში შედგა. ერთმანეთს "მართვე-2" და „ენერჯი" დაუპირისპირდნენ.

**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** განწვრთნილი „ენერჯი" მატჩის მსვლელობისას 23 ქულით აგებდა **კახა შენგელიას** „მართვესთან", თუმცა საბოლოოდ გამარჯვების მოპოვება შესძლო. პირველი მეოთხედი მართველებმა 13 ქულით მოიგეს და მეორის დასაწყისში 10:0 გაექცნენ მეტოქეს – 37:14.

ამის შემდეგ „ენერჯი " გააქტიურდა, **გიორგი ელინაძემ** და **ირაკლი ჩერქეზიშვილმა** უხვად დაიწყეს ქულების მოგროვება და პირველი ტაიმის დასრულებისას „ენერჯიმ" ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირა.

მესამე მეოთხედმა თანაბრად ჩაიარა და ყველაფერი დასკვნით პერიოდში გადაწყდა. ჩერქეზიშვილის შეგირდებმა ბოლო ათწუთეული 36:24 მოიგეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ.

საინტერესო გამოდგა „სამედიცინოსა" და „აკადემიის" დაპირისპირება. შედეგიანად ითამაშა აკადემიელთა ბომბარდირმა **მერაბ ბოქოლიშვილმა**, რომელმაც 39 ქულა „მედიკოსებს" ჩაუგდო და **გია კაზანჯიანის** გუნდმა რომ გაიმარჯვა, მისი დამსახურებაა.

თუმცა ტურის სნაიპერი მაინც სხვა გახდა – რუსთაველმა აკაკი დვალიშვილმა 48 ქულა ჩააგდო და სეზონის რეკორდიც დაამყარა. გარდა ამისა, აკაკიმ 20 მოხსნა ჩაიწერა, რასაც 5 დაფარება და 3 ჩაჭრა მოაყოლა. ქვემოქართლელებმა კი 80:49 დაჩაგრეს „ქუთაისი".

მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი „მართვე 2-ის" უკანახაზელ **გიორგი გლოველს** ეკუთვნოდა, რომელმაც 2 კვირის უკან 47 ქულა მოაგროვა.

**16-წლამდელთა ჩემპიონატი**

28 ნოემბერი. ქუთაისი

**ქუთაისი-რუსთავი 88:44**

29:9, 14:11, 29:9, 16:15

ქუთაისი: **ტყაბლაძე (13), იაშვილი (12), დვალიშვილი (10)**

რუსთავი: **არაბული (11), ქობალავა (10)**

29 ნოემბერი. რუსთავი

**რუსთავი-აფხაზეთი 89:52**

18:20, 24:11, 22:15, 25:6

რუსთავი: **არაბული (23 ქ, 14 მ), კიკვიძე (13), გურგენიძე (11 ქულა, 14 მოხსნა)**

აფხაზეთი: **გოლეთიანი (16), უძილაური (14 ქ, 11 მ)**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 6 | 2 | 4 | 8 |
| 2. 51-ე სკოლა | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. მართვე 4 | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. მართვე | 3 | 2 | 1 | 5 |
| 5. აფხაზეთი | 5 | 0 | 5 | 5 |
| 6. მართვე 2 | 2 | 2 | 0 | 4 |
| 7. ქუთაისი | 2 | 2 | 0 | 4 |

ქუთაისელებმა შინ შანსი არ დაუტოვეს რუსთაველებს და პირველი მეოთხედის 29:9 მოგების შემდეგ მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვიტეს. საბოლოოდ საინტერესო ანგარიში დაფიქსირდა: მასპინძლებმა ზუსტად ორმაგი ანგარიშით აჯობეს ქვემოქართლელებს - 88:44.

მეორე დღეს კი ქვემოქართლელებმა „აფხაზეთი" არ დაინდეს და შინაურ სარბიელზე 89:52 დაამარცხეს. **ჯაბა არაბულმა** 23 ქულითა და 14 მოხსნით გამოიჩინა თავი, „აფხაზეთიდან" კი ორმაგი დუბლის მოგროვება **ლუკა უძილაურმა** მოახერხა" 14 ქულა, 11 მოხსნა.

**ქართველები ევროტურნირებზე**

**ევროჩელენჯი**

**კიევი (უკრ)-კალევი (ესტ) 90:75**

მანუჩარ მარკოიშვილი: 26 წუთი, 9 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი, 1 შეცდომა

**როკი (ესტ.)-ვირტუსი (იტა.) 73:75**

გიორგი ცინცაძე: 30 წუთი, 10 ქულა, 1 მოხსნა, 5 პასი, 4 ფოლი, 4 შეცდომა

ვიქტორ სანიკიძე: 8 წუთი, 4 მოხსნა, 1 ფოლი, 2 შეცდომა

**კახასოლი (ესპ.)-ლიეჟი (ბელ). 78:79**

ტაირონ ელისი: 19 წუთი, 7 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი




საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# კადეტების პირველი გასვლა

საქართველოს კადეტთა ნაკრები ხუთშაბათს, გამთენიისას ესპანეთში გაემგზავრება, სადაც საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირში ჩაერთვება. შეჯიბრება 5-9 დეკემბერს გაიმართება და მასში ექვსი კლუბი მიიღებს მონაწილეობას. A ჯგუფში მოხვდნენ: ესპანეთი, იტალია, პოლონეთი და სლოვენია. B ჯგუფი შეადგინეს ესპანეთის მეორე ნაკრებმა, ხორვატიამ, თურქეთმა და საქართველომ.

ქალაქ ისკარის ტურნირის სისტემა მარტივია: ერთი ჯგუფის გამარჯვებული მეორის პირველადგილოსანს ფინალში შეხვდება, მეორეები ბრინჯაოს მედლებისთვის დაეჭიდებიან და ა.შ.

იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი 16-წლამდელები მაღალი ადგილებისთვის ითამაშებენ. როგორ მოემზადნენ ისინი ესპანური ტურნირისთვის და რა მიზნებს ისახავენ, ამაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი **გია კაზანჯიანი** გვესაუბრება.

- ეს შეჯიბრება ჩვენი გუნდისთვის B დივიზიონისთვის მზადების პირველი ეტაპია. მოთამაშეთა უმეტესობა პირველად გადის საერთაშორისო ასპარეზზე და სწორედ ისკარში უნდა მიიღოს პირველი გამოცდილება. ეს ტურნირი მწვრთნელებისთვის კალათბურთელთა პლუს-მინუსების კარგად შესაფასებლად გამოდგება.

**- ძლიერ მეტოქეებთან საბრძოლველად რამდენად მზად ხართ?**

- კვირაში ორჯერ ერთად ვვარჯიშობთ და ჭაბუკთა ჩემპიონატზე ვთამაშობთ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ გუნდი ბოლომდეა შეკრული, რადგან ერთი თვეა, რაც შევიკრიბეთ. ბოლო ერთი კვირაა, ყოველდღიურ ვარჯიშებზე გადავედით. ესპანეთის ტურნირზე 1993 წელს დაბადებულები თამაშობენ, თუმცა გუნდში ერთი წლით უმცროსი 5 კალათბურთელი გვყავს. ისინი, ერთი წლით უფროსებში თამაშს იმსახურებენ.

**- ესპანეთში თქვენგან რას უნდა ველოდოთ?**

- ეს ტურნირი, პირველ რიგში გამოცდილების მისაღებად გვჭირდება. ჩემპიონობაზე ფიქრი ძნელია, რადგან იქ ელიტდივიზიონის 6 გუნდია. მხოლოდ ჩვენ და სლოვენია წარმოვადგენთ ქვედა ლიგას. ვეცდებით, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ.

ბოლოს გეტყვით, რომ კადეტთა ნაკრების ესპანეთში გამგზავრების ხარჯები თბილისი მერიამ უზრუნველყო.

აქვე ისკარში მიმავალი გუნდის შემადგენლობასა და მომავალი მატჩების განრიგს შემოგთავაზებთ.

საქართველოს ნაკრები: **ოთარ ფხაკაძე, გიორგი ამირხანაშვილი, ლერი კვანტალიანი, ბექა ნადირაძე, ირაკლი მიქელაძე, ბექა ბურჯანაძე, ლევან ლოლიშვილი, ბექა ლუდუშაური, გელა გულმაგარაშვილი, გიორგი ორმოცაძე, დავით გაფრინდაშვილი, გეგი მესხი, ალეკო ჩოჩია, არჩილ ფეიქრიშვილი.**

მწვრთნელები: **გია კაზანჯიანი, არჩილ ჟღენტი.** ტექნიკური დირექტორი: **გელა წულაძე.**

**კალენდარი**

**5 დეკემბერი**

საქართველო-თურქეთი

**6 დეკემბერი**

საქართველო-ხორვატია

**7 დეკემბერი**

ესპანეთი-საქართველო

# მომავალი ეკუთვნის...

## შერმადინი ვინს კარტერის სტილში

გასულ შაბათს **გიორგი შერმადინმა** "პანათინაიკოსში" პირველი მატჩი ჩაატარა – 5 წუთში 4 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. მის ასეთ დებიუტს ბერძნები არ ელოდნენ, ამიტომ ქართველი ცენტრის გარჯას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მასზე კომენტარები არ დაიშურეს თანაგუნდელებმა, მეტოქეებმა და სხვადასხვა გაზეთმა.

"ათენის "პანათინაიკოსის" ახალგაზრდა ცენტრმა შერმადინმა ხალხი გააოცა", - ასეთი სათაურის მცირე სტატია გამოქვეყნდა საიტ "ევრობასკეტზე". ქვემოთ ვკითხულობთ:

*"შაბათს "პანათინაიკოსმა" "ეგალეო" იოლად დაამარცხა. მესამე პერიოდის ბოლოს მწვრთნელმა, ობრადოვიჩმა მოედანზე გამოუშვა დებიუტანტი, 216 სმ. სიმაღლის ქართველი გიორგი შერმადინი. იგი თამაშის რიტმში იოლად ჩაჯდა და შესვლისთანავე დაცვითი მოხსნა მიითვალა. პირველივე შეტევისას შერმადინმა ენდრიუ ნიკოლასისგან პასი მიიღო და ყველასათვის მოულოდნელად ვინს კარტერის სტილში ჩატენა. უფრო სწორად, ბურთი დაატენა ანდრე პატერსონს, რომელსაც NBA-ში თამაშის გამოცდილებაც აქვს და ესპანეთის ჩემპიონატშიც. მოგვიანებით, შერმადინმა შეტევითი მოხსნა და მორიგი ზემოდან გდება მიითვალა.*

*...საინტერესოა, რომ გიორგიმ კალათბურთის თამაში 2005 წლის იანვარში დაიწყო და ხანმოკლე კარიერის მიუხედავად, 2008 წლის დრაფტის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. იგი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში საშუალოდ 21.5 ქულას, 10.5 მოხსნასა და 3.7 დაფარებას აგროვებდა."*

ინტერნეტგამოცემა "პოკერზე" გიორგის თამაშთან დაკავშირებით სამი პიროვნების კომენტარი გამოქვეყნდა. ჯერ შერმადინის თანაგუნდელს, **ვასილი სპანულისს** მოვუსმინოთ:

- ქართველი ახალგაზრდა მოედანზე მეტად კონცენტრირებული გამოვიდა. იგი ჯერაც ადაპტაციის პროცესშია, მაგრამ ბევრს მუშაობს და ცდილობს, რაც შეიძლება მალე მიაღწიოს იმ კონდიციებს, რაც "პანათინაიკოსის" კალათბურთელს სჭირდება. საქმისადმი ასეთი მიდგომით, შერმადინი მალე ჩაჯდება გუნდში. მომავალი მის ხელთაა.

გიორგის თამაშს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს ახალგაზრდა პანათინაიკოსელი **დიმიტრის ვერგინისი:**

- შერმადინი გუნდში ახალი მოსულია და თამაშს დღითიდღე აუმჯობესებს. მონდომებულია და როცა შანსი ეძლევა, ცდილობს შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს. ასე მოხდა "ეგალეოსთან" მატჩში, მისმა ჩატენვებმა ფეხზე წამოგვაყენა და აპლოდისმენტები დაგვტყუა.

ბოლოს, გავეცნოთ გიორგის მეტოქის **პატერსონის** მოსაზრებას:

- შერმადინი ძალიან მაღალი და ფიზიკურად ძლიერია. ამასთან, იგი ახალგაზრდაა და საიმისო პოტენციალი აქვს, რომ პროფესიულად კიდევ უფრო გაიზარდოს.

წესითა და რიგით, გაგრძელება მალე უნდა იყოს...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი შეხვედრა


კახა გენაძე, გრიგოლ ვაშაძე და დავით ნამგალაური გუშინდელ შეხვედრაზე. ავტორის ფოტო

# მინისტრი ფალავანთა კლუბში

## ჭიდაობა საქართველოში მკვეთრად გამოხატული სახელმწიფო პრიორიტეტი უნდა იყოს

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **გრიგოლ ვაშაძე** ფალავანთა კლუბს ეწვია და ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობას, მოქმედ და ვეტერან სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შეხვდა. მინისტრთან შეხვედრაზე პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** და ბრინჯაოსმედალოსანი **ოთარ თუშიშვილიც** იმყოფებოდნენ.

ვაშაძემ მოჭიდავეებთან უშუალო საუბარი არჩია და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ **კახა გენაძესა** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურთან** ერთად შეხვედრას დიალოგის ფორმატი მისცა.

საუბრის დასაწყისშივე მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჭიდაობის სახეობები მისთვის პრიორიტეტულია. ფედერაციის პრეზიდენტმა მოჭიდავეთა უმთავრეს პრობლემაზე - დარბაზების დეფიციტსა და ზოგადად ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზე გაამახვილა ყურადღება. ვაშაძე დაპირდა სპორტსმენებს, რომ თბილისისა და გორს დარბაზების გარემონტებისთვის ძალებს არ დაიშურებს.

სერიოზული პრობლემაა მწვრთნელთა ხელფასებიც. ამასთან დაკავშირებით ისიც ითქვა, რომ მომავალ წელს ჭიდაობის ფედერაციამ, შესაძლოა, სპონსორებისგან დამატებითი დაფინანსება ველარ მიიღოს, რაც ფედერაციის ბიუჯეტს სერიოზულად აზარალებს.

**გრიგოლ ვაშაძე:** „შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ ჭიდაობის სახეობები ჩემთვის ნამდვილად პრიორიტეტულია. ჩვენ ნელ-ნელა შევისწავლით სიტუაციას და ყველანაირად ვეცდებით, მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. დღეისთვის, ყველაზე მთავარი პრობლემა ის არის, რომ ინფრასტრუქტურის სისტემა სრულიად მოშლილია. სპორტული ობიექტები ან გასხვისებულია, ან ისეა დანგრეული, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია, ხოლო რაც რეალურად არსებობს, სპორტსმენებისთვის საკმარისი ნამდვილად არ არის. ჩვენ რამდენიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მივიღეთ და ნელ-ნელა საქმესაც შევუდგებით".

გიორგი ჭანიშვილი

შვიდკაცა რაგბი

მსოფლიოს სერია

# ჯორჯში სარეიტინგო ქულებისთვის

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები პარასკევს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ ჯორჯში, შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიის მორიგ ეტაპში ჩაერთვება. ქართველი შვიდკაცელები ამჯერად B ჯგუფში ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების წინააღმდეგ იასპარეზებენ.

ჯორჯში ნაკრების მწვრთნელმა ის მორაგბეები იახლა, ვინც გასულ უქმეებზე დუბაის შვიდკაცაზე ითამაშეს. გუნდში მხოლოდ ერთი ცვლილებაა. **მერაბ კვირიკაშვილი** თავის ფრანგულ კლუბში „მასიში" დაბრუნდა. მის ნაცვლად კი ნაკრებს „ვისოლი ყოჩების" გარემარბი **სანდრო ნიჟარაძე** შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ დუბაიში ჩვენმა გუნდმა ხუთი შეხვედრიდან ხუთივეში მარცხი განიცადა და ვერც ერთი სარეიტინგო ქულა მოიპოვა. რასაც სავარაუდოდ ჯორჯში ეცდებიან. სულ კი საქართველოს ნაკრებს აქამდე მსოფლიოს სერიის 21 ტურნირში უასპარეზია. ჩვენმა მორაგბეებმა 102 შეხვედრა გამართეს. აქედან 26 მოიგეს, 75 შეხვედრაში კი მარცხი იგემეს. ერთიც ფრედ დაასრულეს.

ყველაზე დიდი სხვაობით საქართველოს ნაკრებს გაერთიანებული საემიროები დაუმარცხებია - 31:7. ყველაზე დიდი სხვაობით კი, ზელანდიასთან დავმარცხებულვართ -10:54.

**საქართველო ჯორჯში**

**ჯაბა ბრეგვაძე** (ვისოლი ყოჩები), **სიმონ მაისურაძე** (კლერმონი), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), **სანდრო ნიჟარაძე** (ვისოლი ყოჩები), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), **გიორგი შკინინი** (ხულიგანა), **დავით ჩიტიძე** (ლოკომოტივი), **ბექა წიკლაური** (ლოკომოტივი), **ლაშა ხმალაძე** (ლელო), **ალექსანდრე ტუჩაშვილი** (ლოკომოტივი), **გოდერძი ჯოგლიძე** (ლელო).

**მსოფლიოს სერია. ჯორჯი**

**5-6 დეკემბერი**

საქართველო-ავსტრალია
საქართველო-ს. აფრიკა
საქართველო-აშშ

ბესიკ ჯანგავაძე




გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი"

ან „ვეფხისტყაოსანი"

„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"







მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო გაყრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი · NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონს კონკურენტი არ ჰყავს



„ბოსტონ სელტიქსი“ აღმოსავლეთ კონფერენციაში თავის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს - „ორლანდო მეჯიქს“ ყოველგვარი გართულებების გარეშე გაუსწორდა. მოქმედმა ჩემპიონმა „მეჯიქთან“ ბოლო 20 დაპირისპირებაში რიგით მე-17 გამარჯვება საწყის 30 წუთში გაიფორმა.

ამ მოგების მთავარი სულისჩამდგმელი აღმოჩნდა **პოლ პირსი**, რომელმაც თავისი 24 ქულიდან 17 (!) მესამე მეოთხედში დააგროვა. ახლა, ამ ფორვარდს 35 ქულა აკლია იმისთვის, რომ კლუბის ისტორიაში მეოთხე ბომბარდირს - **კევინ მაკჰეილს** გაუტოლდეს.

ორლანდოელებმა მხოლოდ საკუთარი სტატისტიკური მონაცემების გამყარებაზე ზრუნვა შეძლეს. მაგალითად, ლიგის ვარსკვლავმა ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** „სელტიქსთან“ კარიერაში მე-15 დაპირისპირება მე-11 ორმაგი დუბლით აღნიშნა. წლევანდელ რეგულარულში ჰოვარდმა 18 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მის ანგარიშზე 14 „დაბლ-დაბლი“ მოდის.

## ტურის გმირი: დუეინ უეიდი

„მაიამის“ გამარჯვებაში უეიდის წვლილის შესახებ ყველაზე კარგად მისმა პარტნიორმა **კრის ქუინმა** თქვა: *„დი უეიდმა ყველანი ზურგზე შეგვისვა და მწვერვალზე აგვიყვანა“.* „ჰითის“ მცველი მართლაც განუმეორებელი იყო: 37 ქულა, 13 შედეგიანი პასი, დაუღალავი მუშაობა დაცვაში და თანაგუნდელებისადმი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. უეიდისთვის ამ ტურის პირველი ვარსკვლავის სტატუსის ჩამორთმევა მხოლოდ **ჯამალ კროუფორდს** შეეძლო. მაგრამ „გოლდენ სტეიტის“ გამთამაშებლის 40 ქულამ და შვიდმა შედეგიანმა გადაცემამ „მეომრებს“ მაინც ვერ მოაგებინა შეხვედრა. გარდა ამისა, ოკლენდელი ახალწვეული ისეთი ეფექტური არ ყოფილა, როგორც მისი ვიზავი უეიდი. დაბოლოს, სწორედ კროუფორდმა ვერ ჩააგდო ბოლო ბურთი, რომელსაც შეეძლო „გოლდენ სტეიტისთვის“ გამარჯვება მოეტანა.

## ტურის ანტიგმირი: სტივენ ჯექსონი

„ნიუ იორკ ნიქსთან“ ტრავმის გამო გამოტოვებული მატჩის შემდეგ, „გოლდენ სტეიტის“ ლიდერი ვერაფრით ახერხებს ჩვეული კალათბურთის თამაშს. „უორიორზის“ წამყვანმა სნაიპერმა თამაშიდან 11 ტყორცნა განახორციელა და მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო კალათში.

შედეგად, ჯექსონის სათანადო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა „გოლდენ სტეიტმა“ ზედიზედ მეხუთე გასვლითი მატჩი წააგო, რაც 2003-04 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოხდა.

## ტურის ციფრი: 223

ზედიზედ 223 მატჩია შედეგიანი გადაცემის გარეშე არ ტოვებს მოედანს „შარლოტ ბობკეტსის“ გამთამაშებელი **რაიმონდ ფელტონი**. მცველმა ტრადიციას არც „მინესოტასთან“ მატჩში უღალატა და თავისი შთამბეჭდავი სერია 35 თვემდე აიყვანა. ფელტონმა შედეგიანი გადაცემების ჩამორიგება 2006 წლის 4 იანვრიდან დაიწყო.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში ფელტონის თანაგუნდელ **ემეკა ოკაფორსაც** ჰქონდა ერთი სტატისტიკური მიღწევა - გუნდის ძირითადი ცენტრი ზედიზედ 110-ე მატჩში გავიდა მოედანზე „ბობკეტსის“ მაისურით, ეს კი კლუბის აბსოლუტური რეკორდი გახლავთ.

## ტურის ფრაზა

*„საინტერესო შეხვედრა იყო: ამდენი ტექნიკური ჯარიმა დიდი ხანია აღარ მინახავს. შემდეგ მატჩში ენას კბილს დავაჭერ, რათა მსაჯების ნაკლები გაღიზიანება გამოვიწვიო“*, - განაცხადა „ბოსტონის“ მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა**. „სელტიქსისა“ და „მეჯიქის“ დაპირისპირებაში მსაჯებმა რვა (!) ტექნიკური ჯარიმა დააფიქსირეს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**გოლდენ სტეიტი–მაიამი 129:130**

27:30, 37:30, 30:31, 21:24, 14:15

**გ-ს:** კროუფორდი (40+7 პასი), მაგეტი (29), ბიედრინსი (17+15 მოხსნა), ბ. რაიტი (15), ს. ჯექსონი (8+11 პასი).

**მ:** უეიდი (37+13 პასი+3 დაფარება), ჰასლემი (21+13 მოხსნა), მერიონი (21+15 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბიზლი (19), ჩალმერსი (12+6 პასი), კუკი (11).

**ბოსტონი–ორლანდო 107:88**

28:18, 20:28, 29:19, 30:23

**ბ:** პირსი (24+7 მოხსნა), რ. ალენი (21), რონდო (16+12 პასი), გარნეტი (15+9 მოხსნა), ჰაუსი (11), პერკინსი (8+13 მოხსნა).

**ო:** ლუისი (30), თურქოგლუ (19+7 მოხსნა), დ. ჰოვარდი (14+15 მოხსნა+4 დაფარება), ბეტი (9+7 მოხსნა).

**შარლოტი–მინესოტა 100:90**

21:20, 22:16, 23:25, 34:29

**შ:** ჯ. რიჩარდსონი (25), ოკაფორი (24+10 მოხსნა+5 დაფარება), ჯ. უოლასი (15+9 მოხსნა), ფელტონი (14+14 პასი).

**მ:** ფოიე (23), მ. მილერი (19+10 მოხსნა), გომესი (16), ლავი (10+8 მოხსნა), ე. ჯეფერსონი (8+9 მოხსნა+6 დაფარება).

## კვირის მოთამაშეები

“ნიუ ჯერსის” გამთამაშებელი **დევინ ჰარისი** და “პორტლენდის” მცველი **ბრენდონ როი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჰარისმა საშუალოდ მატში 30.0 ქულა (ყველაზე მეტი ლიგაში) და 4.3 მოხსნა დააგროვა. “ნეტსის” მცველი თამაშიდან ტყორცნების 54 პროცენტს ათავსებდა კალათში. ჰარისის ასეთი თამაშის წყალობით, “ნიუ ჯერსიმ” დასავლეთის გუნდებთან გასვლით სერიაში ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. “ნეტსმა” 1993 წლის შემდეგ პირველად მოუგო სტუმრად “ფინიქსს”. იმ მატჩში ჰარისმა 47 ქულა დააგროვა.

გასულ კვირას ბრენდონ როის მონაგარმა 20 ქულა, 6 შედეგიანი პასი და 5.3 მოხსნა შეადგინა. მცველმა თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩი მოაგებინა. 28 ნოემბერს, “ნიუ ორლეანთან” შეხვედრაში როიმ ამ სეზონში პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა - 25 ქულა და 10 შედეგიანი გადაცემა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 19 | 17 | 2 | 89.5 |
| 2. კლივლენდი | 17 | 14 | 3 | 82.4 |
| 3. ორლანდო | 18 | 13 | 5 | 72.2 |
| 4. დეტროიტი | 16 | 10 | 6 | 62.5 |
| 5. ატლანტა | 16 | 10 | 6 | 62.5 |
| 6. ნიუ ჯერსი | 16 | 9 | 7 | 56.2 |
| 7. ტორონტო | 16 | 8 | 8 | 50.0 |
| 8. ნიუ იორკი | 16 | 8 | 8 | 50.0 |
| 9. მაიამი | 18 | 9 | 9 | 50.0 |
| 10. ჩიკაგო | 17 | 8 | 9 | 47.1 |
| 11. ფილადელფია | 17 | 7 | 10 | 41.2 |
| 12. ინდიანა | 16 | 6 | 10 | 37.5 |
| 13. მილუოკი | 19 | 7 | 12 | 36.8 |
| 14. შარლოტი | 17 | 6 | 11 | 35.3 |
| 15. ვაშინგტონი | 14 | 2 | 12 | 14.3 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 15 | 14 | 1 | 93.3 |
| 2. დენვერი | 18 | 12 | 6 | 66.7 |
| 3. პორტლენდი | 18 | 12 | 6 | 66.7 |
| 4. ჰიუსტონი | 18 | 11 | 7 | 61.1 |
| 5. იუტა | 18 | 11 | 7 | 61.1 |
| 6. ფინიქსი | 18 | 11 | 7 | 61.1 |
| 7. ნიუ ორლეანი | 15 | 9 | 6 | 60.0 |
| 8. სან ანტონიო | 16 | 9 | 7 | 56.2 |
| 9. დალასი | 16 | 8 | 8 | 50.0 |
| 10. გ. სტეიტი | 18 | 5 | 13 | 27.8 |
| 11. საკრამენტო | 19 | 5 | 14 | 26.3 |
| 12. მინესოტა | 16 | 4 | 12 | 25.0 |
| 13. მემფისი | 17 | 4 | 13 | 23.5 |
| 14. კლიპერსი | 16 | 3 | 13 | 18.8 |
| 15. ოკლაჰომა | 18 | 2 | 16 | 11.1 |

| | |
|---|---|
| **ქულები** | |
| დუეინ უეიდი (მაი) | 28.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 27.8 |
| კრის ბოში (ტორ) | 26.8 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 25.3 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 24.4 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 24.2 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 23.9 |
| ვინს კარტერი (ნ-ჯერ) | 23.8 |
| ჯო ჯონსონი (ატლ) | 22.7 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 22.3 |
| **მოხსნები** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.0 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 12.4 |
| ტრო მერფი (ინდ) | 10.9 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.8 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 10.2 |
| კრის ბოში (ტორ) | 10.2 |
| ელტონ ბრენდი (ფილ) | 10.1 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.0 |
| ანტუან ჯეიმისონი (ვაშ) | 9.7 |
| კრის კამანი (კლი) | 9.4 |
| **პასები** | |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 9.6 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.6 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 8.2 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 8.2 |
| სტივ ნეში (ფინ) | 8.1 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.6 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 6.9 |
| ჩონსი ბილაპსი (დენ) | 6.8 |
| **ჩაჭრები** | |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.4 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.3 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.2 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 2.1 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.1 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 2.0 |
| კერონ ბატლერი (ვაშ) | 2.0 |
| **დაფარებები** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.9 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.5 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.2 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 2.1 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.1 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) [illegible] | |
| სპენსერ ჰოუსი (საკ) | 2.0 |
| კრის კამანი (კლიპ) | 1.9 |
| ბენ უოლასი (კლივ) | 1.8 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 1.8 |

სხვადასხვა

კალათბურთი

## მაკგრეიდი კვირას გამოტოვებს

„ჰიუსტონ როკეტსის“ ლიდერი **ტრეისი მაკგრეიდი** მუხლის ტრავმის გამო მინიმუმ ერთ კვირას გამოტოვებს, ხოლო მცველის მოედანზე დაბრუნების შემდეგ, მწვრთნელი მას შეზღუდულ სათამაშო დროს გამოუყოფს.

მაკგრეიდიმ უკვე გამოტოვა თავისი გუნდის ბოლო სამი შეხვედრა. წელს NBA-ის ვარსკვლავი საშუალოდ მატჩში 15.6 ქულას, 4.2 მოხსნასა და 4.0 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

## ბრიუერმა სეზონი დაასრულა

„მინესოტა ტიმბერვულვზის“ ფორვარდი **კორი ბრიუერი** მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო ამ სეზონს მთლიანად გამოტოვებს. კლუბის ოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადებით, კალათბურთელმა ტრავმა „დენვერთან“ მატჩში მიიღო და ამ დღეებში ოპერაციას გაუკეთებენ.

ბრიუერი ორი წელია, რაც „მინესოტაში“ თამაშობს და ამ გუნდში მისი სტატისტიკური მონაგარი 6.2 ქულასა და 3.3 მოხსნას უტოლდება.

## აროიო ორლანდოში ბრუნდება?

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, თელ-ავივის „მაკაბის“ მცველი **კარლოს აროიო**, შესაძლოა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნდეს.

პუერტორიკოელის ყოფილ გუნდს „ორლანდო მეჯიქს“ მცველების დეფიციტი შეექმნა, რადგან ტრავმები აწუხებთ ამ ამპლუის ძირითად კალათბურთელებს: **ჯამირ ნელსონს, კეიტ ბოგანსსა და მიკაელ პიეტრუსს**. სწორედ ამის გამო იგეგმება აროიოს „ორლანდოში“ დაბრუნება, თუმცა ისრაელის ჩემპიონი კომპენსაციის გარეშე არ აპირებს კარლოსის დათმობას.

აროიომ ამ სეზონში ევროლიგის ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. მის ანგარიშზე 15.8 ქულა, 4.8 მოხსნა და 5.0 შედეგიანი გადაცემა მოდის.

## მაიამი მერიონის გაცვლას გეგმავს

„მაიამი ჰიტის“ ხელმძღვანელობა ჯერჯერობით უკმაყოფილოა რეგულარულ ჩემპიონატში გუნდის გამოსვლით. ამის გამო კლუბის შეფობა შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანას აპირებს. კერძოდ, მათ ფორვარდ **შონ მერიონის** გაცვლა აქვთ განზრახული.

„ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ოთხგზის მონაწილეს „მაიამისთან“ კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულს ეწურება. ამ სეზონში მერიონს ხელფასის სახით 17.8 მილიონი დოლარი ეკუთვნის.

ჰოკეი

## ნიუ ჯერსი იაგრს ელოდება

ამერიკელი ჟურნალისტები მიიჩნევს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და ნავთობზე ფასის დაცემის გამო, ჰოკეის კონტინენტური ლიგა, სადაც ძირითადად რუსული კლუბების თამაშობენ, თავის ვარსკვლავური სტატუსის ჰოკეისტებს გამოეთხოვება.

თუ გაზეთ „ბოსტონ გლოუბს“ დავუჯერებთ, „ნიუ ჯერსი დევილზი“ მზად არის ჩეხი ფორვარდის **იარომირ იაგრის** გადასაბირებლად. კლუბს სახელფასო ფონდში საკმარისი თანხა აქვს და თავისუფლად შეუძლია ვეტერანი ჰოკეისტის დამატება.

შეგახსენებთ, რომ იაგრი ამ ზაფხულს ომსკის „ავანგარდში“ ჩაირიცხა.

მძლეოსნობა

## ბეკელე ოთხ თვეს დაისვენებს

5000 და 10000 მეტრზე პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ეთიოპიელი **კენენისა ბეკელე** სავარაუდოდ ოთხი თვე ვერ შეძლებს სარბენ ბილიკზე გასვლას. ამის მიზეზი ფეხის ტრავმა გახლავთ.

ბეკელემ დაზიანება ჰოლანდიის ქალაქ ნიიმეგენში მიიღო, სადაც 15-კილომეტრიან კროსში იღებდა მონაწილეობას. ტრავმის მიუხედავად, აფრიკელმა მესამე ადგილის მოპოვება შეძლო.

*„ექიმები არ მირჩევდნენ ნიიმეგენში გამოსვლას, რადგან ჯერ კიდევ ვარჯიშზე ვიგრძენი ტკივილი. მიუხედავად ამისა, სტარტზე მაინც გავედი და ახლა ექვი მეპარება, რომ ზამთრის სეზონის ტურნირებში შევძლო გამოსვლა“*, - განაცხადა ბეკელემ სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ცურვა

## ფელპსის ახალი აღიარება

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** ჟურნალ Sports Illustrated-ის ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა. საინტერესოა, რომ ამ პრიზის 57-წლიან ისტორიაში, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ლაურეატი მოცურავე გახდა.

1972 წელს, ამ პრიზის მიღებასთან ახლო იყო მიუნხენის ოლიმპიური თამაშების შვიდგზის ჩემპიონი **მარკ სპიცი**, მაგრამ მაშინ ჟურნალმა ლეგენდარულ მოცურავეს ჩოგბურთელი **ბილი ჯინ კინგი** ამჯობინა. შეგახსენებთ, რომ პეკინში ფელპსმა სწორედ სპიცის რეკორდი გააუმჯობესა - მან რვა დისტანციაზე მოიპოვა ოქროს მედალი.

*„მე მოვიგე ყველაფერი, რაზეც ამ წელს ვოცნებობდი. ეს წარმატება საქმისადმი დიდი სიყვარულით არის გამოწვეული“*, - განაცხადა 23 წლის ამერიკელმა.

ჭადრაკი

## გაფრინდაშვილის თასი სომხეთს გადაეცემა

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** ჟურნალისტებს აცნობა, რომ საჭადრაკო ოლიმპიადაზე უკრაინის ნაკრების ლიდერი **ვასილი ივანჩუკი**, შესაძლოა, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯოს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ოლიმპიადის ბოლო ტურის შემდეგ, ივანჩუკმა უარი თქვა დოპინგკონტროლის გავლაზე.

ილუმჟინოვმა ისიც განაცხადა, რომ ანულირებული იქნება ყველა იმ პარტიის შედეგი, რომელშიც ივანჩუკმა მიიღო მონაწილეობა, შესაბამისად, უკრაინის კაცთა ნაკრები გათამაშების ცხრილში მნიშვნელოვნად დაქვეითდება. გარდა ამისა, უკრაინის დელეგაციას ჩამოართმევენ **ნონა გაფრინდაშვილის** თასს, რომელიც ქვეყანას ქალთა და მამაკაცთა ნაკრებების გამოსვლის შედეგად ენიჭება. ეს საპატიო თასი სომხეთის გუნდს გადაეცემა.

ჩოგბურთი

## კარლოვიჩი საუკეთესო ეისმენია

ხორვატი **ივო კარლოვიჩი** წლევანდელი სეზონის ლიდერი გახდა ეისების რაოდენობით. ორმეტრიანმა ჩოგბურთელმა 54 მატჩში 961-ჯერ მოაწოდა ბურთი ისე, რომ მას მეტოქე არ შეხებია.

შარშანდელთან შედარებით, კარლოვიჩმა უარესი შედეგი აჩვენა. 2007 წელს, ხორვატი მეოთხე ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც სეზონში ათასზე მეტი ეისი შეასრულა. მანამდე იგივე შედეგი დააფიქსირეს **პიტ სამპრასმა, გორან ივანიშევიჩმა** და **ენდი როდიკმა**.

წლევანდელი სეზონის ტოპ-ხუთეული ასე გამოიყურება.

1. ივო კარლოვიჩი - 961 ეისი (54 მატჩი)
2. ენდი როდიკი - 889 ეისი (62 მატჩი)
3. როჯერ ფედერერი - 695 ეისი (80 მატჩი)
4. რობინ სოდერლინგი - 656 ეისი (64 მატჩი)
5. ფელისიანო ლოპესი - 572 ეისი (50 მატჩი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# არმსტრონგი ტურზე



ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** 2009 წელს ტურ დე ფრანსზე გამოსვლა გადაწყვიტა. ასე რომ, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნებული ლენსი, კარიერაში პირველად ერთ სეზონში ერთდროულად ორ პრესტიჟულ ველომარათონში - ჯირო დ'იტალიასა და ტურ დე ფრანსზე მოსინჯავს ძალებს.

შეგახსენებთ, ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი მომავალ სეზონში ყაზახური „ასტანას" ღირსებას დაიცავს, სადაც აგრეთვე ირიცხება ფრანგული ველომარათონის 2007 წლის გამარჯვებული, წლევანდელი ჯიროსა და ვუელტას ტრიუმფატორი ესპანელი **ალბერტო კონტადორი**. ამჟამად არმსტრონგი კანარის კუნძულებზე თავის ველოჯგუფთან ერთად ვარჯიშობს. ლენსისთვის დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ პირველი ოფიციალური რბოლა იქნება - Tour Down Under-ი, რომელიც ავსტრალიაში გაიმართება.

*„მახარებს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში გამოსვლის პერსპექტივა,* - მოჰყავს 37 წლის ველომრბოლის სიტყვები სააგენტო AP-ს. - *„ასტანაში" ბევრი კარგი ველომრბოლი ირიცხება, მაგრამ ჩვენ ერთი წესით ვიხელმძღვანელებთ: ველოსპორტი გუნდური სპორტია, მაგრამ ნებისმიერ ჩვენგანს სურს გამარჯვების მოპოვება. საფრანგეთში ჩემ მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, ვერავინ ამიკრძალავს ტურზე გამოსვლას. მე ჩემს საქმეს გავაკეთებ".*

ამასობაში გაირკვა, რომ არმსტრონგი ახალ სეზონში თავის პირველ დოპინგ-ტესტს იანვარში, Tour Down Under-ის წინ გაივლის. ამერიკელი ანალიზს ცნობილი ანტისადოპინგო სპეციალისტის **დონ კეტლინის** მეთვალყურეობის ქვეშ ჩააბარებს.

*„უფრო ადრეც შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ დატვირთული საწვრთნელი გრაფიკის გამო, მხოლოდ იანვარში გავივლი პირველ დოპინგ-ტესტს. ამ საკითხს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები და ყოველთვის მზად ვარ დოპინგის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებთან სათანამშრომლოდ",* - ამბობს არმსტრონგი.

*„მე დაინტერესებული ვარ იმით, რომ ლენსმა ანალიზები ჩააბაროს და შედეგები საჯარო გახდეს. ახლა ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებების სტადიაში ვართ. ცუდი იქნება, თუ შეთანხმებას ვერ მივაღწევთ. არმსტრონგი ძალიან დაკავებულია ამიტომაც მასთან კონტაქტის დამყარება რთული საქმეა. გარდა ამისა, მინდა დავრწმუნდე იმაში, რომ დოპინგ-სინჯები მაღალ დონეზე ჩატარდება და მას მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოც აღიარებს",* - ეს ექიმ დონ კეტლინის სიტყვებია.

დოპინგი

# WADA და ურჩების სია

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA) სპორტის იმ სახეობების სია გამოაქვეყნა, რომელთა წარმომადგენლებიც ყველაზე ხშირად გაურბიან დოპინგ-ტესტებს. ეს სახეობებია: ტანვარჯიში, ჭიდაობა, ფრენბურთი, ხელბურთი და თანამედროვე ხუთჭიდი.

დოპინგ-ტესტების გაცდენის მთავარი მიზეზი WADA-სა და სპორტის ჩამოთვლილი სახეობების ფედერაციათა ანტისადოპინგო წესებს შორის განსხვავებაა. ამასთან დაკავშირებით, WADA-მ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ეროვნულ და საერთაშორისო ფედერაციებს საკუთარი სადოპინგო წესების საერთაშორისო კანონებზე მორგება დაავალეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოლიმპიური კომიტეტი ამ სახეობებს ოლიმპიადიდან გაძევებით ემუქრება.

*„ყველა საერთაშორისო ფედერაციამ მომავალი წლის მაისამდე უნდა დახვეწოს დოპინგთან ბრძოლის წესები და ის თანხვედრაში უნდა მოდიოდეს WADA-ს წესებთან",* - ამბობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპიკერი **ემანუელ მორო**.

იმ ქვეყნების სიაში, რომელთა ანტისადოპინგო წესები არ შეესაბამება საერთაშორისოს, შედიან ბოლივია, პერუ, ლიტვა, სან მარინო, ბულგარეთი, ისრაელი, ჩრდილოეთ კორეა და თურქეთი.

მძლეოსნობა

# ბოლტს ფერარი მოეწონა

გასული კვირა იღბლიანი აღმოჩნდა იამაიკელი **უსაინ ბოლტისთვის**. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ პეკინის თამაშების სამგზის ჩემპიონმა მონაკოს პრინც **ალბერისგან** „წლის საუკეთესო მამაკაცი მძლეოსნის" პრიზი მიიღო. ამის შემდეგ პლანეტის საუკეთესო სპრინტერს „ფერარის" საჭე დაუთმეს და იამაიკელმა რამდენიმე კილომეტრი გაიარა მონტე-კარლოს ქუჩებში.

ეს აქცია სიმბოლურ ხასიათს ატარებდა - სპონსორებმა დედამიწის ყველაზე სწრაფი ადამიანი ყველაზე სწრაფ მანქანაში ჩასვეს. პრესკონფერენციაზე ბოლტმა მოკრძალებით აღნიშნა, რომ მოეწონა „ფერარის" მართვა და წინააღმდეგი არ იქნება, თუ მომავალში ვინმეს მისთვის ასეთი მანქანის ჩუქების იდეა გაუჩნდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

**ბაფალო-ნეშვილი 0:2**

0:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 არნოტი-13 (დევრისი-3, დუმონი-19), 0:2 დუმონი-5 (უებერი-13, ჯ. უორდი-3).

**კოლამბუსი-ვანკუვერი 3:2**

0:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 0:1 უელვუდი-10 (დ. სედინი-12, ედლერი-7), 1:1 მოდინი-3 (ჰუსელიუსი-9, ნეში-10), 1:2 ბიეკსა-4 (ჰ. სედინი-20, ედლერი-8), 2:2 მიურეი-3 (კომოდორი-10, მალორტა-3), 3:2 ჰუსელიუსი-9 (ნეში-11, მეტოტი-5).

**დეტროიტი-ანაჰაიმი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კუნიტცი-5 (სელიანე-11), 1:1 ფრანცენი-11 (ლიდსტრიომი-13, ზეტერბერგი-13), 2:1 მარიან ჰოსა-14 (კლირი-6, დაციუკი-16).

**მინესოტა-კოლორადო 5:6**

2:2, 2:4, 1:0

**გოლები:** 1:0 ბუშარი-4 (მ. კოივუ-17, სკოულა-2), 1:1 სვატოსი-4 (ლაილსი-8, სალეი-6), 1:2 დ. ჯონსი-3 (ლაპერიერი-5, მაკორმიკი-4), 2:2 მ. კოივუ-9 (ბერნსი-6, ბუშარი-6), 3:2 ბუშარი-5 (მ-ა. ბერჟერონი-11, ჟიდლიცკი-8), 3:3 შჩასტნი-5 (უილსი-1, ჰეიდუკი-7), 3:4 ჰეიდუკი-10 (შჩასტნი-14), 3:5 ჰენსიკი-1 (ლაპერიერი-6), 3:6 შჩასტნი-6 (რ. სმიტი-6, ჰეიდუკი-8), 4:6 ნოლანი-5 (ბრუნეტი-8, მ. კოივუ-18), 5:6 ბერნსი-4 (კ. იონსონი-8).

**ლოს ანჯელესი-ტორონტო 1:3**

1:0, 0:0, 0:3

**გოლები:** 1:0 ფროლოვი-9 (მ. გრინი-4), 1:1 სტაიანი-7 (ჰაგმანი-10, სტემპნიაკი-12), 1:2 გრაბოვსკი-10 (ჯ. მიტჩელი-5), 1:3 ფინგერი-2.

## კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "პიტსბურგსპინგვინზის" ფორვარდი **სიდნი კროსბი** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა 3 მატჩში 6 გოლი გაიტანა და 3 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. ეს გასულ კვირას საუკეთესო მაჩვენებელი იყო. კროსბიმ "ნიუ ჯერსისთან" მატჩში კარიერაში მეორე ჰეთ-თრიკი შეასრულა.

მეორე მეკარის სტატუსი "ანაჰაიმ დაქსის" გოლკიპერს **იონას ჰილერს** ერგო. "იხვების" სათადარიგო მეკარემ ორ მატჩში მოაგებინა თავის გუნდს, საშუალოდ 0.50 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 98.4 პროცენტს იგერიებდა.

ასევე ორი მატჩი მოიგო კვირის მესამე ვარსკვლავმა - "სენტ ლუის ბლუზის" გოლკიპერმა **კრის მეისონმა**. ამ ორ შეხვედრაში მან 77-დან 75 დარტყმა მოიგერია.

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 24 | 16 | 4 | 4 | 36 |
| 2. რეინჯერსი | 27 | 17 | 8 | 2 | 36 |
| 3. ვაშინგტონი | 24 | 13 | 8 | 3 | 29 |
| 4. პიტსბურგი | 23 | 14 | 6 | 3 | 31 |
| 5. მონრეალი | 23 | 13 | 6 | 4 | 30 |
| 6. ფილადელფია | 23 | 11 | 7 | 5 | 27 |
| 7. ნიუ ჯერსი | 22 | 12 | 8 | 2 | 26 |
| 8. კაროლინა | 25 | 12 | 11 | 2 | 26 |
| 9. ბაფალო | 24 | 11 | 10 | 3 | 25 |
| 10. ტორონტო | 24 | 9 | 9 | 6 | 24 |
| 11. აილენდერსი | 24 | 10 | 12 | 2 | 22 |
| 13. ფლორიდა | 23 | 9 | 11 | 3 | 21 |
| 13. ოტავა | 22 | 8 | 10 | 4 | 20 |
| 14. ატლანტა | 23 | 8 | 12 | 3 | 19 |
| 15. ტამპა ბეი | 23 | 6 | 10 | 7 | 19 |

დასავლეთი

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 24 | 20 | 3 | 1 | 41 |
| 2. დეტროიტი | 24 | 16 | 4 | 4 | 36 |
| 3. ვანკუვერი | 25 | 14 | 9 | 2 | 30 |
| 4. ანაჰაიმი | 26 | 14 | 9 | 3 | 31 |
| 5. მინესოტა | 23 | 14 | 8 | 1 | 29 |
| 6. კალგარი | 24 | 14 | 9 | 1 | 29 |
| 7. ჩიკაგო | 22 | 10 | 6 | 6 | 26 |
| 8. ნეშვილი | 24 | 12 | 10 | 2 | 26 |
| 9. კოლამბუსი | 24 | 11 | 10 | 3 | 25 |
| 10. კოლორადო | 24 | 12 | 12 | 0 | 24 |
| 11. ლოს ანჯელესი | 23 | 10 | 10 | 3 | 23 |
| 12. სტ. ლუისი | 22 | 10 | 10 | 2 | 22 |
| 13. ფინიქსი | 23 | 10 | 11 | 2 | 22 |
| 14. ედმონტონი | 23 | 10 | 11 | 2 | 22 |
| 15. დალასი | 23 | 8 | 11 | 4 | 20 |

ბომბარდირები

გოლი+პასი

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 39 (10+29) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 34 (13+21) |
| საიმონ განიე (ფილ) | 31 (13+18) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 31 (10+21) |
| მარკ სავარი (ბოს) | 30 (8+22) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 30 (13+17) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 29 (12+17) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 29 (12+16) |

გოლები

| | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 18 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 16 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 14 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 13 |
| ალექსანდ სიომინი (ვაშ) | 13 |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 13 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 13 |
| საიმონ განიე (ფილ) | 13 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 13 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 13 |
| ჯეისონ არნოტი (ნეშ) | 13 |
| ფილ კესელი (ბოს) | 13 |

პასები

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 29 |
| მარკ სავარი (ბოს) | 22 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 21 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 21 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 20 |
| კორი პერი (ანა) | 19 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 19 |
| ჯეი პი დუმონი (ნეშ) | 18 |
| საიმონ განიე (ფილ) | 18 |

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

ინგლისი

II ლიგა

| | |
|---|---|
| ლუტონი-ბორნმუთი | 3:3 |
| უიკომბი-მაკლსფილდი | 4:0 |

ინგლისის თასი

| | |
|---|---|
| მორეკამბი-ჩელტენემი | 2:3 |

ინგლისის ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ბარნლი-არსენალი | 2:0 |
| სტოკი-დერბი | 0:1 |

გერმანია

III ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| აუე-ოფენბახი | 2:1 |

**კალათბურთი**

ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| სუმიხიმპრომი-ფრიბურგი | 90:73 |
| ურალ გრეიტი-ტელეკომი | 82:54 |
| ზაგრები-ხიმიკი | 88:78 |
| კერავნოსი-ტულონი | 85:88 |
| ტარტუ-ვირტუსი | 73:75 (ო) |
| შიაულაი-გმუნდენი | 89:76 |
| ენერგა-ვენტსპილსი | 91:75 |
| კიევი-კალევი | 90:75 |
| სკაილაინერსი-ტრიუმფი | 77:71 |
| ამსტერდამი-ოლდენბურგი | 76:73 |
| ოსტენდე-ცსკ ვვს | 98:75 |
| ეიფელ ტაუერსი-აელ | 87:76 |
| მონსი-გალათასარაი | 91:65 |
| კახასოლი-ლიეჟი | 78:79 |
| შოლე-ლოკომოტივი | 76:72 |

**ჰოკეი**

კჰლ

| | |
|---|---|
| ატლანტი-მვდ | 0:1 |
| ვიტიაზი-ლადა | 1:3 |
| ცსკა-ხიმიკი | 5:1 |

ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-გრაცი | 5:2 |
| ინსბრუკი-ზალცბურგი | 4:3 |
| კლაგენფიურტი-ალბა | 5:1 |
| ლინცი-ვილახი | 2:2 |

გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 1:2 |

დანია

| | |
|---|---|
| ჰერნინგი-ოლბორგი | 4:3 |
| ნორდსილანდი-ესბერგი | 0:4 |
| ოდენსე-როდოვრე | 5:5 |
| სენდერიისკი-ფრედრიქსჰავნი | 4:1 |
| ჰერლევი-ტოტემპო | 3:3 |

ნორვეგია

| | |
|---|---|
| კომეტი-ფრისკ ასკერი | 0:1 |
| ლილეჰამერი-ფურუსეტი | 6:2 |
| სპარტა-ლორენსკოგი | 2:4 |
| სტავანგერი-სტიორნენი | 7:5 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 4:6 |

სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ზვოლენი-სკალიცა | 3:1 |
| კეჟმაროკი-პოპრადი | 3:2 |
| კოშიცე-მარტინი | 7:3 |
| ნიტრა-მიკულაში | 4:1 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 3:3 |

ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-პელიკანსი | 5:2 |
| იოკერიტი-ლუკო | 4:1 |
| კერპეტი-ტაპარა | 4:1 |
| ტპს-კალპა | 3:1 |
| ჰპკ-ჰიფკ | 4:0 |
| ესეტი-სეიპა | 2:2 |

შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-ამბრი | 9:2 |
| ბილი-ჟენევა | 0:4 |
| დავოსი-ფრიბურგი | 1:1 |
| კლოტენი-ცუგი | 1:1 |
| ლუგანო-ლანგნაუ | 4:3 |

შვედეთი

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-იურგორდენი | 3:3 |
| ლულეო-ფრიოლუნდა | 2:1 |

TV სპორტი

**3 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

07:00 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი.
08:45 საფეხბურთო ღამე.
09:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-სტ. ეტიენი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ფულჰემი.
15:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. არსენალი-დინამო.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-რივერ პლეიტი.
21:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
00:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:22 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-კიოლნი.
04:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. არსენალი-დინამო.
06:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ჰალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რეჯინა.
13:05 მინი-მოედანი
13:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
15:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
17:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ფულჰემი.
19:20 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
19:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-დალასი.
21:40 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
22:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პროკომი-სიენა (LIVE).
00:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
01:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პარტიზანი-ეფესი.
02:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერნასიონალი-ესტუდიანტესი (LIVE).
05:55 ფეხბურთელთა ცხოვრება.
06:20 სპორტული პროგრამა.
06:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ნაპოლი.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
13:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:45 სნუკერი.
14:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. ჩილე.
17:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
18:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
19:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. 15 კმ. კაცები. კუუსამო. ფინეთი.
20:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 მულტისპორტი.
22:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
23:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
00:00 მულტისპორტი.
00:05 ცხენოსნობა. მასტერსი. ბელგია.
01:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:10 გოლფ-კლუბი.
01:15 აფროსნობა.
01:30 აფროსნობა. Volvo Ocean-ის რბოლა.
01:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
03:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ოსტერსუნდი. შვედეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. II ტური. ტუროვი (პოლონეთი)-შარლერუა (ბელგია).
15:30 ახალი ამბები.
16:15 სერფინგი. აშშ.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
17:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
18:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXXIII ტური.
19:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. II ტური. გრან კანარია (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი (ლიტვა).
21:00 ახალი ამბები.
21:30 სერფინგი. აშშ.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. ე. ლიჩინა (გერმანია)-ო. გრიფინი (აშშ). ბამბერგი. გერმანია.
01:00 მოტოფრისტაილი. პრაღა. ჩეხეთი.
01:45 სერფინგი. აშშ.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. აშშ.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

# ისევ ბარიკელო vs შუმახერი




გასულ უიქენდზე ცნობილმა ავტომრბოლეებმა კარტინგის მანქანებით Go-Kart Champs-ის რბოლაში მიიღეს მონაწილეობა.

გამარჯვებული ბრაზილიელი **რუბენს ბარიკელო** გახდა, რომელიც გასულ სეზონში „ჰონდას“ ღირსებას იცავდა და ახლა ყველანაირად ცდილობს მომავალი სეზონისთვის ფორმულა 1-ში დარჩენას. კარტინგის რბოლა ორი ცდისგან შედგებოდა. რუბენსმა პირველ ცდაზე პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, მეორეში კი მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ორი ცდის ჯამში გამარჯვების მოსაპოვებლად. *„იქნებ, ამ რბოლის ვიდეოჩანაწერი „ჰონდას“ ხელმძღვანელობას გავუგზავნოთ?!“* - ხუმრობდა რბოლის შემდეგ ბრაზილიელი ავტომრბოლი.

საყოველთაო ინტერესი გამოიწვია **მიხაელ შუმახერის** გამოსვლამ. ლეგენდარული გერმანელი კარტინგის დიდი მოყვარულია და შარშან აქ პირველი ადგილიც დაიკავა. ამჯერად, შუმიმ პირველ ცდაზე მეოთხე შედეგი აჩვენა, მაგრამ მეორეში ფინიშთან ვერ მივიდა და ბრძოლას გამოეთიშა.

ალბათ, გახსოვთ, რომ გასულ კვირას, ბარიკელომ მისი და შუმახერის „ფერარიში“ ყოფნის პერიოდი გაიხსენა და დეტალურად მოჰყვა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ წააგებინეს „ფერარის“ მესვეურებმა 2002 წელს ავსტრიის გრანპრი.

შუმისა და რუბენსის დაპირისპირება კარტინგის რბოლის დროს გაგრძელდა და ფინიშის შემდეგ ბრაზილიელმა ისევ გააკრიტიკა გერმანელი: *„ვიცი, სიმშვიდე უნდა შევინარჩუნო, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მიხაელს ჩემზე ნადირობა ჰქონდა გამოცხადებული, არადა ეს გასართობი რბოლა იყო. ერთ-ერთ ეპიზოდში, მან კინაღამ ტრასიდან გადამაგდო“.*

რბოლა ბრაზილიაში, ფლორიანოპოლოსის ტრასაზე ჩატარდა და მისი ორგანიზატორი გახლდათ „ფერარის“ პილოტი **ფელიპე მასა**. 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა გამოაცხადა, რომ 25 ათას დოლარს შესწირავს უამინდობით დაზარალებულთა ფონდს. ცოტა ხნის წინ, ბრაზილიაში წვიმების გამო ბევრ ადამიანს შეექმნა პრობლემა.

ჩოგბურთი

# ივანოვიჩმა იასამნისფერი აირჩია



მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ანა ივანოვიჩი** ახალი სეზონის წინ ესპანეთში ისვენებს. სერბი ჩოგბურთელის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე ივანოვიჩი იასამნისფერ კაბაში ითამაშებს. „დიდი სლემის“ რიგით პირველ ტურნირზე ანას სპორტული ფორმა დაახლოებით ისეთი იქნება, რომლითაც ის დოჰაში, წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშობდა.

შეგახსენებთ, რომ ივანოვიჩმა 2008 წლის ავსტრალიის ღია პირველობაზე ფინალამდე მიაღწია, სადაც **მარია შარაპოვასთან** წააგო. ამჟამად ის მეხუთე ადგილს იკავებს WTA-ის რეიტინგში.

# ნადალი ფეხბურთს ითამაშებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** და მადრიდის „რეალის“ მეკარე **იკერ კასილიასი** ზედიზედ მეორედ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

ისევე როგორც შარშან, შეხვედრა 4 დეკემბერს, მადრიდის სპორტის დარბაზ Palacio de Deportes-ში ჩატარდება. თამაშიდან შემოსული თანხა მთლიანად მალარიასთან ბრძოლას მოხმარდება. როგორც ესპანური გაზეთი „მარკა“ იტყობინება, საქველმოქმედო შეხვედრაში მსოფლიოს სპორტის ბევრი სხვა ვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას.

მადრიდში ჩასვლას აპირებენ ჩოგბურთელები: **დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, ფეხბურთელები: **რაული, სერხიო რამოსი, ფაბიო კანავარო, დიეგო ფორლანი, დავიდ ვილია, ჩავი**. აქვე იქნებიან ავტო, მოტო და ველოსპორტის ვარსკვლავები - **ფერნანდო ალონსო, ვალენტინო როსი, ხორხე ლორენსო, კარლოს საინსი, ალბერტო კონტადორი**...

# ჰემილტონმა ოჯახი კოსმოსში დააპატიჟა



ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონმა **ლუის ჰემილტონმა** თავისი ოჯახის წევრებს ორიგინალური საჩუქარი გაუკეთა. როგორც ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერს, ბრიტანელი პილოტი თავისი ახლობლების კოსმოსში გაფრენას დააფინანსებს.

ერთი შეხედვით, ფანტასტიკურად ჟღერს, მაგრამ დაუჯერებელი აქ არაფერია: ექსცენტრიკული ბრიტანელი მილიარდერი **რიჩარდ ბრანსონი** უკვე რამდენიმე წელია მუშაობს პირველი კოსმოსური ავიახაზის შექმნაზე. Virgin Galactic-ის პროექტის ეგიდით იქმნება ორიგინალური კონსტრუქციის კოსმოსური ხომალდი, რომლით ფრენაც უახლოეს მომავალში ნებისმიერ მსურველს შეეძლება. პირველი რეისის თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ Virgin Galactic-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ასეთი რამ წერია: *„რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა განვახორციელოთ გაფრენა, მაგრამ ეს არ მოხდება იქამდე, სანამ არ დავრწმუნდებით ხომალდების - WhiteKnightTwo-სა და SpaceShipTwo-ს საიმედოობაში“.*

ამ გაურკვევლობის მიუხედავად, 250 ბილეთი უკვე გაყიდულია. რამდენიმე ბილეთი ჰემილტონმა შეიძინა. მას კოსმოსში გაფრენა აქვს გადაწყვეტილი და იქ თავის მშობლებს, ძმასა და შეყვარებულს **ნიკოლ შერცინგერსაც** წაიყვანს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთი ბილეთი 150 500 ევრო ღირს, ჰემილტონს კარგა გვარიანი თანხის გადახდა მოუწევდა. მაგრამ „დეილი ტელეგრაფს“ ლუისის მეგობრის სიტყვები მოჰყავს: *„როცა საქმე ახლობელი ადამიანების სიამოვნებას ეხება, ლუისისთვის ფულს მნიშვნელობა არ აქვს“.*

პროექტის არსი დაახლოებით შემდეგში მდგომარეობს: კოსმოსური ხომალდი დედამიწიდან სტარტს სპეციალური კონსტრუქციის რეაქტიული თვითმფრინავის დახმარებით აიღებს, ხოლო 17 500 მეტრ სიმაღლეზე ის დამოუკიდებლად გააგრძელებს ფრენას.

# შარაპოვას ემუქრებოდნენ

ამერიკული ფეხბურთის ყოფილი მოთამაშე პოლიციამ რუსი ჩოგბურთელის **მარია შარაპოვას** მუქარის გამო დააპატიმრა. პარალელურად, დაკავებული თავის ყოფილ მწვრთნელსაც ემუქრებოდა.

**ლეონარდ ტეილორი** 1995-98 წლებში ვისკონსინის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა. ის რეგულარულად ურეკავდა თავის ყოფილ მწვრთნელს **ბარი ალვარესს** და მოკვლით ემუქრებოდა. ამ საუბრებში ყოფილი ფეხბურთელი შარაპოვასა და მისი ოჯახის წევრებსაც ახსენებდა და მათ მიმართაც გეგმავდა ანგარიშსწორებას.

ტეილორის მამამ პოლიციას შეატყობინა იმის შესახებ, რომ თავის ვაჟს „პარანოიდული შიზოფრენიის“ დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ ლეონარდმა სამი თვის წინ შეწყვიტა წამლების მიღება.

ჯერ კიდევ სექტემბერში, პოლიცია სატელეფონო მუქარების თაობაზე დაუკავშირდა ტეილორს და ამ უკანასკნელმა სიტყვა მისცა, რომ შეწყვეტდა სატელეფონო ზარებს. ნოემბერში მან გააგრძელა მუქარა, ხოლო 25 ნოემბერს ალვარესის ავტომოპასუხეზე 29 შეტყობინება დატოვა, სადაც ის ამბობდა, რომ შარაპოვაზე ჯერ დაქორწინდებოდა და შემდეგ ჩოგბურთელსა და მისი ოჯახის წევრებს დახოცავდა.




კრივი

# ტაისონის ახალი სკანდალი



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი **მაიკ ტაისონი** მორიგ სკანდალში გაეხვია. ლეგენდარულმა მოკრივემ თავისი ჯიპით ლას-ვეგასის ერთ-ერთი სახლის დახურული ჭიშკარი შეანგრია და ეზოში შევარდა.

არადა, სტუმრებისთვის ერთი კარი ღია იყო და „რკინის მაიკს“ თავისუფლად შეეძლო იქ შესვლა. ამის ნაცვლად, ტაისონმა სახლის მასპინძლის დაკეტილი ჭიშკრით სარგებლობა გადაწყვიტა კარიც დააზიანა და საკუთარი Cadillac Escalade-იც.

ინციდენტის ადგილას პოლიციელები მივიდნენ და მოკრივეს ჯარიმა გამოუწერეს. ამის შემდეგ, ტაისონი სახლში შევიდა და წვეულებას შეუერთდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა